



# ილორი

www.ilori.ge  
E-mail: r.jalagania@mail.ru



№264 (323) 8-15 აპრილი 2014 სახალხო მოძრაობა „სამებროს“ ორბანო 30 თეთრი

## ბოლო ღურსმანი ნაციონალთა კუბოზე

დიახ, მიცვალებული დროზე რომ არ დავასაფლავებთ, იმიტომაც ყარს ასე ძლიერად!

საუბარია ავადსახსენებელ “ნაციონალურ მოძრაობაზე”, რომელიც კარგა ხანია მოკვდა, მაგრამ დაუსაფლავებლად აგდია შუა გზაზე. ბუხები ახვევია, ლებება, და ჯერ კიდევ საშიშია, რადგან სიმყრადეს და შხამს აფრქვევს გარშემო!

ამიტომ უნდა დავასაფლავოთ, თანაც ძალიან ღრმად, რათა მისი ბაცილა ვერასოდეს კლირსოს სუფთა ჰაერში ამისათვის საიმედოდ უნდა შეგვრათ კუბო და 15 ივნისს ბოლო ღურსმანიც დაეჭვდეთ!

მანამდე კი სასიკვდილო კონკულსიაში ფართხალებენ სააკაშვილი და მისი ნაცები, გრძობენ პოლიტიკურ აღსასრულს, განსაკუთრებით იმის გამო, რომ სააკაშვილი უკვე დაიბარეს პროკურატურაში ჩვენების მისაცემად ათ უმძიმეს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რაც იმის უგერტიურა გახლავთ, რომ პროკურატურაში შესულს სააკაშვილს უკან მხოლოდ ბადრავით თუ გამოიყვანენ.

ამიტომაც ამოქმედეს ნაცებმა თავიანთი ამერიკული ლობი, რომელთაც ქართველ ხალხს კუთვნილი მილიონობით დოლარი შეათქვლიფეს და ლობისტებმაც წამსვე გააშანშალებინეს წერილი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს საქართველოს ხელისუფლების სახელზე, თუმცა მწარე რეალობას ვერც ნაცთა ამერიკელმა მფარველებმა აუარეს გვერდით.

„არავინ დგას კანონზე მაღლა, მაგრამ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმის ერთდროული დაწყება ყოფილი პრეზიდენტის მონაწილეობით ლეგიტიმურ შეშფოთებას აჩენს პოლიტიკური დევნის შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სამართლებრივი და სასამართლო ინსტიტუტები ჯერ კიდევ მყოფია.“

როგორც ვაშინგტონში, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან უმაღლეს დონეზე შეხვედრისას ითქვა, შეერთებულმა შტატებმა მოუწოდა საქართველოს ლიდერებს, ქართველი ერის ენერჯია მომავალს, ძლიერ ეკონომიკას, მართლმსაჯულების სექტორის შემდგომ რეფორმირებას და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით სწრაფ პროგრესს მოახმაროს, – ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საკმაოდ ვრცელ, მაგრამ აბსოლუტურად უახრო და ანგაჟირებულ განცხადებაში.

მოკლედ, ესაო, ისაო, ყველაფერი გასაგებიაო, მაგრამ სააკაშვილს თუ დაიჭერთ, გრენლანდიაში ყინულების დნობის პროცესი დაჩქარდება, დედამიწას მეტეორი დაეცემა, ეგვიპტის პირამიდები ჩამოიშლებიან და, რაც მთავარია, ნაციონალურ, ნერვოზობის ნიადაგზე, კუჭი აცმდებათო!

ვაი თქვენს პატრონს, უბედურს! აქ, ფულს დახარბებულმა ამერიკელმა ლობისტებმა ვერ გათვალეს ერთი ელე-მენტარული ჭეშმარიტება, როცა თავისი პირით აღიარეს, რომ საქართველოში “სამართლებრივი და სასამართლო ინსტიტუტები ჯერ კიდევ მყოფია.” ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაციონალურმა იმდენად დააკინინეს აღნიშნული ინსტიტუტების საქმიანობა, რომ თქვენი ორწლიანი ჯაფის მიუხედავად, მდგომარეობა გამოსწორებიდან ჯერ კიდევ საკმაოდ შორსააო.

სწორედ ამაზეა ნათქვამი: “ყველაზე უხელო ცრუპენტელას დღეში ერთხელ მაინც წამოსცდება სიმართლე”-ო! ჭეშმარიტება კი, როგორც მოგეხსენებათ, საკმაოდ მძიმე მოსახმენია, მით უმეტეს, ქართველ “ნაციონალურებისთანა” არამზადებიანათვის!

სულ რამდენიმე კვირის პოლიტიკური სიცოცხლე დარჩათ სააკაშვილსა და ნაცებს და ეს “შიმიე” უკვე 15 ივნისს დაუდგებათ სომეხი “დაშნაკების” მიერ საქართველოს ასოხრებლად მოვლენილ ამ მანქანებში. ამიტომ, ქრისტიანული მრწამსი გვაავადლებულებს, რომ მათი ნეშტი მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ მიეაბაროთ მიწას, და, რაც მთავარია, უკანასკნელი ღურსმნის ჩაჭედება არ უნდა დაგვავიწყდეს მათ კუბოზე!

15 ივნისს საბოლოოდ უნდა მოვიხადოთ ვალი იმ ნაცების ხსოვნის წინაშე, რომლებიც 2003 წელს თამხიანად მოიყვანა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს ხელისუფლებაში და რომელთაც, მათდა სამწუხაროდ, ვერ მოახერხეს საქართველოს სრულად დასამარება, თუმცა კი საფუძვლიანად მოურყიეს ძირი ჩვენი მრავალნატიანე სამშობლოს სახელმწიფოებრიობას!

სამაგიეროდ დაამყარეს რამდენიმე მსოფლიო რეკორდი:

- სახელმწიფო ხაზინაში ხელების უაპელაციო ფათურში;
- ხელისუფლებაში კახებისა და ჰომოსექსუალების მომრავლებაში;
- თავხედობასა და უტიფრობაში;
- საზოგადოებისათვის ხელების გადაგრეხვასა და მასმედიის თუ ბიზნისის დაწოებაში;
- უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრებასა თუ მშვიდობიანი დემონსტრაციების მხეჯურად დარბევაში...
- ციხეებში პატიმართა არაადამიანური წამების, ცოცხებით მათ “დამშვენებასა” და პატიმართა რიცხვის აქამდე არნახულად მაღალ დონეზე აყვანაში;
- კულტურის ძეგლების განადგურებაში (თუმცა, ამ უკანასკნელში “ქართული ოცნების” ხელისუფლებამაც გამოიჩინა თავი, როცა საყდრისის ისტორიამდელი ოქროს საბადო დიდი ფულის შოვნაში დახელოვნებულ ბიზნესმენებს მიუგდო საჯიჯვანად);
- პრესის დარბევასა და ტელეკომპანია “იმედი“-ს კანონიერი მფლობელისათვის წართმევაში;
- უდანაშაულო ახალგაზრდების ხალხის თვალწინ ჩაცხრილებაში.
- საქართველოზე ახალი ნარკოტრაფიკის გაჭრასა და მის მფარველობაში;
- ეკლესიების ნგრევისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ “ეფექტურად” ბრძოლაში...

ნუღარ ჩამოვთვლით აქ ყველა უბედურებას, რაც სააკაშვილმა და ნაცებმა მოგვახვიეს თავს, რადგან ისინი სერუპულ-ლოზურადაა ჩამოთვლილი კონკრეტულ ბრადლებებში პროკურატურის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში, რის გამოც სააკაშვილი დაკითხვაზე დაბარებული, ჯერ ვაჯრობით მოწმის რანგში!

ნაცები კი კვლავ უტიფრად ამტკიცებენ, რომ არავითარი დანაშაული არ ჩავედენია და ჩვენს წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეები პოლიტიკური დევნის შემადგენელიაო. ავადსახსენებელი კანდე-ლაკების, გაბაშვილების, დარჩიაშვილების, თაქთაქიშვილების, რატიანების, წიკლაურების, ჭაბებრაშვილების ჯაფარბეგების, მინაშვილების და სხვა პირწავარდნილი ნაცების შემხედვარეს უნებლიედ მახსენდება ვარლამ არავიძის სიტყვები კინოფილმ “მონანიებიდან”: – დოქსოპულო, შენ დედა გვავს? და, თქვე უბედურო და დედის რქინაკლულო ნაცები, თუ მშობლები და გულშემატკივრები გვავთ, რატომ არ გასწავლავს ჭეშმარიტებისადმი საღი მდგომა, ან რა გასწავლავს ასეთი იმ ამერიკულ სასწავლებელში, რომ თქვენი მოსმენა და თქვენი დანახვა, უბრალოდ, გულისამრევი,

თქვენივე ურცხვი და თავხედური პოზიციის გამო?

ეს ის არაადამიანები არიან, რომლებიც ჩვენი წინაპრების მიერ ქმნილ უამრავ სიკეთეს ვერ ხედავდნენ და ამიტომაც კერფოდნენ ყოველნაირ ევროამერიკულ სიმახინჯეებს. მათ საერთოდ დაკარგული აქვთ სიკეთის დანახვის უნარი და ამიტომაც მუდამ სობოროტეს სნადიდდნენ! ისინი ახლაც მზად არიან ძალისმიერი მეთოდებით დაიბრუნონ ძალაუფლება და კვლავაც ძველებური შემართებით გააგრძელონ ქართველი ხალხის დათრგუნვა, მაგრამ უმაღლესი მკვდრები გაცოცხლდებიან, ვიდრე ნაცები დაბრუნდებიან ხელისუფლებაში. იმიტომ, რომ თავდაცვითი ხანია გარდაცვალებულ და ტყუილად აქვთ ჯოჯოხეთიდან აღდგომის იმედი!

**სათრეველები**

**თქვენი „ცოცხოსნისა“ ორბანის“ დაკრძალვაზე**

**უპანასკნელი ღურსმანი**

ძალიან გვიან, მაგრამ გაპვიან, რასაც „ნაცების“ პარტია ჰქვია; და ეს კარგია, ძალზე კარგია, რადგან მოვრჩებით აურზაურს და

„ცოცხოსნის“ კუბოს ღურსმანს დაეუსვამთ.

...ამ მოლოდინში წუთები რბიან და ვრქვათ,

ვინ სად დგას და ვინ სად გდია!

**უპანასკნელი აპორდი**

ითქვა: დღე უდგას უსიამესი „ნაცის“ ნაწამებ უიმედოსო და ახლა ცეკვის ჰანგად ჩაესმის, დაკრძალვისას

რომ ისმენს მენდელსონს.

**ალექსანდრე შენგელია**

თაველები” თავგამოდებით ცდილობენ სააკაშვილის რეანიმირებას მასთან ღმინისმოძვერელი ინტერვიუებით, რომელიც გულდაგულ იკადნის, რომ საქართველოში მალე ჩამოვალ და მონობისგან გაგანთავისუფლებო, მაგრამ იმას ვერ ხედავთ, რომ საქართველოში აუცილებლად ჩამოიყვანენ, და არა ჩამოვა...

საინტერესოა, ვის დახმარებს საქართველოს განთავისუფლებისათვის გამართულ ბრძოლაში – ალბათ საქართველოში არაღვლად ურად მოქმედ “მეხუთე კოლონას” – სომეხ დაშნაკებს, რადგან ქართველებს შორის მას დახმარდენი ძალა პრაქტიკულად აღარ გააჩნია.

როცა ტელეინტერვიუს აძლევდა ჟურნალისტად წოდებულ ნაცთა ერთ-ერთ რუპორს გიორგი გაბუნია, იმედი გაგვიჩნდა, რომ რომელიმე დანაშაულს მაინც მოინანიებდა, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ – სად დაშნაკი მეგახსე მიხოს და სად მონანიება?! ისეთი სურათი დახატა, რომ არჩევნები პუტინმა წააგებინა, იმიტომ, რომ ქართველი ხალხი შეცდომაში შეიყვანა, ივანიშვილს კი ორი მილიარდი დოლარი ანუქა არჩევნების მოსაგებად, რომ გირგვლიანის მკვლელობის საბრალდებო დასკვნა სტრასბურგის სასამართლოში თუა წულუკიანს დაუწერია, თორემ, ასე რომ არ ყოფილიყო, შეიძლება მისთვის ნობელის პრემიაც კი მიეცათ მკვლელობის გამოჩენილი გულმოწყალებისა და მათ ამნისტირებაში...

მოკლედ, ყველაფერში თურმე დამნაშავეები ის ქართველები ვართ, რომელთაც სააკაშვილისა და მისი “ნაცების ამაგი” სათანადოდ ვერ დავაფასეთ და პოლიტიკურ მოუსაველეში გაეწვიეთ! ამიტომ, ვერ აზრობს როდის, მაგრამ იცის, რომ აუცილებლად “ჩამოვა” საქართველოში!

სიმართლე კი ისაა, რომ ამ საღახანა დაშნაკს ნამდვილად აღარ ჩამოესვლება საქართველოში და ახლა მისადმი სამართლებრივი დევნა პოლიტიკურ ანგარიშსწორებად და პუტინის შეკვეთად სურს შეასაღოს საზოგადოებას. ასეთ შემთხვევაში სააკაშვილის თანამემამულე სომეხები სინანულით ამბობენ ხოლმე: “ე, ტუტუც, სპასი ვლი, ტო, ბნელა მთავარიან ღამეში”

მძიმედ, ტაბით, მაგრამ ქვეყანამ მაინც დააღწია თავი ნაციონალთა ჭაობს და ახლა წინ მიიწვეს სანუკვარი მიზნის მისაღწევად. როგორც იქნა, ქართული საზოგადოების ჯანსაღმა ნაწილმა შეიმდგნა, რომ თუ რუსეთთან კეთილმეზობლად ვინა ტრადიციულად მეგობრულ ურთიერთობებს დროულად არ ადვადგენთ, სხვაგვარად კატეგორიულად გამორიცხულია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე ოცნებაც კი, და რაც მთავარია, ხალხს უკვე აღარ ეშინია თავისი აზრის ხმამაღლა წარმოთქმისა, არ ეშინიათ, რომ დააპატიმრებენ, თუ რესტორანში რუსული სიმღერა შეუკვეთეს...

მართლაც შეასაუკუნოვანი სიბნელე გამოსჭვივოდა ნაციონალთა ყოველი სიტყვისა და საქმისგან! მეტად მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვეს უსახურმა ნაცებმა (უსახურობის ნათელ მაგალითად თუნდაც გივი თარგამაძე კმარა, რომელსაც პირი არა აქვს და მაინც ლაპარაკობს) და 9 წლის განმავლობაში მათ მიერ დანაგვიანებული საზოგადოების გაკეთილშობილებას ალბათ ათწლეულები დასჭირდება.

მოკლედ, უკანასკნელი ღურსმნის ჩაჭედება-და დაგვრნა ნაცთა კუბოში!

**როლანდ ჯალაღანიძე,**  
“აია“-ს და “შახისი“-ს აკადემიების წევრი



### სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" თავმჯდომარეს ბატონ ალექსანდრე ჯაჭიას!

ბატონო ალექსანდრე!  
გულითადად გილოცავთ თქვენს დაჯილდოებას რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინის მიერ რუსეთის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდოთი – "დირსმის ორდენით" ("Орден Почета")!  
ორმაგად სასიხარულოა ის, რომ ქართველთაგან თქვენ პირველს გადმოგვცათ ესოდენ მაღალი ჯილდო, ორი ერის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის.  
მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოგილოცოთ პირველი მაღალი ჯილდოც – "ხალხთა მებრძოლის ორდენით", რომლითაც რამდენიმე წლის წინათ დაგაჯილდოვებდნენ რუსეთის უმაღლესმა ხელისუფლებამ. თქვენი დაჯილდოება მხოლოდ თქვენი ღვაწლის აღიარება არ გახლავთ – იგი საქართველოს დაფასებაა და რუსეთის მიერ ჩვენი სამშობლოსადმი კეთილი ნების გამოვლენაც. იქნებ ახლა მინც ირწმუნონ ჩვენი მრავალი უბედურების მიზეზმა ანტიქართველმა ნაციონალებმა და მათმა ერთმა მუჭა დამპყმებმა, რომ რუსეთი ჩვენი მტერი არ გახლავთ, რომ სწორედ დაშნაკურმა "ნაციონალისტურმა" ხელისუფლებამ და მათმა დორბლიანმა "ბელადმა" მიხედვით სააკაშვილმა, თავიანთი პროვოკაციული ქმედებებით, აიძულეს რუსე-

ბი, რომ იარაღი გამოეყენებინათ ჩვენს წინააღმდეგ.  
რუსეთის ხელისუფლების მიერ თქვენდამი გამოვლენილი ამგვარი ყურადღება და პატივისცემა იმის მტკიცე იმედს გეინერგავს, რომ მალე აღდგება კეთილმეზობლური ურთიერთობები ჩვენს ჩრდილოელ მეზობელსა და საქართველოს შორის და, ამასთან, საფუძველი ჩაეყრება ჩვენთვის ესოდენ სანუგავარ – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეს!  
მრავალი პოლიტიკოსი მკერდზე მუშტის ბრაგუნით გვიპირდებოდა რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი საქმე სიტყვაზე წინ არასოდეს წასულა. თქვენი ავტორიტეტი რუსეთის მმართველ წრეებში კი იმის იმედს იძლევა, რომ ჩრდილოელ მეზობელთან დაკავშირებული ყველა პრობლემა სწრაფად და უმტკივნეულოდ მოგვარდება, თუ შერიგების პროცესებს თქვენ ჩაუდგებით სათავეში.  
თქვენ ვაღაფრებოდათ კი ხართ აღადგინოთ ქართველებსა და რუსებს შორის ჩატეხილი მეგობრობის ხიდი!  
დიდი პატივისცემით,  
ვრიდონ შალამბერიძე, აბაშა

### სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" თავმჯდომარეს ბატონ ალექსანდრე ჯაჭიას!

ბატონო ალექსანდრე,  
მალიან გაგვასარა ცნობამ იმის თაობაზე, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ბატონმა ვლადიმერ პუტინმა პირადად დაგაჯილდოვებთ "დირსმის ორდენით", ქართველ და რუს ხალხთა მეგობრობის საქმეში შეტანილი ფასდაუდებელი ღვაწლისათვის!  
ეს მხოლოდ ქართველი ხალხის მტრებს არ გაეხარდებათ, რადგან თქვენი ღვაწლი ხელს უშლის მათ მოღალატეობრივ საქმიანობას და სააშკარაზე გამოაქვს მათი ბნელი საქმეები.  
ჯერ კიდევ მძლავრად მუშაობს სააკაშვილის ნაცთა შხამიანი დევიზი: "ყველა, მინც რუსეთისადმი სიმპატიას აქვს, მისთვის მისთვის კოლონის ჯარისკაცი და საშობლო მორალატაა". არა და, რაც ნაცებმა საქართველოს მიმართ სიბოროტე ჩაიდინეს, დალატზე ბევრად მეტია, მაგრამ მინც არ შეიძლება ნაციონალთა დესტრუქციული საქმიანობა სამშობლოს დალატად ჩავთვალოთ, რადგან საქართველო არასოდეს ყოფილა სააკაშვილისა და მისი ნაციონალისტური ბანდის სამშობლო. საქართველო მათთვის მხოლოდ ის "მეწველი ძროხა" იყო, რომელმაც ამ უჯიშოებს არამად ნაშოვნი მილიონობით დოლარი შესძინა და გუშინდელი ქუჩის ბიჭები და მათხორები – უგულავე-

ბი, წერეთლები ბოკერიები, ბოზხიძეები, თარგამაძეები და ძმანი მათნი – მულტიმილიონერებად აქცია.  
გუშინ არაფერი ჰქონდათ, დღეს კი ყველაფერი აქვთ ზნეობისა და სინდისის გარდა, ამიტომ, თქვენი ჯილდო, რომელიც ძვირფასი სამშობლოსადმი უანგარო დევიზი და თავაუღებელი შრომით დაიმსახურეთ, დიდს არაფერს წარმოადგენს მათთვის, რადგან ამ უსახურებს აინტერესებთ მხოლოდ დიდი ფული, დიდი ქონება, ფუფუნება, უცხოური ვოიაჟები, ბოტოქსი, მასაჟები, კაპუები...  
ამიტომაც ვმინათ მართლმსაჯულების, რადგან იციან, რომ ციხეში მოხვედრის შემდგომ ეს ფუფუნება აღარ ექნებათ, მაგრამ ისიც კარგად იციან, რომ დამსახურებულ სასჯელს ვერსად დაუძვრებიან!  
თქვენ კი თქვენი გზა გაქვთ, ბატონო ალექსანდრე, და ეს გზა უეჭველად მიგიყვანთ იმ დიდ გამარჯვებამდე, რასაც საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება და მისი აღორძინება ჰქვია!  
კვლავაც წარმატების გზით გველოთ, ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს საკეთილდღეოდ!  
პატივისცემით,  
გალერი ჯალაღანიძე, მხატვარი, მოქანდაკე, თბილისი

## საქინფორმი: მერე რა, რომ საქართველოს არა აქვს დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან?! სამაბიეროდ, გუშინდელი დღიდან ჩვენ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა ტუვალუსთან, რომელმაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება გადაიფიქრა!

ძვირფასო მკითხველო! ეს – საპირველპირი ხუმრობა არ არის, დღეს საქართველოში საყოველთაო სიხარული და ზეიმი, განსაკუთრებით – საგარეო საქმეთა სამინისტროში. გუშინ ხომ წყნარი ოკეანის სახელმწიფო ტუვალუმ უკან გაიწვია თავისი გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ (რომელიც 2011 წლის სექტემბერში მიიღო) და საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა!  
ოქმს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ თბილისში ხელი

მოაწერეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მათა ფანჯიკიძემ და ტუვალუს გარემოს დაცვის, საგარეო საქმეთა, შრომისა და ვაჭრობის მინისტრმა ტუკელინა ფინიკასომ. მასში ნათქვამია, რომ "ტუვალუ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მისი რეგიონების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით".  
კომპეტენტური ინფორმაციით, მთელი ეს ოპერაცია საქართველოს რაღაც წვრილმანები დაუჯდა – რამდენიმე მილიონიანი ინვესტიცია ტუვალუს ტერიტორიაში, სადაც ქართველი ტურისტები ქართველ დამსვენებლებს გაგზავნიან, აგრეთვე ორიოდე საყურე და ბეჭედი თავად

მათა ფანჯიკიძისთვის, რომელმაც გუშინ მხურვალე მადლობა გადაუხადა ტუვალუს მთავრობას.  
"დღევანდელი დღე ნათელი მაგალითია იმისა, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა ძალადობრივი ან რაიმე სხვა უკანონო გზით მხოლოდ დროებით მოგვლენაა. ტუვალუ მაგალითი იქნება იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობას აღიარებენ".  
2011 წლის 20 ივნისს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ გადაწყვეტილება ვანუატუმ გაიწვია. ეს ქვეყანა



### ბაირო აფხაზეთს 15 მილიონ დოლარს გამოუყოფს – რა ინფორმაცია აქვს ფანჯიკიძეს?



"აპსინპრესის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბაირო აფხაზეთში პროექტების განსახორციელებლად 15 მილიონ დოლარს გამოყოფს. გამოცემის ინფორმაციით, საქართველოში ბაირო-ს მუდმივი კოორდინატორის, ნილს სკოტის სოხუმში ვიზიტისას გახდა ცნობილი, სადაც ნილს სკოტი ოკუპირებული აფხაზეთის დეფაქტო პრეზიდენტ ალექსანდრე ანკუაბს შეხვდა და დაფინანსების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.  
"ეს თანხა შეიძლება გაიზარდოს, თუ აფხაზეთის ხელისუფლება პირდაპირ მამართავს ბაირო-ს დონორ ქვეყნებს და მათ აფხაზეთში ფულის ჩადების აუცილე-

ბლობაში დაარწმუნებს" – ამბობს სკოტი. ბაირო აფხაზეთში პროექტების განსახორციელებლად 15 მილიონ დოლარს გამოყოფს ფაქტს, თბილისშიც გამოეხმაურნენ. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა მათა ფანჯიკიძემ განაცხადა, ბაირო აფხაზეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის პროექტებს ახორციელებს და ეს პირველად არ ხდება. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება კი ყოველთვის არის ინფორმირებული ასეთი პროექტების შესახებ, რადგან ისინი საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება.  
"ახლაც არის ზუსტად ასეთივე სიტუაცია და, სამწუხაროდ, არაერთხელ ყოფილა შემთხვევები, როდესაც დეფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ, რომ მსგავსი კონტაქტები, რომელიც აქვთ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებას გაგვლით წარმოაჩინონ როგორც დამოუკიდებელი კონტაქტები. შესაბამისად, ამ მხრივ, ეს არის ინფორმაცია. რაც შეეხება პროექტებს, ჩვენ ასეთი პროექტების განხორციელებას მივესალმებით", – განაცხადა მათა ფანჯიკიძემ. ცნობილი გახდა, რომ საგარეო უწყებაში ბაირო-ს წარმომადგენელს შეხვდნენ და მასთან ამ საკითხზე დეტალურად ისაუბრეს.

### სოხუმში აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების კონცეფციის პრეზენტაცია გაიმართა

აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების პარტიამ (ЭПА) შეიმუშავა რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების კონცეფცია. მისი პრეზენტაცია 2014 წლის 11 მარტს გაიმართა პარტიის და რესპუბლიკის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭოს ოფისში.  
კონცეფცია წარადგინა ЭПА-ს ლიდერმა, პარლამენტის დეპუტატმა ბესლან ბუთბამ. მისი თქმით, კონცეფცია სამ თემატურ ნაწილად არის გაყოფილი. მათში დაწვრილებული არის გადმოცემული ავტორების ხედვა იმის თაობაზე, როგორ უნდა განვითარდეს, ჯერ ერთი, რესპუბლიკის რეგიონები, მეორეც ერთი, ეკონომიკის დარგები, ხოლო პროექტის მესამე ნაწილში შეთავაზებული იქნება მეურნეობის ახალი მეთოდები. საკოორდინაციო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე საუბარი იყო კონცეფციის პირველ ნაწილზე. რა უნდა გაკეთდეს, რომ რესპუბლიკის ყველა რაიონი პარმონიულად განვითარდეს?  
გუდალათის რაიონში, ბუთბას აზრით, შესაძლებელია ზაფხულის და ზამთრის ტურიზმის განვითარება, მაგალითად, ბზიფის ხეობის გამოყენებით.  
კონცეფციის მიხედვით, სოხუმში რესპუბლიკის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად უნდა დარჩეს. დედაქალაქში წარმოების განვითარება მინიმალურად არის საჭირო. თავისუფალი სავაჭრო ზონაა

გათვალისწინებული ონაშირეში. მაგრამ, როგორც ბესლან ბუთბამ აღნიშნა, კონცეფციის ღირებულება ონაშირეს გარშემო ინოვაციური ქალაქის შექმნა, სადაც თავმოყრილი იქნება რესპუბლიკის საუკეთესო ინტელექტუალები. ტყვარნელი ინოვაციური ქალაქისთვის საწარმოო მოედანი უნდა გახდეს. აქ, ბესლან ბუთბას აზრით, საინტერესოა ჩინეთის გამოცდილება, სადაც რვა ინოვაციური ცენტრია შექმნილი.  
კონცეფციის თანახმად, გაღის რაიონმა სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრის სტატუსი უნდა მიიღოს. დღეს აფხაზეთი ამ სფეროში არსებულ პოტენციალს არ იყენებს. სოფლის მეურნეობის განვითარებას კონცეფციაში მთელი თავები ეძღვნება. ბესლან ბუთბამ რწმუნა გამოთქვა, რომ ინვესტორები იქ მიდიან, სადაც მართლწესრიგი და ნდობაა. საკოორდინაციო საბჭოს წევრები ბამბუკის ხელსაყრელი წარმოებით და გადაამუშავებით დაინტერესდნენ, რომელსაც სხვა ქვეყნებში საშენ მასალად იყენებენ. პრეზენტაციის შემდეგ აზრთა ცაცვლა-გამოცვლა გაიმართა.  
შეხვედრის დასასრულს საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ პარტია ЭПА-ს მიერ შეთავაზებული კონცეფცია შესაძლოა აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების მომავალი პროგრამისთვის კარგი ღირებულება გახდეს.



# აბაშაში ზვიად გამსახურდიას 75 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება ბაიშარტა

ამას წინათ გამოქვეყნდა საზოგადოება "აბაშელის" (სახალხო მოძრაობა "სამშობლოს" შეიღობილი ორგანიზაცია) შექმნილი შინაარსის მილოცვა სრულიად საქართველოს ერის მამულიშვილების, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას და მისი ქრისტესმთავარი ძმის მერაბ კოსტავას დაბადებიდან 75-ე წლისთავს.

ამ ორი ძმის მოწამეობრივმა ცხოვრებამ შეძლო გამოეღვივებინა, დასაბამიდან თითოეულ ქართველში ჩაბუდებული თავისუფლების იდეა და ერმაც აიტაცა დიდი ილიას მოწოდება: "მამული ენა სარწმუნოება".

საბუნებრივად, დღესაც მრავლად არიან ამ მრწამსის მატარებელი ქართველები და: – "კიდევაც დაიზრდებიან ალგუთს ლეკვები მგლისანი".

უფალმა დალოცოს სრულიად საქართველო!

ამა წლის 31 მარტს, ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ქ. აბაშაში ჩატარდება საზეიმო ღონისძიება.

პანაშეიდი გადახდილ იქნა აბაშის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში.

საღამოზე ნაჩვენები იქნა კადრები არქივიდან, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღებას და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს ასახავს, მოგონებებით გამოვიდნენ პრეზიდენტის თანამოაზრეები. მსახიობებმა სცენაზე ზვიად გამსახურდიას ნაწარმოებები გააცოცხლეს, შესრულდა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რამდენიმე ნაწარმოები. თეატრის ფოიეში გაიმართა ფოტოგამოფენა. შეხვედრის მონაწილეებმა დიდი მადლობა გამოუცხადეს სახალხო მოძრაობა "სამშობლოს" ყველა წევრსა და მოძრაობის თავმჯდომარეს ალექსანდრე ჭაჭიას, რომლის ინიციატივითაც დაიდგა ზვიად გამსახურდიას ერთადერთი ძეგლი ქალაქ ზუგდიდში. მათ, ასევე მიულოცეს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიერ მისთვის გადაცემული რუსეთის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდო: "საპატიო ნიშნის ორდენი".

თბილისის საკრებულოსა და მერიის ინიციატივით წესდება ზვიად გამსახურდიას სახელობის პრემია, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გაიცემა ლიტერატურის, მეცნიერებისა და პუბლიცისტიკის სფეროში განსაკუთრებული მიღწევებისათვის. საიუბილეო საღამოს მსვლელობისას პრემიის პირველ ლაურეატებს გადაეცემა. მაგრამ ეს აშკარად არაა საკმარისი დიდი ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის სახელის უკვდავსაყოფად. ამიტომ, სახალხო მოძრაობა "სამშობლოს", საზოგადოება "აბაშელი" და აბაშის საზოგადოება მოითხოვენ საქართველოს მთავრო-

ბისაგან, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტს დაერქვას ზვიად გამსახურდიას სახელი, თბილისში დაიდგას ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ძეგლი და დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ან მოედანს მიენიჭოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახელი.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სახალხო მოძრაობა "სამშობლოს"-ს მთავარი საბჭოს წევრი ზაურ გახარია, ჟურნალ "აია"-ს რედაქტორი გიორგი სიჭინავა, გაზეთ "ილორის"-ს მთავარი რედაქტორი როლანდ ჯალაღანია, სახალხო მოძრაობა "სამშობლოს" წარმომადგენლები ზუგდიდიდან, სახალხო მოძრაობა "სამშობლოს" ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელის ბატონ ზ. კვარაცხელიას თავკაცობით, წალენჯიხიდან – ბატონი მ. ძაძაძია, მარტვილიდან – ბატონი ფ. ნადარაია, სენაკიდან – ბატონი ბ. დავითაია, საეკლესიო პირები და სხვები.

ღონისძიების ინიციატორი და მთავარი განმახორციელებელი იყო საზოგადოება "აბაშელი", რომელთან ერთადაც მხარდამხარ იღებოდა აბაშის გამგეობა, მუნიციპალიტეტი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები: "ჰელსინკის კავშირი", "ილია მართლის საზოგადოება", "ეროვნული გზარდის ვებმარნათა კავშირი" და "ეროვნული მოძრაობის ვებმარნათა კავშირი". მათმა ინიციატივამ, აბაშის ცენტრალურ პარკს მინიჭებოდა ზვიადის და მერაბის სახელი, სრული მხარდაჭერა პპოვა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოში და მ. წ. 25 მარტს, მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, პარკს ეწოდა ზვიადის და მერაბის სახელი. 31 მარტის ღონისძიების მომზადებას და ჩატარებაში აქტიურად იყო ჩართული აბაშის კულტურის განყოფილება და კულტურის სახლის თანამშრომლები და ის დღეებითი შეფასება რაც ამ ღონისძიებამ დაიმსახურა, სწორედ მათ ეკუთვნის.

კულტურის სახლში მოხსენებით გამოვიდა საზოგადოება "აბაშელის" თავმჯდომარე ვახტანგ კეკელია, რომელმაც საზოგადოებას მიულოცა ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე, რეფერენდუმის 23 წლისთავი და ზვიადის და მერაბის დაბადებიდან 75-ე წელი. მან, ასევე, მადლობა გადაუხადა სახალხო მოძრაობა "სამშობლოს" მთავარ კორდინატორს ზაურ გახარიას დახმარებისათვის და ჟურნალ "ისტორიული მემკვიდრეობის" სპეციალური ნომრის გამოცემისათვის, რომელიც მიეძღვნათ ზვიადსა და მერაბს. "ილია მართლის საზოგადოების" თავმჯდომარემ ტარიელ ანდლუაძემ წაიკითხა აბაშის პელსინკის კავშირის უხუცესი წევრის (87 წლის), მმთამკვლელ ომში შევიდალუპულ მამის, 2013 წლიდან აბაშის საპატიო მოქალაქის რეზო ალანაის მიმართვა.

საკუთარი მეგრული ლექსი წაიკითხა ძველბაშელმა პოეტმა მალხაზ გრიგოლიამ. სტუმრებიდან საზოგადოებას სიტყვით მიმართეს მამანტი ძაძაძიამ, გაზეთ "ილორის" მთავარმა რედაქტორმა როლანდ ჯალაღანია, სენაკელმა მწერალმა ბორის დავითაიამ და სხვებმა.

საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა ზ. გახარიასა და რ. ჯალაღანიას საჩუქრად ჩამოტანილი წიგნებისა და ჟურნალებისათვის და მ. ძაძაძიას – მეგრული ენის ლექსიკონის შედგენისათვის კ. გამსახურდიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გადაცემის გამო.

სრულიად საქართველო გამოეხმაურა ამ საერთო-სახალხო დღესასწაულს და საკუთარი აზრი დააფიქსირა ეროვნულ გმირთა მოწამეობრივ ცხოვრებასა და მათ აღსასრულზე. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მხოლოდ ერთი პოსტი გაგაცნოთ, რომელიც ჩვენი ავტორის, ახალგაზრდა პოეტისა და მეცნიერის გიორგი ხულორდავას "ფიქსიონის" გვერდიდან ამოვიღეთ:

"ბოლოს ქართველები ისეთები, როგორებიცაა გამაყობდი 9 აპრილის მერე, 26 მაისს ენახე – ზვიადი და მერაბი რომ ციხიდან გამოვიდნენ და ზღაფსავით ხალხი დაჩოქილი იდგარუსთაველზე.


ერთმანეთს რომ სიყვარულით უყურებდნენ! სწორედ მაშინ გამაყობდი ჩემი ქართველობით!

იმის მერე იმდენი რამე შეიცვალა საქართველოში, ისე გადააჯიშეს ქართველი ხალხი... რომ სულ ნაკლები, ის 40 წელი უნდა, მოსემ რომ უდაბნოში ატარა ებრაელები და აღთქმულ ქვეყანაში არ შეიყვანა!

ახლიდან უნდა დაიბადონ სულ-მართალნი, ნადლი ქართველები!

ნამდვილად სერიოზულ ეჭვს აღძრავს ის ამბავი, რომ დღემდე გამოუძიებელია ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ფრიად საეჭვო ვითარებაში დაღუპვის ფაქტი. დიდი გამოსადიებელი და თავსატეხი აქ თითქმის არაფერია, რადგან ყველა მკვლელობის კვალს შევარდნაძემდე მივყავართ, მაგრამ, როგორც ჩანს, ამერიკელები არასოდეს დაუშვებენ, რომ ჭეშმარიტებამ იხეიმოს და მთავარმა დამნაშავე შევარდნაძემ პასუხი აგოს მართლმსაჯულების წინაშე, რადგან ამ არაკაცმა დიდი როლი ითამაშა ვეროამერიკელთა ვერაგული ჩანაფიქრის – საბჭოთა კავშირის დანგრევის გეგმის სისრულეში მოყვანის საქმეში!

ამიტომაც უხით შევარდნაძე კრწანისის "ოქროს გალიაში" და ნაკლებ სარწმუნოა, რომ უახლესი ისტორიის განმავლობაში ნათელი მოეფინოს ამ ორი დიდი ქართველი მოღვაწის ბინდით მოსილი დაღუპვის ამბავს!



ჩვენო ძმაო და მეგობარო, საყვარელო ადამიანო, კარგო ქართველო! ჩვენო გიზო!

50 წელი ეს ნახევარი საუკუნეა. სათქმელად, თითქოს, ბევრი, კაცის ცხოვრებისთვის კი თვალის ერთი დახამხამება, შუადღე და მეტი არც არაფერი.


ისე, კაცსაც გააჩნია და ცხოვრებასაც... ბარათაშვილმა სულ 27 წელი იცხოვრა, მაგრამ მარადიულობას შეერწევა. მარადიულობასთან ასოცირდა მისი სახელი... და, ასე უთვალავი არა, მაგრამ ბევრი მამულიშვილის სახელი დაიწერა სამარადისოდ გულმკერდზე დედისამშობლომ.

ბედნიერი ხარ, ბატონო გიზო, რომ სამშობლოზე უკეთ არასოდეს გიცხოვრია. გტკიოდა და გტკივა ქვეყნის სატიკვარი. შენ არა მარტო კარგი მხატვარი, ჭეშმარიტი ქართველი და ერისკაცი ხარ. ერისკაცი, რომელიც უცვლელად დგახარ ეროვნული მოძრაობის ფლაგმანად. დმერთია მოწმე და კარგად ვიცით შენმა ქალაქმა, შენმა სამშობლომ, რომ შენ „პირადი ცხოვრება“ რასაც ჰქვია, დღემდე არ გქონია. პოეტის სიტყვები: „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“ შენთვის იყო და არის ის ჯადოსნური მაგია, ურყევი მოწოდება, რაც აზრსა და შინაარს აძლევს შენს ბრძოლას ქვეყნის კეთილდღეობისთვის, გაძლევს ძალას გაუძლო წინააღმდეგობებს... გილოცავთ, ძმაო, 50 წლის იუბილეს!

შენი ბედნიერება გაბრწყინებული, ერთიანი საქართველოს ხილვაა... ჯერ შუადღის მზე დაღანებს შენს ცხოვრებაში. გაბრწყინებულ საქართველოში ცხოვრებასა და შემოქმედებით წარმატებებს მოგისურვებთ!

აბელ კალანდია  
მუხრან ღემური  
ვატი ნაჭყბია  
როლანდ შარია  
ნანი თოღუა  
ნუზარ ჩხეტიანი  
თოზაშინა თოღუა  
მამუკა სალია

## ხატი, რომელსაც სისხლი სდის – ფოტო ზუბედიდინ



ზუგდიდში, ღვთისმშობლის შობის ტაძარში ხატს თვალებიდან სისხლი სდის. ადამიანთა ნაწილი ფოტოზე ასახულს სასწაულს უწოდებს, სეპატკოსები კი მიიჩნევენ, რომ ეს ფოტომონტაჟია.

რელიგიის სფეროში მართლაც ხდება მრავალი სასწაული, რომლის ახსნას მეცნიერები ვერ ახერხებენ. ერთ-ერთი ასეთი სასწაული გახლავთ იუგოსლავიის მთიანეთში მდებარე მონასტერი, სადაც გარკვეულ დღეებში შხამიანი გველები იყრიან თავს. ქვეწარმავლები სამი დღის განმავლობაში აბსოლუტურად უვნებლები ხდებიან. შემდეგ ქვეწარმავლები კვლავ ძველ თვისებებს იძენენ, ტყვეებს უბრუნდებიან და ამ დროს მათ რომ არ მოერიდოთ, შეიძლება დაგშხამონ.





# სიცოცხლეშივე უკვდავებად და ლებენდად ქცეულნი

**„ედგენება მამანტი ძაძამიას დაბადების 73-ე წელს“  
მოკლე ამონაწერები  
შვიდტომიანი ცალკეული  
ტომების სახით:**

**ნაყოფიერ ღვინოვანი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი:  
„ეს ჭეშმარიტად სოლიდური ნაშრომი წარმოადგენს უნიკალურ გამოკვლევას. იგი ყოველი მოაზროვნე და პატრიოტი მკითხველისათვის ძვირფასი ნაწიწია!“  
ამასთან, ამ უებრო ნაშრომის საფუძვლიანი განხილვა-გაანალიზება და სისტემად ჩამოყალიბებული დასკვნების გამოტანა ფრიად საშური, მაგრამ საკმაოდ რთული და ძნელი გახლავთ. მას სათანადოდ დროც სჭირდება.“  
**ოთხარ მიძინაშვილი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი:

არა მარტო ჩვენს ენათმეცნიერებაში...  
20 მილიონი სიტყვა ერთი ტომის მეტყველებაში კი არა ერთი შრის ენაშიაც მართლაც იწვევს დაუჯერებლობას, მაგრამ ვინც ამ ოცტომეულს წაიკითხავს, მას ეს დაუჯერებლობა მოეხსენება. უდრეხი მადლობა მის ავტორებს გასაცარი მადლი-ნიჭიერებისა და სწორუბოვარი მეცნიერული ნაშრომისათვის“ (რეცენზიიდან: „გამორჩეული ნიშანსვეტი ქართველური ენების შესწავლის გზაზე“, 26.02.08 წ.).  
**ჯამალ ჯინჯიბაძე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი:

„სრულიად აშკარაა, რომ კაცთა მოდგმის ყოველგვარი ცივილიზაციის საწყისი და ამ საწყისის საწყისიც ენა გახლავთ... ენა, რომლის წარმოშობის დადგენა საუკუნეთა მანძილზე სანუკვარი ოცნება იყო კაცობრიობისათვის. ეს ყველას მიუწვდომელი ეგონა.  
„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმოშობა“ უდავოდ ტიტანური შრომაა, რომელმაც გახსნა ენის წარმოშობის საიდუმლოება და ქვეყნიერებას ამცნო, რომ ადამიანს განგებამ თვითონ წარმოაქმნევინა საკუთარი ენა, სრულიად ბუნებრივი გზით.“

რამდენი ხანია ქართველურ ენათა ეს ერთ-ერთი მარგალიტი, უღამახესი და უტბები ენა, ელოდება დროს, როცა დაიწყება მისი უკიდურესი სიდიადის შესწავლა. ეს დროც დადგა. ყინული დაძრულია“ (რეცენზიიდან „ტიტანური შრომა“, მარტი, 2008 წ.).

**მოკლე ამონარიდები ცალკეული საბაზეთო სტატიებიდან:**

„ეს შვიდტომეული იმდენად უნიკალური მოვლენაა, რომლის მსგავსის წარმოდგენასაც ვერ შევძლებდი“

**(ვალერი კვარაცხელია**, აკადემიკოსი, გაზ. „საქავალ-დასავალი“, 44, 2007).  
„ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე თავს ნებას მივცემ განვაცხადო: ძვირფასო მეგობრებო! თქვენით შეუძლია იამაყოს მშობლიურმა გვარმა, სამეგრელომ და სრულიად საქართველომ“ (**ბრამიტონ კვარაცხელია**, აკადემიკოსი, სტატიიდან „ძვირფასო შენაძინი“, გაზ. „რადიო“, 12, 2008 წ.).

„თქვენნიერი მეცნიერები რომ ჩვენს მეზობელ არმენებს ჰყავდეთ, ახლა მსოფლიო ექნებოდათ შეზანზარებული. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ თქვენ შეზანზარეთ ისინი და მთელ მსოფლიოს გადააწვდინეთ ხმა კოლხეთის უძველესი ცივილიზაციისა და ენობრივი სიმდიდრის შესახებ“ (**სოსო ხონელიძე**, გაზ. „ილორი“, 116, 10-17 მაისი, 2011 წ.).

„ადვილი წარმოსადგენია, რამდენად სრულყოფილი ისტორია ექნებოდა ქართველებს, რომ დიდ ივანეს ჰქონებოდა ის ინფორმაციები, რაც უკანასკნელი გამოკვლევებით იქნა მოპოვებული მამანტი და ცირა ძაძამიების მიერ „მეგრული ენის ლექსიკაზე და სიტყვათწარმოშობაზე“ (**ზმონის უთუთაშვილი**, გაზ. „ილორი“, 128, 19-26 ივლისი, 2011 წ.).

„ყოველწლიურ კატასტროფის პირობებში ჩვენს ცნობიერებაში შემოიჭრნენ: უდიდესი მასშტაბის ენათმეცნიერები, მამანტი და ცირა ძაძამიები თავიანთი საკაცობრიო მნიშვნელობის ნაშრომებით“ (**მონაწილე უბოგალი** (იოსებ პატარაშვილი), გაზ. „ილორი“, 116, 2011 წ.).

**პახუმუმიტიყვითა მიძინაშვილი:**  
თავისებურად ეხმიანებიან და აფასებენ მამანტი და ცირა ძაძამიების ღვაწლსა და ნაშრომებს პოეტები. აი, მათი ერთი ნაწილიც:

**მამანტი ძაძამიას (სონეტი)**

„შენ დაგანახეა შენში ღმერთი თითქოს განგებამ, რომ შორეული და გრძელეული განბი ბეპოვია; ურწმუნოებას ღვთაებრივი შენში ანგრევდა, – სიბუნებისათვის შარაგზა რომ გადაეღობა.“

შენში უთვლელი ძველკოლხური სიტყვა ნეტარებს, ვით ეღვარება უძველესი ოქროს საწყისს;

ჩვენი წარსული შენში ხედავს ნამდვილ მეზარეს, უბე კოლხეთის – ქართველურის ფუძე-საწყისი...  
წარსულმა შენში ოდინდელი იგროსი სილაღე, მახლობელივით სასოებით თითქოს გამთხვია; დღემდე მოჯარულს შენ მუსრს ავლებ ყველა სიყალბეს, კოლხურ ნათებას ბურუსივით რომ ახვევია...  
კოლხეთი ღრუბელს გადაიყრის ძველს და აწინდელს, რომ საქართველო უფლის ნებთ ისევ გაბრწყინდეს!

**ირინო კვარაცხელია** – ჟურნალისტი, პოეტი, ჟურნ. „აია“, №1, 1998 წ.

**ალექსი ლახარევი** (გუდგენი მამანტი ძაძამიას) სულ სხვა შუქი ადგას სიტყვებს შენით ნაგრძობა, დანაკვირვებს და წარსულის მრუშე ნისლში იმ ძველისძველ ექებ კვირბებს.

მშობელ ენის ცისფერ ზღვაში მიირწყვი როგორც არგო; ცდილობ, ერთი სიტყვაც მასში არ დარჩეს, არ მიიკარგოს.

მარგალიტის მაძიებლის მძლე ფილტვებით და მგლის მუხლით, – ჩვენი ენის ცერად მზირალს შენ არავის ქედს არ უხრი.

წარმართული სიტყვის ძირებს სინჯავ გზებით ორაკულის, – ენოსაგ ისე, ვით ენგურის ზვირთს კოლხიდის ორაკული.

**ზურაბ ცხორელია** – ჟურნალისტი, პოეტი. ლექსების კრებულიდან: „მშვიდობა ჩვენდა“, ზუგდიდი, 1998 წ.

**ლემსიდან „წარქვერა წიბნეში“** (მამანტი ძაძამიას)

შენ მოხველ რაღაც საოცარ ბიჯით, ეწვევი ნუშად უმძიმეს ჯაფას; გამოკვება მადლი ზენარულ ნიჭის, მორეგზე მარტომ გაშაღე აფრა. კოლხური განბის ჩასწვდი ლაბირინთს, და აცისკროვნე ბნელი შრეები, განგებას ვთხოვე, მძაო, ამ დილით, – უმრავლოს მამულს შვილი შენებრი. სიტყვის ფენომენს ჩხრეკ, ფხას უსინჯავ.

ესათუთები, თან აცმევე ბეჭეტარს; შენს გატაცებას არა აქვს მიჯნა, იცოცხლე, ჯანი გიმტოს ღმერთმა.

შეჭიდებიხარ დევს ცხრათაიანს საშვილიშვილო საქმის მოთავდელ; საქველო საქმით რომ ხარ მართალი, შეფიქრიანდა გულდრძო მოდავე.

შეჭიდებიხარ და მერე როგორ, ზღაპრული მოგვის ჯადო უნარით, – დაცალო, – ფსკერზე დანაღვე ოქროს ამოურწყველი რეზერვუარი!

ხარ უშურველად განბის გამცემი, ჩემო მამანტი, გოცნი, გეხვევი; შენს წიგნს ხატვიით ვვლაცვიცები, მგონია, მხრებით ზეცას ვხეხები!..

**გიგინტი ზიფია** 10 ნოემბერი, 1998 წ.

**მსარობი „მამანტი ძაძამიას“** (წიგნის პრეზენტაციაზე)

თქვენს დიდებულ ნაშრომებში კოლხი კაცის სული მოჩანს, ღვთიურ ნიჭს და წმინდა კალამს დიდი გულით დაგილოცავთ.

ბევრი რამე კაცურად თქვით, ბევრი უთქმელიც კი დაგრწათ, სურნელოვან ყვავილებით ავსებებთათ სულის ბაღსა.

მტერმა თავი შეგახსენათ, მაგრამ ამით ნუ შეკრთებით; ზენამ უკვე აგაფრიანათ, რომც შეგატარან აწი ფრთები...  
ღვთიურ კალამს დაგილოცავთ, უწმინდესო მზის ნათელი; კოლხი გენის ყივილია... „გოლუაფირო, თქვან სანთელი“!

**მიმონა ცანაზა** – ფილოლოგი, პოეტი, 10/X-98).  
**მს წიბნი: – ნაწილი**  
მამანტი, ცირა, – მამა და შვილი. ენა და სიტყვა, ფუძე და ძირი – პროტოქართული თუ პრეპროტოული, – იაფტური და პირველქმნილი. დედა-ენა და მამა-ფესველი – დაიწყებული, უწინოდ ქმნილი. წარსული, აწმყო და მომავალი სათუთად, ჩუმად შემონახული. გადალახული რუბიკონი და ცხრაკლიტულიდან დღეს გამოსხნილი ბუნების ენა – ენა ღვთიური, – გაცხადებული, გაბრწყინებული... მეგრული ენა – მეგრული ტკბილი: „ნანაში სქუა...“ „გოლუაფირო...“

**ირაკლი საჩაპურიძე**, – იურისტი, წარწერა წიგნზე „სიტყვათწარმოშობა – ენის წარმოშობის საფუძველი“, 19/IV-06 წ.).

**ვალერი ძაძამია**, გაზეთ „ნოჯიხურის“ რედაქტორი, მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს წევრი

## ეს ფადი ასლი ნაღდად სატანის ასლია!

ვერა და ვერ შევაყვარეთ მუსულმანებს ქართული სასმელები. ჯერ იყო და მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა, ეთნიკურიმა სპარსელმა შადმან ვალავიმ **„დაგემოდებრა“** ქართველები შაჰ-აბასისეული სენტენციით: **„რაში გჭირდებათ ქართველებს ღვინო, რომელიც ვეროპელებს „თავზესასხმელად“ აქვთ, სჯობს ვენახი გაყოფოთ და საზამთრო მოიყვანოთ“**-ო. ამ უჯიშოს ჩვენივე ხელით ეწადა იმის გაკეთება, რაც შაჰ-აბასმა ცეცხლითა და მახვილით ვერ გააკეთა და გლეხებს თანხებიც კი გამოუყო ვენახების ასაკაფად. ახლა კი მეორე მუსულმანი ფადი ასლი გამოგვეჭიმა და ვემრიელ ქართულ ლულს, როგორც

იტყვიან, **„სულ შავი ქვა დაუშინა!“** ნაციონალურმა რომ უხვად მოგვიმრავლეს საქართველოში გადაბითელი ბიზნესმენები, ამაზე ყველაზე მეტად საქართველოს ეკონომიკაში დავანებული **„ბიზნესქალთა ბაღანსი“** დადადებს. სააკაშვილისა და მისი ბანდის მთავარ მიზანს ქართველების ეკონომიკური და სულიერი გაღატაკება წარმოადგენდა, მრავალ ისინი უცხოელებს თავის აუტოკივებლად **„უსხდებოდნენ“** წილებში, ქართველებთან ამგვარი შავი **„ბიზნესალიანსი“** კი შეიძლება **„გაბაზრებოდათ“**. ამიტომ გაიჭვდა ყოფილი პლენანოვის (ამჟამად – დავით აღმაშენებლის) გამხრბი თურქებით, მსხვილს ბიზნესს დაეპატრონენ

არაბები, სპარსელები, აზერბაიჯანელები, სხვანი და სხვანი... ერთ-ერთი ასეთი **„წარმატებული“** ბიზნესმენი გახლავთ **„ქათმის ბარკლების მეფე“** სახელდებული, არაბეთიდან ჩამოწავილებული ვიღაც ფადი ასლი, რომელმაც საქართველოში მყარად დასამკვიდრებლად ქართველი ქალბატონი – მსახიობი ია ფარულავა – მოიყვანა დროებით, მორიგ ცოლად (ვია, სირცხვილო?!). და დიდი ფულიც იშოვნა, რადგან ნაციონალურმა **„ბარკლების მონოპოლისტად“** აქციეს. იმასაც კი ამბობენ, რომ ამ მართლაც **„სატანის ასლის“** მიერ შემოტანილი ქათმის ბარკლები მეტად მაკნეა ყმაწვილი ბიჭებისათვის, რადგან

მათში ქალური პორმონები სჭარბობენ, რაც გადაშენებას (გაპომოსექსუალებას) უქადის საჯიშე ქართველ გენოფონდსო. ამ გაქსუბულმა არამზადამ იმის თქმაც კი იკადრა: **„ყაზბეგის“** ლული მაკნეა თქვენი ჯანმრთელობისათვის და სჯობს უცხოური ლული სვათო, რაც ქართული პროდუქციის წინააღმდეგ მიმართული აშკარა დანაშაულებრივი პროპაგანდა გახლავთ. ამიტომაც ვუძღვნით ჩვენი მეგობარი პოეტისა და ჟურნალისტი ალექო შენგელიას სათრეველას **„სატანის ასლად“** წოდებულ ფადი ასლის:

**სათრეველა**  
**ფადი ასლიზე რომელიც სახელს უტებს ქართულ ლულს**  
**მოგვწონს და შვხსვათი!**  
მერე რა, რომ არაბია, რაკი თავი არ აბია, ვიგინდარა ფადი ასლი ოცნებობს, რომ გოგის გასერის და გვირჩია ამ უნახმა, რომ თოფადის ლული არ ვსვათ... მაგრამ ესმას, დაე, ესმას, ლული მოგვწონს და მას შევსვათ!  
**ალექსანდრი შინგელია**



„ჩვენ უნდა ვიცხოვროთ იდეისათვის და არა ამჟამინდური კეთილდღეობისათვის...“

„ჩვენ უნდა ვიცხოვროთ იდეისათვის და არა ამჟამინდური კეთილდღეობისათვის. ჩვენ უნდა ბავილოთ მსხვერპლი, არ უნდა ვუღალატოთ ჩვენს მაღალ მრწამსს, თუნდაც რომ სიკვდილის წინაშე მოგზივდეს წარდგომა!“ „დიდება კაცობრიობის წინაშე“ ზვიად გამსახურდიას

მე-20 საუკუნე არ იცნობს არცერთ საზოგადო მოღვაწეს, მწვერულს ან პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელსაც საკუთარი შვილი გაემეტებინოს ისეთი დიდი პასუხისმგებლობისათვის, როგორც ამ ეპოქაში სამშობლოს თავისუფლებისათვის უიარაღო, უთანასწორო ბრძოლაში, და ეს მხოლოდ კონსტანტინე გამსახურდიამ შესძლო. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, დიდმა მწვერულმა, ერთხელაც არ დაახვედრა უკან თავის საყვარელ ვაჟს - ზვიადს. ეს არის სწორედ მიზეზთა მიზეზი იმისა, რომ დიდი კონსტანტინეს სამშობლოს თავისუფლების ოცნება მის ვაჟში განხორციელდა. დიდოსტატის მიერ განჭურვებული „სერიოზული დრო“, დროთა ვითარებაში, კიდევ უფრო გამაძვრდა. იქ, სადაც შეჩერდა მამა, გააგრძელა მისმა ვაჟმა ზვიად გამსახურდიამ, რისთვისაც იგი მტრის მუდმივ სამიზნედ იქცა, მაგრამ ამ დევნას ხელი არ შეუშლია ზვიად გამსახურდიასათვის, რომ მამისაგან, ჯერ კიდევ ყრობაში მინდობილი საქმე, აღესრულებინა. წმიდა წერილი გვასწავლის, რომ სიტყვა თვინიერ საქმეთა მკვლარ არს. ზვიად გამსახურდიამ სიტყვა საქმედ აქცია და კომუნისტების შავნელ ძალებს გამოჰკლიჯა ყველასათვის სანუკუარი საქართველო. სწორედ ამ სიტყვებით წარსდგა იგი, არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ კაცობრიობის წინაშე და ამით მსოფლიო დიდ მოაზროვნეთა და მამულიშვილთა შორის დადგა, რომელთაც მსოფლიო ისტორია ადიდებდა და ადიდებს დღესაც. ახლოვდება 31 მარტი. ეს დღე საქართველოს ისტორიაში ბრწყინვალე ფურცელია, რადგანაც 75 წლის წინ, 1939 წელს, დაიბადა საქართველოს სიმბოლოდ აღიარებული ზვიად გამსახურდია; ისტორიული დამთხვევაა ალბათ ისიც, რომ 1991 წლის 31 მარტს, საბჭოთა ჯოჯოხეთურათვისტური იმპერიის პირობებში, ქართველ ერს მიეცა საშუალება ჩატარებულიყო რეფერენდუმი, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით; აღსანიშნავია ისიც, რომ რეფერენდუმში, უკლებლივ, საქართველოს მოქალაქეებმა ტერიტორიაზე - აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩათვლით, ჩატარდა - საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანმა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ დიდი ისტორიული რეფერენდუმის ჩატარებას, მაშინვე წინ აღუდგინეს ის ანტიეროვნული ძალები ვდ. შევარდნაძის ხელმძღვანელობით, რომლებიც სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას, უფრო მეტიც, ამ ადამიანებმა, იმავე წლის 17 მარტს გორბანოვის მიერ გამოცხადებულ რეფერენდუმში მიიღეს მონაწილეობა და ამით „უანახლებული“ საბჭოთა იმპერიის გახანგრძლივება დაუჭირეს მხარი. ბედის ირონიაა ისიც, რომ ჩვენს მიერ სხენებულმა მანქანებმა ქვეყანაში სამხედრო გადატრიალება - პუტჩი მოაწვეს და ფიზიკურად გაანადგურეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მთლიანად ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობაც. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევნისას, რომლის მიზანი არამც და არამც პრეზიდენტობა არ ყოფილა, დღის განგებით, უაღრესად დიდი მოვალეობა დაეკისრა. მას, ბიბლიურ მოხელეს მსგავსად, საბჭოთა იმპერიის მარწმუნებში მყოფი დამცრობილი ერი უნდა გამოეყვანა უდაბნოდან და ამით თავისუფლება მიეცა თავისი მშობლიური ქვეყნისათვის და მან ეს განახორციელა.

აქედან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, მსგავსად აბრამისა, დუთისაგან მოვლენილი, ერის წინამძღოლები იყვნენ. მათმა, უდიდესმა რწმენამ უფლისადმი, წმიდა გიორგის ძალი-ისხმევით, არა მარტო ფიზიკურად გაათავისუფლა საქართველო მონობისაგან, არამედ ჩვენს სამშობლოში, სულიერი და სარწმუნოებრივი აღორძინება დაიწყო. მაგრამ სამწუხაროდ, ეკლესიათა და სულიერი კერების აღორძინება, რასაც ერისათვის უდიდესი მოვლენა ჰქვია, სხვათა დედად იქნა მიჩნეული. ზვიად გამსახურდიამ თავისი ბრძოლა რაინდული შემართებით წარმართა და „მოყვანისათვის თავის გაწირვით ემსგავსა ტარიგსა უბიწოსს“. კომუნისტური რეჟიმისაგან შევიწროვებული გამოსარჩევით, მათზე ზრუნვით და ქართული ეროვნული ღირსების კვლავ სახელმწიფო რანგში აყვანით, გაამაგრა მამის მიერ აგებული კოლხური კოშკის საძირკველი. მისი მიზანი იყო და არის ქართული სახელმწიფოს აღდგენა, მაგრამ საუბედუროდ, ვის გულშიაც ზვიად გამსახურდიას ჩამოკრული „იანანას პანგი“ სამშობლოს სიყვარულს არ აღვიძებს, ის ზეციურ საქართველოს, ჩანს ვერ შეეუბნება. „იანანას უძველესი ვარიანტი, ხომ იგივე „ლაშარის სიმღერა“ გალობა იმ ლაშქრის სპატი, რომელიც ანგელოზთა სახით ხშირად ევლინება საქართველოს. აი, ამ სიმს ჩამოკრეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ და მისი ექო ნახევარ საუკუნეზე მეტია გაისმის საქართველოში. დღევანდელი, სიყვარულისა და სულიერებისაგან დაცლილი, გულგრილი მსოფლიოსათვის ზვიად გამსახურდიას მართლმადიდებლური ცხოვრების წესი - მშვიდი ცხოვრების უარყოფა, მოქალაქეობრივი თავგანწირვა, საკუთარი თავის უარყოფა და სამწვერლო და პოლიტიკურ ასპარეზზე თანაბარი ღირებულებებით ხელმძღვანელობა მიუღებელი იყო და არის დღესაც. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი მსოფლიოს ბოროტმა ძალებმა და კერძოდ - „მსოფლიო დემოკრატიის მამამ“ - მამა ბუშმა, „დინების საწინააღმდეგოდ მცურავად“ მონათვა. ზვიად გამსახურდიამ, კაცობრიობას ეთოქალური ტრადიციის განმარტება მისცა და ამით ამხილა უდემოკრო „ახალი მსოფლიო წესრიგი“, ცივი, გაყინული და ყოველგვარი ღვთაებრიობისაგან დაცლილი სამყარო. სწორედ ამაშია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის სიდიდე და მისი გაუკონარი გმირობა და მათ კი შური იძიეს მასზე, რითაც კაცობრიობას საბოლოოდ გაუხსნეს გზა მხეცკაცობისაკენ, ბესტიალიზმისაკენ. ქართველ ერს, მისი თავგანწირვის შესაფასებლად საკმაოდ დიდი გზის გაგდა ესაჭიროებოდა და ესაჭიროება დღესაც, ვინაიდან ქვეყანა, დღეს, იუდა გამცემელისა და ბარაბათა მორევშია ჩაფლული. ერთ დროს უძველესი ქართველი ერი ამ ღალატის გაუცნობიერებლად ნაპირზე ეკრ ვაგა და არ შეძლება არ გაგვახსენდეს ეკლესიის დიდი ბურჯის - იოანე ოქროპირის სიტყვები: „ეშმაკი იმდენად არ ზრუნავს იმაზე, რომ ვცოდადეთ, რამდენადც იმაზე, რომ ჩვენს ცოდვებს ვერ ვხედავდეთ, არ ვინანიებდეთ მათ და ცოდვილებად ვრჩებოდეთ“. ჩვენს მიერ შექმნილი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოძრაობა - საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების - უზუნავესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტი, თავს მოვალეობის, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ ქართველი ერის თავისუფლებისათვის მსხვერპლად გადებული საკუთარი სიცოცხლის სანაცვლოდ, ჩვენი ერის წინაშე წარსდგეს მოწოდებით, და მისი ნათელი სულის წინაშე ბოდიში მოიხადოს და შთავარდეს სინანულში, რათა ამიერიდან ქართულ მიწას აღარ ამძიმებდნენ იუდას და ბარაბას ცოდვით შეკერობილი ადამიანები, რამეთუ ცოდვების სიმძიმე მთელს ერისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. დაბოლოს, მისი ცხოვრების ბოლო ეპიზოდს თუ გავისხენებთ, ძველი კოლხეთის ზამთრის თოვლიან ტყეებში, ნადირით დასდევდნენ, ერისათვის ღმერთკაცობის გზის მანქანებულ ზვიად გამსახურდიას, პირველ საუკუნეში რომის იმპერიაში წამებულ პირველ ქრისტიანთა მსგავსად, ე.წ. ზე-სახელმწიფოთა ლიდერებს სნაიპერებით მიზანში ჰყავდათ ამოღებული და აღასრულეს კიდევ მისი მკვლელობა, რაც ჩვენს ცხოვრებაზე მკაფიოდ არის ასახული და ქვეყანა კატასტროფის წინაშეა მიყვანილი. მაგრამ ის, რომ დღეს საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი, კონსტიტუციური ლეგიტიმური ხელისუფლების სახით, რომელსაც კაპიტულიაციაზე ხელი არ მოუწერია, აქვს დიდი განძი, რომლის საშუალებითაც და ერის ნებით, საქართველოს ერთბაშად შეუძლია გაყიდული სამშობლოს დაბრუნება და ყველა - გარეული და შინაური მტრის თავიდან მოცილება, ეს დღესათვის ნათელია. ერი, საზოგადოდ, მხოლოდ კანონიერების ფარგლებში იკეთება. პავლე მოციქული ხომ გვასწავლის, რომ „რჯული მაშინ არის კეთილი, თუ მას ვინმე კანონიერად იყენებს“. ნათქვამია: „სმა დვთისა და სმა ერისა“, მაგრამ როდის უერთდება ეს ორი სმა ერთმანეთს? - როდესაც ერი, ე.ი. ქართველი ერი თავისუფლების სურვილით აღივსება, მხოლოდ მაშინ აღასრულებს იგი დვთის ნებასურველს. ყველაზე დიდი ჭირის ვამს, უქმად მყოფი ერი, როგორც საკუთარი თავისათვის ასევე საქმლეველია დვთისათვის. უფალი მოციქულ იაკობის პირით გვასწავლის: „და იყენით სიტყვის შემსრულებლები და არა მხოლოდ მომსმენნი თავის მოსატყუებლად. რამეთუ, თუ ვინ ითმენს სიტყვას და არ ასრულებს, ჰგავს ადამიანს, რომელიც თავის ბუნებრივ სახეს სარკეში ათვალიერებს. რამეთუ შეხედა თავის თავს, წავიდა და მყისვე დაავიწყდა, როგორია იგი.“ ამიტომაც ჩავესმის კვლავ ზვიად გამსახურდიას სიტყვები: „საქართველო ფენიქსია, ისტორიაში მრავალგზის ყოფილა ისეთი პერიოდი, როდესაც ჩვენი მტრები ამბობდნენ, საქართველოს მზე ჩაესვენათ, მაგრამ საქართველო ისევ იკრებდა ძალებს და ფენიქსისებურად აღსდგებოდა ხოლმე, ვინც შენატრის იმის სიკვდილს, უმაღლესად დამიწებს, ტყუილად როდი სთქვა აკაკიმ: მთავარია, ჩვენ არ დავკარგოთ იმედი და გულ-ხელი არ დავიკრიფოთ, ვიბრძოლოთ და გავიმარჯვებოთ.“

ეროვნული კომიტეტის აღმასრულებელი საბჭოს წევრები: ბიორბი კერვალიშვილი, კომიტეტის მთავარი კოორდინატორი, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი; ბუსო (ბუსარიონ) მიძავა, იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე; დავით ბერძენიშვილი, ადვოკატი-იურისტი; ნანა კახიანი, იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრეს-მდივანი; ბიორბი თიშვაძე, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის თავმჯდომარე; ზურაბ ძოგალია, შურნალისტი; არმან ჯანელიძე, თეოლოგი; ქობილისი, 25 მარტი, 2014 წ. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის აგტოეგვალის აღდგენის დღე

ჰოეზის კუხე

სათრეველები დემაბიტი მთავარ მოზარედ დასვეს გიგია და მის წინ ნაცთა გრძელი რიგია, დემაგოგებში რადგან იგია შუულ-ლაგაც და დემაგოგაც. ბენ-ლუშ(ნი)-ძე გიგისთან დგას, ვინც ჩვენ ცხადად თავზე ჭერი გადაგვხადა. მწერლობის და პრესის ჯიბრით, ბენდუქნიძე ამქარებით, მოსულია თავის „ჯიპით“ და გამყიდველის გაქანებით. ადემკმატური შიპიტიხა ხალხმა იკითხა. ცერემონიალს თავს რად არიდებს, რას იქმს მიშო? - რას და, სტოკჰოლმში, ხან ჰააგაში, ხანაც კიევიში დადის, პირშაობს, დაკრძალვის დღეს კი ცოლოურშია და „რუსთაფ-2“-ით დაპილპილშაობს. ალექსანდრე შინბელია

ბოლო მელას დღა

ფირქვი სქანი გვარი „ია“-თ ვეოებულკონი, მარა გენი „იანის“-ს სოლექ გარუქენდ, მარგალონას, მინჯეთ ქუეზნდიკონი, ნოჭახნაკუთ შვანშა ვეშემიწუხენდ, ამდლა, მერაბ თაქით ქალაირდკონი, მასსაშ გუმან, დო, მათ თენა მაწუხენდ, თემ შოლუდგ მიდგა მითან ვარდკონი, ვაბკითხ მა და, თვითან მუშენ ვაფირქენდ, ავთანდილო თინა ვალაირდკონი, მუს ოხვარუდ ნესტანს სქანი ნაიმენდ, გინუჭვეილუ შარას ქოლუაყვიკონი, იმპერიას თქვანწკუმა დული ვაიმენდ, მეგამეშა ტყვია ვაიზეპკონი ვეშულეზუდ, სქანი დუდქი ვაწუჩენდ, სი ქორდი-და, ღურელ გოტყობნიკონი მუშო ოკოდ, მუშ დაჯერას მუშენ ვენდ? ვარა ათაქ, ხიის ქუმწუსგან-ჯკონი, მუშინენფს თოლუფშე ჩხე ველუცენდ? ვეგნირთინედ, - მით ზვიადი ვარდკონი, ართშაინ მაძირაფუც დეჭვენდ, მონანეთ ღურელქ გემდირთუკონი მუჭო დებჯერქ, მუჭო გემრე მუჭო გერდ? ქუოკოდლა, მუდგა შორსი მირდკონი, სქან ნავონი ნინა ხატშა აწომცენდ, უშულუო, აღსარებას გემრდკონი, - შუგა მითინი, ჩქიმწკმა ვამა-გალითენდ, ვამითქუალ, მინეფქ ვედე-ჯერკონი, დარეგებას ჩქიმს მუნერო დე-ბულენდ? ბეშოტი ჯალალონია (გაგრძელება იქნება)

ბახეთი “ილორის” რედაქცია

31 მარტი საქართველოს პირველი და ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა - 75 წელი შეუსრულდებოდა საქართველოს ეროვნულ გმირს! ასევე, 23 წელი გავიდა ზვიად გამსახურდიას თაოსნობით 1991 წელს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით ჩატარებული ისტორიული საერთო-სახალხო რეფერენდუმიდან, რომელსაც საქართველოს მოქალაქეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. ბატონი ზვიადი იყო ღირსეული საქართველოს პირველი პრეზიდენტი რომელსაც არ ედირსა ქართველი ხალხის განთავისუფლება იმ უდიდესაგან, რომელიც ახლაც ადგას. სენაკში საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა ზვიად გამსახურდიასადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელზეც ერთხმად იქნა მხარდაჭერილი შუამდგომლობა საქართველოს მთავრობის სახელზე, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტს ეწოდოს ზვიად გამსახურდიას სახელი.

ბიჭოპო თუნთია, სენაკი

ჯალალონია-ჯალაღანიძის ბვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს პატრიარქოს პატრიარქი ილია II დალოცავს ჯალალონია-ჯალაღანიძის გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც “ლიბერთი ბანკში” გახსნილია ანგარიში. შფო 220101480 ანბ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალაღანიას სახელზე). მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღანიას ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხეთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასახუტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: 599-57-33-22, 597-34-43-70 - ორჯანდ ჯალაღანიას).



კოლხეთი – პავსოპრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორო" №№ 171-263.

საქართველოს ტერიტორიის ფართობი 1921 წელს შეადგენდა 90 ათას კვადრატულ კილომეტრს, ე.ი. 21 ათასი კვ კმ-ით მეტს, ვიდრე დღევანდელი საქართველო. ეს დაკარგული ტერიტორიებია: ართვინის – 3300 კვ კმ., ფოცხოვის – 588 კვ კმ., ოლთისის – 5137 კვ კმ., არტანის – 5151 კვ კმ., ბორჩალოს – 3812 კვ კმ., ზაქათაღის – 3564 კვ კმ., – უძველესი ქართული მიწები. რუსეთის საბჭოთა ფედერაციამ მისაკუთრა ქართული მოსახლეობით დასახლებული უძველესი ქართული ტერიტორია. სოჭი და მისი შემოგარენი, კრასნოდარის მხარე ტუაფსემდე (ძველი ლაზიკა). როგორც აღინიშნა, ბრესტის ზავით (1918 წ. მარტი), 1921 წლის 16 მარტს ლენინმა და ქემალ ათათურქს შორის მოსკოვში დადებული საიდუმლო შეთანხმებით, 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებით, თურქეთს გადაეცა ბათუმის ოლქის ნაწილი და ზემოთ აღნიშნული სხვა ტერიტორიები.

საქართველოს ხარჯზე ყველაზე ვრცელი ტერიტორიები მიიღო თურქეთმა, შემდეგ მოდის აზერბაიჯანი, სომხეთი და რუსეთი. თურქეთმა მიიღო უძველესი ქართული (კოლხური) მიწები ლაზისტანის, რომლებიც დასახლებული იყო ქართველებით – მეგრულ-ლაზებით. მაგრამ იგი V-VI საუკუნიდან საქართველოს შემადგენლობაში აღარ შედიოდა.

მოგვაქვს რუსი მოხელის, ართვინის სასწავლებლების ხელმძღვანელის ნ.კ. სოლონიშინის ნარკვევიდან „ართვინი და ართვინის ოლქი მასალები ქვეყანათმცოდნეობისათვის“, რომელშიც დაკვირვებითაა აღწერილი ართვინი და ართვინის ოლქის ბუნება, სასარგებლო წიაღისეული, მოსახლეობა და მათი ყოფილი ცხოვრება, სამეურნეო საქმიანობა, ფლორა, ფაუნა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საუკუნეების შემდეგაც თურქების მიერ მიტაცებულ ამ მხარის ქართველ მოსახლეობას შენარჩუნებული აქვს ქრისტიანობა-მართლმადიდებლობა, ქართული ზნეჩვეულებები, ადათ-წესები და ქართული ენა. ავტორი მუსლიმან ქართველებს თურქებს უწოდებს, თუმცა თვითონაც კარგად იცის, რომ ისინი თურქები არ არიან, სწორედ ამიტომ ერთ ადგილას გარკვევით წერს: „ადგილობრივი მუსლიმანთა უმრავლესობას ქართველები შეადგენენ, რომელთაც მუსლიმანური სარწმუნოება თურქებმა ართვინის დაკავების შემდეგ მიადებინეს. ეს რომ ასეა ამას ადასტურებს ის, რომ დღესაც ბევრ თურქს ქართული გვარი აქვს. მაგ. ვალანტიძე, ჭანიძე, ტაბახიძე და ა.შ. ძალზე ბევრი აქაური სოფლის მცხოვრები მუსულმანები სახლში ქართულ ენაზე ლაპარაკობენ“ (გვ. 21). სოლონიშინის ნაშრომი თარგმნა და 1998 წელს გამოსცა პროფესორმა შოთა ჯაფარიძემ.

„ართვინი კი, ჭოროხზე მდებარეობს. ბათუმიდან 50 კილომეტრის დაშორებით. ართვინი სტრატეგიული დანიშნულების გზების შესაყარზე მდებარეობდა, ერთი მხრივ კარსუქ-ქადაქს, არზრუმს, ბაიბურთს, არტანის, არტანუჯს და მეორე მხრივ ბათუმი-თინოს და ხუფსას აკავშირებდა. ადრე ჭოროხის აუზი და კერძოდ ართვინი ძველთაგანვე კოლხეთის ბრინჯაოს ხანის მეტალურგიის მნიშვნელოვანი კერა იყო, სადაც გვიანდელ ბრინჯაოს ხანაში განჩნდა დასახლება... 1878 წლიდან რუ-

სეთის იმპერიის შემადგენლობაშია. 1918 წლიდან თურქეთს გადაეცა“.

ნ. სოლონიშინი მიუთითებს, რომ უძველესი ქალაქი 9 კვადრატულ კილომეტრს დაყოფილი და ერთ-ერთ კვადრატულ კორსუში მდებარე ტაძარში ინახება ორი უძველესი ხელნაწერი სახარება, რომელიც შესრულებულია ძველ ქართულ ენაზე. ამთავან ერთი დაწერილია 500 წლის წინათ, ხოლო მეორე კი 200 წლის წინათ. ხოლო აქვე ჭოროხის მხარეზე, ციცაბო კლდის წვერზე მოსხანს ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები, რომლის მთავარი ფუნქცია იყო მეთვალყურეობა იმისა, რომ მტერი ხიდის მეშვეობით ქალაქში არ შეჭრილიყო (გვ. 7).

ჭოროხს სხვადასხვა შენაკადები ერთვის. მისი ყველაზე დიდი შენაკადია იმერხევი-სუ (იმერხევის წყალი), რომლის ზემო წელი დაფარულია ხშირი გაუვალი ფოთლოვანი ტყით. იმერხევის წყლის მარჯვენა მხრის შენაკადებია ბაგირეთის წყარი (წყალი), ჩიხორის წყარი, ახალთა და ბერიასწყარი, მეორე მხრიდან ჩამოედინება სათლელის წყარი და არტანუჯის წყარი (არტანუქ-ჩაი), ამით გარდა ართვინის ქვემოთ მარცხენა მხრიდან ხატილას წყარი და მურდულის წყარი. ეს მდინარეები უხვწყვილანები არიან. მაგრამ ზაფხულობით წყალმარხვანებიან. ზაფხულობით წვიმა იშვიათია და ბაგირეთის და ბოსტნების მორწყვისათვის მოსახლეობა სარგებლობს სარწყავი არხებით (გვ. 15).

ართვინის მხარის მოსახლეობის მთლიანი რაოდენობა 65 ათასია (1912 წ.). ადგილობრივი თურქები, უმრავლეს შემთხვევაში ყოფილი ქართველებია, რომელთაც მიღებული აქვთ მუსულმანური სარწმუნოება. ფაქტიურად ყველა სოფელში, რომელიც ართვინის ჩრდილოეთით მდებარეობს, ყველა მოსახლე ქართულ ენაზე ლაპარაკობს. მაცხოვრებლებს საერთო რაოდენობიდან თურქები 50 ათას სულს შეადგენენ (ე.ი. ქართველებზე ლაპარაკი – კ.შ.). ისინი ცხოვრობენ სოფლებში და მათი მთავარი საქმიანობა მიწათმოქმედებაა. ნიადაგის დამუშავება წარმოებს ხის კაკით, ან კიდევ თუ ნაკვეთი მთის ფერდობზეა, მაშინ კი „თაოხით“ (ე.ი. თოხით, ავტორს სახელი ეშლება – კ.შ.).

როგორც ნ. სოლონიშინი წერს, ართვინის მხარე განსაკუთრებით მდიდარია სპილენძის მადნებით, რომლის დამუშავებაც მხოლოდ ორ სოფელშია შესაძლებელი – ძანსულს და ქვარცხანაში. ძანსულის სპილენძმადნობი ქარხანა ეკუთვნის ინგლისურ კომპანიას. ხოლო ქვარცხანას სპილენძის საბადო სიმენსის შემკვიდრებს ეკუთვნის. წელიწადში მოიპოვებენ 480 ათას ფუთ მადანს (გვ. 19).

ავტორი სხვა საკითხებთან ერთად ცალკე გამოყოფს „ღირსშესანიშნავ ადგილებს“ და წერს: „მთელს მხარეში ფაქტიურად ყველგან შეხვდებით უძველესი მართლმადიდებელი ეკლესიების ნანგრევებს, ბევრი მათგანი გადაკეთებულია მეჩეთებად, მათი შენობა ფასადები მთლიანად შეეთავსებულია, მაგრამ მაინც შეიძლება დაინახო წმინდანების გამოსახულება. განსაკუთრებით კარგად არის შენახული არტანუჯის უბანზე სოფ. დოლისყანას ეკლესია. ტაძრის გუმბათზე მოჩანს ოთხი მახარობლის გამოსახულება, ასევე ტაძრის შესასვლელში დევის-მშობლის გამოსახულება. ტაძარი საჭიროებს სასწრაფო რემონტს. ასევე კარგადაა შემონახული ეკლესია, ართვინის მახლობლად შოსესთან, რომელსაც „სვეტიბარს“ უწოდებენ.“

მრავალრიცხოვანი სოფლებიდან ყურადღებას იმსახურებს შემდეგი ადგილები: სოფელი ოჯოხი, განლაგებულია კლდოვან ქვაბულში, თურქეთის საზღვართან. ზამთარი აქ ფაქტიურად არ არსებობს, ხოლო ზაფხული ძალზე ცხელია. ტერასებზე მდებარე შეფენილია ვენახები და ზეთისხილის ჭაღები; სოფელი ხოდაული განლაგებულია ღრმა ხეობის ფსკერზე და იგი გაყოფილია სახელმწიფო საზღვრით ორ ნაწილად. ერთი, რომელიც რუსეთს ეკუთვნის ეწოდება ხოდაულია, მეორე რომელიც თურქებს ეკუთვნის ეწოდება ხოფ-სოფელია (სხვათაშორის საზღვარი მეჩეთსაც ორ ნაწილად ჰყოფს). ამ სოფელში არის მიტოვებული სპილენძის საბადოები. რომელთა დამუშავებას ძველად

ბერძენებსა და გენუელებს მიაწვრდნენ. ბათუმ-არტანის შოსეზე მდებარეობს ძველი არტანუჯი. ყოველმხრივ იგი გარშემორტყმულია მაღალი კლდოვანი მთებით და თვითონ ქალაქი, როგორც მერცხლის ბუდე აშენებულია მაღალი კლდის თავზე, აქვე კლდის გაგრძელებასავით დიდ სიმაღლეზე არის ციხე-სიმაგრის ნანგრევები. სოფ. ჯინალი მდებარეობს შავშეთ-იმერხევის უბანზე, ამ სოფელში მდებარეობს ცნობილი გოგორდოვანი წყლები, სადაც მასიურად მიედინებიან ავადმყოფები სამკურნალოდ“. ყველა, ამ სოფლის მთელი მოსახლეობა მეგრულად მეტყველებენ.

რუს ავტორს შეუნიშნავს, რომ მრავალი, ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი ქართველი მუსულმანები მიდიან და მიაქვთ შესაწირავი ძველ ქართულ ნაკვეთსიარებზე, ლოცვებს ადავლებენო. აქედან ჩანს, რომ იმ დროისათვის იქაურ ქართველებში კიდევ ძლიერი ყოფილა წინაპართარწმენის კვალი.

ნ. სოლონიშინის ნაშრომი ქართველ მკითხველს ფართო წარმოდგენას მისცემს უძველესი ისტორიული კლარჯეთის, ერთ-ერთი უმშვენიერესი, ულამაზესი, უმნიშვნელოვანესი კუთხის ართვინის მხარის შესახებ.

როგორც ითქვას, ოსმალეთის საქართველო (ილია), თურქეთის საქართველო (გიორგი ყაზბეგი), ზემო ქართლი (ივ. ჯავახიშვილი), სამუსულმანო საქართველო (ექთაიაშვილი), გურჯისტანის ვილაიეთი (სერგი ჯიქია), ქართველი ერის ძველი სამკვიდრებელი, ძველი საქართველო (მიხაკო წერეთელი), სარფისიქთა ჩვენებურები, იმიერ საქართველო – საქართველოს ტერიტორიის თითქმის მესამედი, უმდიდრესი მიწა-წყალი, თურქეთს აქვს მიტაცებული.

როგორც ექვთიმე თაყაიშვილი წერს: „სამუსლიმანო საქართველოს“ შეადგენს თითქმის მთელი ბასენი ჭოროხის მდინარისა, პატარა პროვინციის გამოკლებით აჭარისტანისა ბათუმი, ბათუმითურთ, ზემო წელი მდინარე მტკვარისა, ყოფილი არდაპანის ოკრუგი, ყარსის ოლქისა და ფოცხოვის უჩასტოკი, მტკვრის შემდინარე მდინარე ფოცხოვის წყლის ბასენში, რომელიც წინათ არდაპანისევე ოკრუგში შედიოდა. ამგვარად, მთელი ჭოროხის აუზი და მტკვრის ზემო წელი ჩვენს ისტორიაში ცნობილი იყო ტაო-კლარჯეთად.“

აქვე გვირდა აღნიშნო: განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექვთიმე თაყაიშვილის დედაწლი ტაო-კლარჯეთის სიძველეთა შესწავლის საქმეში, რომელმაც სამი ძალიან ნაყოფიერი ექსპედიცია მოაწყო. ექსპედიციამ შედიოდნენ (1902წელი) ხუროთმოძღვარი ს. კლდიაშვილი, ფოტოგრაფი ა. მაშუაშვილი. ექსპედიციამ მოიარა, აღწერა, გადაიღო: სამცხე, ჯავახეთი, არდაპანი, ოლთისი, ჩილდირი; მეორე ექსპედიცია 1907 წელს ექ. თაყაიშვილთან ერთად მუშაობდნენ ხუროთმოძღვარი ა. კალიგინი, მოხალისე ფოტოგრაფი ე. ლიოზუნი, მოინახულეს კოლა, ოლთისი, სოფელ ჩანგლიში და სხვები, მესამე ექსპედიციაში 1917 წელს შედიოდნენ: ხუროთმოძღვარი ა. კალიგინი, ი.ხ. დანევიანი, მხატვრები დ. შევარდნაძე და ლ. გულიაშვილი, მოქანდაკე გ. ჭოლოყელი, ვარძიის მღვდელი-მონახონი ბიოლიტი, დეტალურად იქნა შესწავლილი: ტაო, თორთუნაი, ისპირი – ოსკი, ხახული, იშხანი, ოთხთა ეკლესია, პარხალი და სხვა.“

1904 წელს ნიკო მარი ფოტოგრაფ დ. ერმაკოვთან ერთად მარჯაურის შეფენისა და კლარჯეთში, მოგზაურობის დღიურები და ფოტომასალები მან დაურთო მის მიერვე აღმოჩენილ გიორგი მერჩულეს თხზულების პირველ პუბლიკაციას. 1874 წელს აჭარაში (ის 1878 წლამდე თურქეთის შემადგენლობაში შედიოდა), შავშეთში, კლარჯეთში და ლაზეთში მოგზაურობს გენერალი გიორგი ყაზბეგი, რომელიც ადრე იყო ვარშავის და ვლადივასტოკის კომენდანტი, მაგრამ პოლიტიკური არახანდლობის გამო, ცარიზმმა ჯარიდან გაანთავისუფლა, ი. ჭავჭავაძის შემდეგ ხელმძღვანელობდა საქართველოს წყარაკითხვის გამაგრებელ საზოგადოებას.

ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციები ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია ტაო-

კლარჯეთის ისტორიული წარსულისა და თანამედროვეობის შესწავლის საქმეში.

„სამუსლიმო საქართველოს“ ამ ვრცელ ტერიტორიაზე მდებარე ბევრი ციხე-ტაძარი-ეკლესია, დღეს საქართველოდ არ იხსენიება: ანჩა, ართვინი, არტანუჯი, არტანის, ახტალა, ბანა, ბერთა, გოიუბა, დოლისყანა, დაღაშენი, ერუშეთი, ექქეი, თუხარისი, თეთრი ციხე, ისე, კალმახი, კოლა, კინეპოსი, მელო, მუხლაჯიდალისი, ოკდემი, ოპიზა, ოთხთა ეკლესია, ოსკი, პარხალი, სვეტი, ზუსები, სოსთორთი, ტაოსკარი, ტბეთი, ურთა, ფექრაშენი, ფანასკერტი, ქობერი, ქორი, შავშეთის ციხე, შატბერდი, ციხეგარლობისა, წურწყაბი, წყაროსთავი, წყრეთის ციხე, ყველის ციხე, ხოფა, ხანძთა, ხახული, ჯაყის ციხე... ასევე: ბახთალა, ელისოს ციხე, კახი, კუმი, კატეხის ციხე, ლეიკი, მონასტერი, სუნხასი, მადლი, ძეგამი, ამირტყვი, გალიართა, დათუნა, ალბურდო, გოშიაიყალა, კასრის კარი, თარგამოსი, თლი, სენტი, ზედა ჩეგემი, ნარი, ნუხალი, ტეობაერდი, ხოზიტა-მარიამი, ქალაქი...“

ამათ გარდა კიდევ რამდენია გამქრალი, მიწის პირისაგან ადგილი ტაო-კლარჯეთში, იმერხევაში, ლოგანაში, ჭანეთ-ლაზეთში, შავშეთში, არტანში – ციხეები, ტაძრები, სასახლეები. ყველაფერი ეს დაკარგულია ისტორიული ვითარებით. ამასთან ერთად, ჩვენი ბედუკუდმართობით, უყარათობით, კუთხურობით, ურთიერთგაუგუნადლობით. ერთიანობის უქონლობით, რუსული იმპერიალიზმის დაგვეკილი მოქმედებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მკვლევარი სერგი (გიორგი) საჯაია წერს: „საქართველოს ბევრი დამპყრობი უნახავს. თურქებმა სამართლიანად დაიმსახურეს მათ შორის უარსება სახელი. მხოლოდ სიკვდილი, აოხრება, გაველურება მოქონდათ მათ ყველგან, სადაც კი ისინი გამოჩნდებოდნენ. მათ მიერ დაპყრობილ ქართულ ოლქებში განვითარებული მატერიალური კულტურა რამდენიმე საფეხურით ჩამოქვეითდა, ქალაქთა ცხოვრება მთლიანად ჩაკედა იქ, სადაც იგი წინათ სდიოდა და გადმოდიოდა. გაქრა ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურები – მეღვინეობა, მეხაბრეურობა, მოსახლეობა გაღატაკდა, მხეცურად, არაადამიანურად სდევნიდნენ ქართველი ხალხის წმინდათაწმინდას, მის ენას, მის კანონებსა და ტრადიციებს, მამა-პაპათა კულტურას და სარწმუნოებას, ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თურქულ ენას და ისლამს.“ შემდეგ მიუთითებს: ახლა თურქი ხელისუფლება გამაღებთ შლის ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებებს, ანგრევს ქართულ ისტორიულ ძეგლებს – არქიტექტურის შედევრებს. ისინი კვლავ მასობრივად ერეკებიან ქართულ მოსახლეობას შორეულ რაიონებში, აძეგებენ მათ ჩვენი წინაპრების მრავალ თაობათა სისხლითა და ოფლით უხვად მორწყული მშობლიური ადგილებიდან.

ს. საჯაია აღნიშნავს: „მომივე დრო, რასაც ქართველი ხალხი 1920 წელს და 1921 წლის დასაწყისში განიცდიდა – თურქები შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე და მოახდინეს არტანის, ოლთისისა და ართვინის ოლქებისა და ბათუმის ოლქის სამხრეთ უკუქორის ოკუპაცია, რათა ისინიც მიემატებინათ წინათ დაპყრობილი ძველისძველი ქართული მიწა-წყლისათვის. განა საჭიროა გავახსენოთ მსოფლიოს, თუ რა წვლილი შეიტანა ქართველმა ხალხმა გაერთიანებული ერების წმინდათაწმინდა საქმეში?“

ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალი, რომელზედაც არასოდეს უთქვამს უარი და ვერც იტყვის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არტანის (არდაგარის), ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბურთის, გიუმშანას რაიონები და აღმოსავლეთი ლაზისტანი, ტრაპიზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით. ისე კი, უარის თქმის (ან ართქმის) უფლება არა თუ ხელისუფლებას, თაობასაც არა აქვს, ეს სრულიად ეროვნულმა ნებამ უფლის დადგენილი წესის თანახმად უნდა გადაჭრას.“

კლიმენტ ველიკი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (გაგრძელება შემდეგ ნომერში)



# იბერიული ენა და საზოგადოების სრულყოფის პრობლემა

ამდენად, ურთულესი პრობლემის წინაშე დგას საქართველოს მოსახლეობა და რაც დრო გადის ეს პრობლემა უფრო და უფრო მიიმდგება.

ნუთუ აღარ არსებობს გამოსავალი? – არსებობს, მაგრამ ერთადერთი.

უპირველეს ყოვლისა, ნებისმიერმა ეთნიკური და გენეტიკური წარმომავლობის წარმომადგენელმა უნდა შეიგნოს, რომ ქვეყნის შიგნით უთანხმოებას და სამოქალაქო დაპირისპირებას ტრაგიკული შედეგის მოაქვს ამ ქვეყნის ნებისმიერი წარმომადგენლისთვის. უთანხმოების აღმოსაფხვრელად კი აუცილებელია საქართველოს მოსახლეობის (განურჩევლად ეთნიკური და გენეტიკური წარმომავლობისა) სულიერი ერთიანობა.

რამ უნდა გააერთიანოს სულიერად ესოდენ ჭრული საქართველოს მოსახლეობა? უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მოსახლეობას უნდა მიეწოდოს ქართველი ერის, მიუკერძოებელი, ჭეშმარიტი ისტორია, მთელი საზოგადოება ინფორმირებული უნდა იქნეს არსებულ რეალობასა და მით გამოწვეულ ურთულესი პრობლემის არსებობაზე, მაგრამ მშვიდობიანი თანაცხოვრების აუცილებლობაზე; ინფორმირებული და საზოგადოების შეგნებაში დაყვანილი უნდა იქნეს, რომ დვითური კანონზომიერებების წინააღმდეგ ბრძოლა, მიზეზ-შედეგობრიობის კანონის თანახმად, გარდაუვალყოფს ტრაგიკულ შედეგს, ხოლო დვითური წარმომავლობის ნებისმიერ რეალობასთან შეგუებას და მშვიდობიან თანაცხოვრებას მოაქვს სიკეთე და ბედნიერება; ნებისმიერი ეთნიკური, თუ გენეტიკური წარმოშობის ადამიანის შეგნებაში, ეს იქნება აბორიგენი, თუ ჩვენს ქვეყანაში გვიანდამკვიდრებული უცხოტომელი, დაყვანილი უნდა იქნეს, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მათი დამკვიდრება ღვთის ნებითა და ღვთიური კანონზომიერებებითაა განპირობებული და ყველას ბედნიერება და მოკიდებულია თანასწორუფლებიან ღვთიურ ურთიერთკავშირზე და უხეიარეს შემოქმედთან, მის კანონზომიერებებთან გულწრფელ და სულიერი ერთიანობის დონეზე, მაგრამ სულიერი ამადლება, მხარეთმცოდნეობა და დიპის გაზრდით ვერ მოხერხდება, მხოლოდ თავდაუზოგავი, პატიოსანი შრომით, ღმრთისა და ურთიერთ სიყვარულითაა შესაძლებელი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ენა არის ადამიანთა შორის ურთიერთ გაგებინების საშუალება.

ენისა და მეტყველების წარმოშობაზე არსებობს ხუთი სხვადასხვა თეორია, მაგრამ რომელიმეს უპირატესობაზე მეცნიერები დღემდე შეთანხმებული არ არიან.

## ენა და მიტყველება

ბოლოდროინდელმა კვლევის შედეგებმა დადასტურეს ბიბლიური გადმოცემა „ერთ-პირი იყო მთელი ქვეყანა (იგულისხმება დედამიწა, კ.ფ.) ერთ ენაზე მეტყველი“ (დაბ. 11.1) და ეს ერთი ენა იყო ბუნების ენა, რომლის ლექსიკური ფონდი შემოიფარგლებოდა თითო თანხმოვნებისა და თანხმოვანთა პარმონიული კომპლექსებისაგან შემდგარ ძირისეული ფორმებით, სუფიქსირებული მხოლოდ ირაციონალური გ ბგერისაგან, მაგრამ, რამდენადაც ბუნება (რელიეფი და კლიმატური პირობები) დედამიწის სხვადასხვა კონტინენტზე და ტერიტორიაზე ძალზე განსხვავებულია ერთმანეთისაგან, ბუნების ენაც, რომელიც ნაკარნახევია ბუნებისაგან, ძირითადად კი მაგრამ, შეუძლებელია, ყველგან აბსოლუტურად ერთნაირი ყოფილიყო. ამიტომაც, რომ თანხმოვანი ბგერები (ბ, გ, დ და ა.შ.) და ხმოვანი ბგერები (ა, ბ, ი, ო) ყველა ენაშია, მაგრამ, ასევე, ამა თუ იმ ენისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური ბგერებიც (თანხმოვნებიცა და ხმოვნებიც). ეს, ალბათ, განპირობებულია კლიმატური პირობების, რელიეფის, ფლორისა და ფაუნის სხვადასხვაობით, რადგან ბუნების მიერ გაღე-

ბულ ბგერებზე ხმაბაძვით იქმნებოდა სამეტყველო ბგერები. ე.ი. თავიდანვე უნდა ჩამოყალიბებულიყო ბუნების ენის სხვადასხვა დიალექტები, მაგრამ ამ დიალექტების ლექსიკა ძირითადად ერთიდაიგივე ძირისეული ფორმებისაგან უნდა ყოფილიყო კონსტრუირებული. ალბათ, ამიტომ იყო მთელს დედამიწაზე ერთი ენა – ბუნების ენა. ბუნების ენის დიალექტური სახესხვაობები, გარდა ზემოაღნიშნული მიზეზებისა, შეიძლება, განპირობებული ყოფილიყო ბუნების მიერ გაღებული ბგერებისა და ბგერათა პარმონიული კომპლექსების ადამიანის მიერ აღქმისა და ხმაბაძვის სხვადასხვა უნარიანობა. ცნობილია, რომ ერთიდაიგივე ბგერებს სხვადასხვა მანძილზე სხვადასხვანაირად აღიქვამს ადამიანი.

საუკუნეებისა და ათასწლეულების განმავლობაში ბუნების ენის სხვადასხვა დიალექტები ვითარდებოდა სხვადასხვა ტემპითა და სხვადასხვა გამომსახველობით უნარით, სხვადასხვა პირობების გამო, მაგრამ ენისა და მეტყველების წარმოშობა-განვითარებაზე, ზოგადად, შეიძლება ვიმსჯელოთ ე.წ. მეგრული (იბერიული) ენის მაგალითზე.

რა თქმა უნდა, შეიძლება, იმ უკველეს არქაულ ხანაში, ძირისეული ფორმებზემცველი დიალექტი რამდენიმე ყოფილიყო, მაგრამ ისინი, როგორც აღვნიშნეთ, ვითარდებოდნენ სხვადასხვა ტემპით, სხვადასხვა სიმძლავრით და სხვადასხვა მიმართულებითაც და, უკვე, საკმაოდ განსხვავებული ენები, დროთა განმავლობაში, ბუნებრივი ურთიერთკავშირით, თუ იძულებითი ზემოქმედებით ერწყმოდნენ ერთმანეთს და იქმნებოდა ახალი, განსხვავებული დიალექტური ენები, ან კიდევ, ერთ ძირისეულ ენაზე მეტყველი ხალხის ნაწილის სხვა ენაზე მეტყველ ხალხთან განსაკუთრებული ინტენსიური ურთიერთობის შედეგად ხდებოდა ძირისეული ენისაგან განსხვავებული დიალექტის ჩამოყალიბება, ანუ ძირისეული ენისაგან განსხვავებული ახალი სამეტყველო ენის გამოყოფა, როგორც ეს პროტოქართული ენის ცხოვრების სინაქრონიკაში მოხდა და არა ისე, როგორც ამას ქართველი ერის ისტორიის გამყარებლები ცდილობენ წარმოუდგინონ საკუთარ ხალხს.

ამდენად, საშუალებად, რომლითაც ადამიანები ურთიერთგაგებინებას ახერხებენ, ყველა ენაა, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წარმომავლობით, დანიშნულებით და განვითარების დონითაც. წარმომავლობის მიხედვით ენა შეიძლება იყოს: ძირისეული, დიალექტური და კილოკავური. დანიშნულების მიხედვით კი: საერთაშორისო ენა, რომელიც დგინდება მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების შეთანხმების საფუძველზე; სახელმწიფო ენა, რომელიც შეიძლება იყოს ერთ-ერთი, მონათესავე ტომთა გაერთიანებისა, ეკონომიურად გაძლიერებული, მოსახლეობის სიმრავლით, თუ კულტურულად დაწინაურებული ტომის ენა, ან კიდევ, ტომთა შეთანხმების საფუძველზე მიღებული რომელიმე ტომის ენა; ტომობრივი, ანუ დიალექტური ენა, რომელზეც მეტყველებს ესა თუ ის ტომი და ტომობრივი ენის შიგნით არსებული მცირედ განსხვავებული სამეტყველო ენები, რომელთაც კილოკავებს უწოდებენ. ხოლო განვითარების მიხედვით: მაღალგანვითარებული, საშუალო და მდაბიო.

განვითარების დონის მიხედვით შესაძლებელია ენები დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ასე მაგ., აფრიკაში ბინადრობს ნახევრადველური ტომი, რომლის სამეტყველო ენის ლექსიკური ფონდი სულ 50-დე სიტყვით შემოიფარგლება (ადვილი წარმოსადგენია მათი ურთიერთგაგებინების დონე) და არსებობს ე.წ. მეგრული (აღაპური) ენა, რომლის ლექსიკური ფონდი პოტენციურად შესაძლო გამოყენებადი ფორმებითურთ მილიარდ 410 მილიონ ერთეულს აღემატება.

ამდენად, ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის საკომუნიკაციო საშუალება რა დონისა

და შესაძლებლობის ენაა, განმსაზღვრელი მისი დანიშნულება ვერ იქნება. ამას მისი წარმომავლობის ისტორია და გამომსახველობითი უნარი განსაზღვრავს, რაც შეიძლება დადგინდეს ენათა ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე. საკმაოდ შრომატევადმა კვლევის შედეგებმა დადასტურეს, რომ იბერიული ენა წარმომავლობით ძირისეულია, განვითარების მიხედვით მაღალგანვითარებული, ხოლო დანიშნულების მიხედვით იგი, ცხადია, დღეს რეგიონალურია.

როგორც მრავალი ენის ცხოვრების სინამდვილეში მომხდარა, შეიძლება, ადრე არსებულმა ენებმა დაკარგეს, ან დაკარგონ საერთაშორისო, თუ სახელმწიფო ენის ფუნქცია და ისევე რეგიონალურ დანიშნულებას დასჯერდნენ, მაგრამ განვითარების დონით ისეთივე დარჩეს, როგორც მას ზეობის ხანაში ჰქონდა, თუმცა, ცნობილია, რომ სამწერლობო ფუნქცია დაკარგული ენა 1000 წლის განმავლობაში კარგავს ლექსიკური მარაგის 15%-ს. პროტოქართული (იბერიული) ენის შემთხვევაში, სწორედ, ასეთ რეალობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ იბერიული ენა ტომობრივი (დიალექტური) არასოდეს ყოფილა. მ. და ც. ძაძაძეების გამოთვლით ე.წ. მეგრული (იბერიული) ენის ლექსიკური ფონდის 99,5% ზმნურია, ხოლო აქედან 75%-ზე მეტი წარმოადგენს ბუნებაზე ხმაბაძვით მიღებული ადამიანური ძირისეული ფორმების აფიქსაციით აგებულ კონსტრუქციებს, რომლის მსგავსი არაფერი შემონახულა დედამიწაზე (ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მსგავსი ენა არ არის აღმოჩენილი).

იბერიულ ენას ერთ დროს საერთაშორისო ენის ფუნქცია, რომ ეჭირა, დასტურდება ყველა დროის უდიდესი მეცნიერის ვილჰელმ ჰუმბოლდტის დასკვნით: „იბერიული ცივილიზაცია ვრცელდებოდა პირინეზიდან ინდოეთამდე ტერიტორიაზე“. ეს ჭეშმარიტება ხელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში აღმოჩენილი 5000-მდე სიტყვის ქართველურთან (უფრო სწორად, იბერიულთან) იდენტურობითაც დასტურდება.

ბუნებრივია, საერთაშორისო ენის ფუნქციის მატარებელი ენის ლექსიკა ინერგება ქვემდებარე ენებში და არა პირიქით. ხოლო სიტყვა ნასესხებია, თუ ეროვნული წარმოშობისა, ირკვევა იმის მიხედვით, თუ რომელი ენა ახერხებს სიტყვის ეტიმოლოგიის სინქრონიულ-დაქრონიულ დონეზე შესწავლას.

იბერიულ ენაში 30 თანხმოვანია. თანხმოვნები არ არსებობენ ცალცალკე, დამოუკიდებლად, ირაციონალური გ ბგერის თანხლების გარეშე, მაგრამ ბევრ ენაში ირაციონალურ გ ბგერას ვერ აღიქვამენ, ამიტომ თანხმოვანი ბგერები ცალკე აღებული ასეთ ენებში უფუნქციოა, არაფერს ნიშნავს. იბერიულ ენაში კი თანხმოვანთან ერთად გ ბგერაც აღიქმება, ამიტომ ამ ენაში თანხმოვანი ცალკე აღებულიც სრული სიტყვის მნიშვნელობის მატარებელია, ბევრ მათგანს კი რამდენიმე ომონიმიც გააჩნია. ამიტომ იბერიულ ენაში თანხმოვანი ბგერები სრული მნიშვნელობის ბგერა-სიტყვებია. აღნიშნულ ბგერა-სიტყვებში ასახულია ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა თვისება. ამიტომ ახალი მნიშვნელობის სიტყვების – ნეოლოგიზმების შესაქმნელად იბერიული ბგერა-სიტყვები უნიკალურ საშუალებას წარმოადგენენ. ამ და ზემოთ აღნიშნული სხვა მონაცემების გამო იბერიული ენა შეუდარებელი გამომსახველობითი უნარისაა. შეუდარებელია ამ ენით ბუნებისა და ბუნებაში არსებული ძალების შეცნობის დონე, როგორც უსასაზღვრო და უსასრულოა სამყარო, ასევე უსასრულო ჩანს მისი შესაძლებლობები. ეს, ალბათ, განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ იბერიულ ენაში არსებული ბგერები ნაკარნახევია ბუნებისაგან (ღვთისაგან).

ყველა ენობრივი მონაცემები, რაც დღემდე შემოინახა ე.წ. მეგრულმა (იბერიულმა) ენამ, უეჭველყოფნა მის ფუძე

ენობას, მის ადამიანთან მომდინარეობას და, მართალია, წუთისოვლის უკუღმართობამ, თუ დაშვებულმა შეცდომებმა წაართვა ჯერ საერთაშორისო, შემდეგ კი სახელმწიფო ენის ფუნქცია, მაგრამ დღემდე ინარჩუნებს ფუძე ენის მონაცემებს და ერთიანი ბუნების ენის ერთ-ერთი დიალექტი კი შეიძლება იყოს, მაგრამ თვითონ მის გარკვეულ ნაწილს, როგორც ეტყობა, დივერგენცია არასოდეს განუცდია და, უეჭველია, მას გამოეყენენ ჯერ იბერიულ-კავკასიურად მოღებულ ნრდლოკავკასიური ენები, შემდეგ კი ახლო მონათესავე სვანური და ქართლური, ბოლოს კი ლაზურ-ჭანური ენა. ამიტომ, შეიძლება ის მოკლან, მაგრამ სანამ ცოცხალია, ტომობრივი (დიალექტური) ენა ვერასოდეს გახდება, რადგან ადამის ენა ტომობრივი არასოდეს ყოფილა, ის ძირისეული ენაა.

მიუხედავად იმისა, უცხოური წყაროები იბერიულ დამწერლობას მსოფლიოში არსებულ დამწერლობებს შორის პირველ ნომრად მოიხსენიებენ (იხ. შ. ძიძიურის „ბასკები და ქართველები“ და მ. ქურდიანის „ქართული დამწერლობა“), თანამედროვე, თუ პირდაპირ, მედროვე მეცნიერები ცდილობენ ეჭვი შეიტანონ ამ ჭეშმარიტებაში, უფრო სწორად, დამალონ ეს ჭეშმარიტება და ხშირად მეკითხებიან: თუ იბერიული ენა სამწერლობო ენა იყო, რატომ არ შემორჩა თუნდაც ერთი სიტყვით გამოსატყობი რაიმე წერილობითი ძეგლი ამ ენაზე?

შეიძლება საუკუნეა, თავგანწირვით იბრძვიან ანტიბერები იბერიული ენის წაშლისთვის, მაგრამ ღვთის ნებას წინ დაუდგება ადამიანი? ოდნავ თავის აწვეის შესაძლებლობა და არნახული ძალით იფეთქა ჭეშმარიტებამ. უმოკლეს დროში, ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, ოფიციალურ მეცნიერებას, როგორც იტყვიან, თითო თითზე არ დაურტყამს ამ მიმართულებით, იმარჯვეს დამოუკიდებელმა მკვლევარებმა: გივი ელიაშვილმა აღმოაჩინა, ალბათ, ნოეს დროინდელი, ხატოვან-ანბანური, „გველისთავად“ წოდებული დაქარაგმებული წარწერა: „მატარ კიღობანიში“ (რაც ქარაგმაგახსნილ მდგომარეობაში იქნება „მატარ[ებელი] კიღობანიში“, ქართულად, „მატარებელი კიღობანისა“), და ასომთავრული დაქარაგმებული წარწერა ქვისაგან დამზადებული ჩვილის თავზე — (ჭხრ) „ჭიჭე ხანიში რ-ე“ (მცირე ასაკისა); გია კვაშილაძემ გაშიფრა მე-20 საუკუნის მეცნიერებისათვის უდიდესი თავსატეხი „ფესტოს დისკო“ მეგრულ-ლაზურ ენაზე, რომელიც მთელმა მსოფლიომ აღიარა, ხოლო, თითო-ორი მცენიერის გარდა, ქართველი მეცნიერები სუნთქვაშეკრული დუმან; თითქმის ყველა ქართველი მეცნიერი იცნობს ჩემს გამოკვლევებს „მხედრული და ასომთავრული დამწერლობის იბერიულ წარმოშობაზე“, რომელიც თვითონაა უძლიერესი წერილობითი ძეგლი და ნებისმიერ წერილობით ძეგლს აღემატება და უძველესი წერილობითი ძეგლის ბიბლიური „დაბადების“ შემქმნელი ენის ვინაობაზე. ბიბლიური „დაბადება“, ცნობილი მოსეს მიერ არამეულიდან თარგმნილად ძვ.წ.დ. მე-13 საუკუნეში, თარგმნილია არა არამეულიდან, არამედ იბერიულიდან. ამის დასტურია „დაბადების“ ტექსტში აღმოჩენილი 21 საოცარი არგუმენტი, რომელიც სრულიად საკმარისია ჭეშმარიტების დასადგენად. მაგრამ ამ გამოკვლევებით შოკირებულმა „მეცნიერებმა“ ამიკრძალეს სამეცნიერო დაწესებულებებში მოხსენებების გაკეთება, და ჯიუტად აგრძელებენ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში დღემდე გაბატონებული სიცრუის სწავლებას ჩვენი დამწერლობის წარმოშობაზე.

კუპური ფიფია, „ფაზისისა“ და „იას“ საერთა-სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და კვლევის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი



# რეცენზია უსიქოლოგიის ინსტიტუტიდან

### ვაგრებლები რეცენზიებისა და გამოხმაურებების ბეჭდვას ცნობილი ქართველი მეცნიერის ბატონ ედემ იზორიას ნაშრომებზე

ძვირფასო, ნუ დაგავიწყდებათ: ჩასახვის მომენტში, 3 მლ. წლის წინ, როცა იყო ბუნებრივი საწარმოთქმო თვისებების მქონე ორად ორი **ილი**. ჯილდ ბელიისა და ტონი სედლონის აზრით 1,7 მლ. წლის წინ ადამიანი მეტყველებდა. საქართველოში კი აღმოაჩინეს 2 მლ. წლის ადამიანის ჩონჩხი. მაშასადამე, რამდენამდე ბავშვებით მეტყველებდნენ ტრადიციის ბაზაზე, დაახლოებით 1 მლ. წლის მანძილზე, ჩასახვა მეტყველების ცენტრი და ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა, უამრავ ბუნებრივ მოვლენათა ხმების მიბაძვით, შესაბამისად, ისეთ ბავშვთა წარმოქმნა, რომელთაც ბუნებრივი საწარმოთქმო თვისებები არ გააჩნდათ, ანუ ხდება ისეთი ბავშვების არტიკულაციის, აქამომდე შეუძლებელი რომ გახდებოდა. პოინინდი გადაამიანების პროცესშია, მაგრამ, ცხადია, ამ დროს არანაირი ხუმრობა, **„თავისუფლებანი“**, **„პრიორიტეტები“** და მითუმეტეს – **„ერები“** (!) არ არსებობენ.

არა დიდი რიფისა და მოკრძალების გარეშე, უთავდაზღვრავად, სამინისტროს ვთხოვე ნაშრომი, თქვენთან ერთად, კოლექტიურად განგვიხილა. რეცენზიების სახით წარმოდგენილი, თქვენი პასუხიც მერყენა ყოფილიყო კოლექტიური, რადგან, წინამდებარე ერთი პიროვნების ეს ნაშრომი იყენებს (ავად თუ კარგად ეს სხვა საქმეა...), თქვენი სახით წარმოდგენილი, სამივე მეცნიერების ცოდნას. პასუხი კონსილიუმის რომ ყოფილიყო, მაშინ თქვენს, ხუმრობისგან, შენიშვნაში თქვენსავთ თავს შევწინააღმდეგებოდი. დიახ, რადგან რეცენზიებში ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან (მეთოდს კი წუნობენ მაგრამ) აი, რა წერია: **„მოქედემ იზორიას კვლევა „მეტყველების წარმოშობის“ შესახებ, მართალია, იყენებს ემპირიულ ენობრივ მონაცემებს (ბავშვებს, სიტყვებს...)“** -ო.

თუმცა განვიხილოთ დეტალურად: ბატონებო, ნაშრომში გვერდი არაა სამეცნიერო ლიტერატურა არ იყოს დასახელებული. კორიფე მეცნიერთა: ენგელსი, პუგელი, მარი, კასირსკი, და ა. შ. გვარები ამა სასიზნალო პუბლიკაციის გვერდებზე ამა თქვენ კი **„ლიტერატურული არსებობას“** უარყოფთ... ეს პარადოქსი კი არა წმინდა წყლის ცილისწამებლური ნიპილიზმა.

თუ მიგაჩნიათ, რომ ნაშრომს არაფერი გააჩნია ისტორიული; რომ თითქოს იგი ერთ გაყინულ პერიოდში – აბსოლუტურ სინქრონიზაშია განხილული (პირდაპირი საოცრება...) და რომ თითქოს, ენათმეცნიერებს თუ დაეუფლებოდნენ, სრულიად არ ვითვალისწინებ **„სტრუქტურული ანალიზის კლასიკურ ენათმეცნიერულ მეთოდებს“**, მაშინ იგივე უნდა შევედგათ ცაგარელს, მარს, ყიფშიძეს, ჩიქობავას და სხვებს (რატომაც არა?...), რადგან უხსოვარი დროის იქით ჩასახულ მარტივიდან თანამედროვე რთულამდე განხორციელებულ გარდაქმნების ჩვენებისას ვიყენებ მათ მიერ დადგენილ ქართველურ ბერძნულ ცვლილებების კანონზომიერებებს, ბევრათშესატყვი სობებს, გრამატიკულ წესებს და სხვა ენობრივ მასალას იმ ისტორიული სიტყვის წარმოქმნისას, რომელთა ისტორიულობაც, ასევე, მათ მიერვეა დადგენილი.

რა არის ეგ თუ არა დიაქრონია და სტრუქტურული ანალიზი?... მაგრამ თუ ამბობ არ არისო ხომ უნდა დამტკიცო. ესეც რომ არ იყოს, კუროთხულია კაცს, რომელიც 3 მლ. წლის მეტყველების ისტორიას პუგება და მისი პერიოდიზაცია მოახდინა. (იხ. ტექსტი) ამ მონაცემში, ისტორიის არარსებობას უმტკიცებდე (სხვა საქმეა თუ იქ ხარვეზებია, ოღონდ ესეც უნდა იყოს დამტკიცებული).

კიდევ, თქვენსავთ არარსებულად თვლილ საფუძვლიანობიდან – პრაქტიკულ ნაშრომს გააჩნია, თორთა უფლებამოსილია და ვალდებულიც გამოიყენოს კაცობრიობის ცოდნის ყოველი მხარე – თეორიულიცა და პრაქტიკულიც.

აქაც კუროთხია, ბატონებო, რადგან (თქვენი დასტურით: **„დიახაც“** -ო ხომ ბრძანეთ) ავტორი, რომელიც იყენებს – პავლოვის, უხსიანის, ბერიტაშვილის და სხვათა ექსპერიმენტებზე დაფუძნებულ ცოდნას **„პრაქტიკული საფუძვლიანობის არსებობა“** ეჭვქვეშ არ უნდა დაუყენო.

პრაქტიკული საფუძვლიანობის კრიტიკასთან მიმართებით მინდა კიდევ ვთქვა, რომ ცხოველთა ქცევასა და ფსიქიკაზე დაკვირვება ბუნებრივ (თავისუფალ ყოფით) პირობებშია უკეთესი, ვინემ დაბოროტო-

რიულში. წინათ სოფელში გაზრდილსა და მცხოვრებს და ამჟამადაც მასთან კავშირში მყოფს, ამის საშუალება მქონდა და ახლაც გამაჩნია, რამაც საკმარისი პირადი პრაქტიკა შემძინა. მაგ. ჩაბუჭდვის (იმპრინტირების) მოვლენა, რომელიც მეტყველების ბიოგენეზური კანონის სახეობის არსებობის, თქვენს მიერ მოწოდებული (გულწრფელად გემადლიერებით), საბუთიერი მტკიცებულებაა, ჩემთვის ცნობილია: წიწილა მყავდა. ნახურხის სიბოთში გამოჩეკილს ჩემი მარჯვენა მტევანი დედად მიანდა, რაკი ნახურხიდან ამოიყვანა.

როგორც ვხედავთ, ნაშრომი ბაზირებულია, როგორც ზოგადკაცობრიულ, ასევე პირად პრაქტიკულ ცოდნაზე. საბოლოო ჯამში კი თქვენს მიერ უარყოფილ საფუძვლიანობებიდან მას სამივე ჰქონია. კმაროდა კი ერთი რომელიმეთაგანიც. ამიტომ **„ლიტერატურული მეცნიერული პრიციპებიდან“** გამომდინარე, უნდა დამეთანხმეთ: ნაშრომი, ჯერჯერობით, არც იავარქმნილია და ფეხსეც დაგას...

გავაგრძელოთ პირველი შენიშვნის განხილვა: **„...ავტორი ხშირად წერს, რომ მისი ყველა მოსაზრება კარგადაა განმტკიცებული და ეყრდნობა „ჭეშმარიტ პიპოთეზებს“**. პიპოთეზის **„ჭეშმარიტების მხოლოდ საიმედო დამტკიცების შემდეგ შეიძლება საუბარი რაიმე ღირებულ თეორიაზე“**. სინამდვილეში ავტორი ეყრდნობა მხოლოდ საკუთარ მოსაზრებებს...“

გპასუხო: პიპოთეზა ჭეშმარიტია თუ იგი ჭეშმარიტი თეზისაა დასაბუთებული. დიახ, უამრავი **„საკუთარი მოსაზრებები“** – პიპოთეზები ჭეშმარიტი თეზებით გამოხატული ფაქტებითა და ფაქტორებითაა შემადგენელ-განმტკიცებული. თქვენ კი ერთი, კინკლა რომაა ისიც ვერ ნახეთ და ერთიანად საკუთარ მოსაზრებად მომიტვალეთ?! გმადლობთ, მაგრამ ღირსეულ რეცენზენტთა სამივე ჯგუფი, დასახელებულ შენიშვნას, რაკი ერთხმად დადასტუროს, შევეცდები ზოგიერთი ძირითადი სიახლეების მიმართ მაინც დავამტკიცო მისი (ამ შენიშვნის) უსაფუძვლობა.

თუ მოვუხმობთ ფაქტებსა და ფაქტორებს, ავტორის ერთ-ერთი ძირითადი პიპოთეზა (სიახლე, მიგნება, აღმოჩენა, რაც გინდათ დაარქვით), რომ **„ლიტერატურულ ბევრად იყო კვებითი პირობითი ავტორი“** (დამატება გვ: 1) თავისთავად დამტკიცდება. ესენია:

1. პოინინდების ოჯახის (ასევე არქანთროპების/პალეოანთროპების) არსებობა, როგორც მოცემულობა – ამოსავალი წერტილი;
2. მათში ისეთი მაღალი ფსიქიკური ფუნქციების არსებობა როგორცაა: აღქმა, მეხსიერება, წარმოდგენა;
3. მათთვის, როგორც პრიმატების რიგის ძუძუმწოვართათვის, წოვა-ყლაპვის ბუნებობა;
4. წოვისა და ყლაპვის უპირობო რეფლექსებისთვის შესაბამისი კვებითი უპირობო გამდიზიანებლების არსებობა;
5. კვებით უპირობო გამდიზიანებელთან, ბევრთვის შეუძლებელი, პირობითი რეფლექსის გამოწვევის ექსპერიმენტულად დადასტურება.

ესენი იმდენად ცნობილი და გახმაურებული ფაქტებია, **ჩემს საკუთარ მოსაზრებებზე** ვერანაირად, რომც მიხდოდეს, ვერ ჩავთვლით.

ახლა კი ვახსებებ ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტს, რომელიც, იმავდროულად, ფაქტორიცაა, ეს განხილული შემდეგ: წოვასა და ყლაპვას თანახიარი ხშიანობები – შესაბამისად, წოვა, წოვა და ყლაპვა... ბავშვები ბუნებრივადაა შეუძლებელი კვებით უპირობო გამდიზიანებელს, როგორც კვების ამ სახეობის (წოვა-ყლაპვის) და არა **„ჭამა და სმის“**! მოვლენათა თანადროული აღქმები.

ეს აშკარა და ურყევი ფაქტი, იმავედროულად, უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მოგვევლინება თუ მოვუხმობთ, აქვე, ზემოთდასახელებულ, მე-5 ფაქტს – რომ ამგვარი შეუძლებელი ბავშვის უპირობო გამდიზიანებელთან პირობითი რეფლექსის გამოწვევა ექსპერიმენტულად დადასტურებულია. ამგვარად, ეს შეუძლებელი იმდაგვარი მიზეზია ბავშვის პირობით ავტორად ქცევისა, რომლის უარყოფა შეუძლებელია.

ამგვარ ემპირიულ და ჭეშმარიტი თეზისი გამოხატულ ფაქტებსა და ფაქტორებსზე ბაზირების და არა **„ნებისმიერი, ხშირად დაუსაბუთებელი ვარაუდის“** (დოქტორები: ალხაზიშვილი, იმედაძე) შემდეგ, დასმული პიპოთეზა დამტკიცებას არ საკითხობს: იგი აქსიომურია და, მაშასადამე, — ჭეშმარიტი.

ამის შემდეგ დავაყენოთ ახალი

პიპოთეზა: კვებითი პირობითი ავტორის ფუნქცია ბავშვისა შეიცვალა სამეტყველოთი. რა ფაქტები ამტკიცებენ ამ პიპოთეზას?

1. უაღრესად გადაწყვეტი მნიშვნელობისა გახლავთ ფაქტი იმისა, რომ – ბუნებრივად ჩამოყალიბებული პირობითი ავტორი არის ბავშვი. გარემოს ნებისმიერი მოვლენა ან ელემენტი ამ როლში არაფერს ნიშნავს, რადგან წინამდებარე პრობლემა ბავშვითი მეტყველებაა.

2. რაკი, თქვენი დასტურით, ადამიანის ბავშვითი მეტყველება პირობითი რეფლექსია უდასა: ბავშვი სამეტყველო პირობითი ავტორია.

ესე იგი სახეზეა ორი უცხადესი ფაქტი: 1. ბავშვი (წ, ყ) იყო კვებითი პირობითი ავტორი;

2. დღეს ბავშვი (წ, ყ) კვებითი პირობითი ავტორი კი გახლავთ (წოვა-ყლაპვის ხშიანობებს დღესაც ძალუქს შესაბამის პირთა აღქმის), მაგრამ სხვა ამპლუაშიცაა – იგი სამეტყველო პირობითი ავტორია. ეს კი – ანუ მიგნება იმისა, რომ ფიზიკურების თანხლები ბავშვითი ნატურალურ პირობითრეფლექსთა აღმქმელი რომ არიან მნიშვნელოვანია, მაგრამ, მეტყველების ჩასახვის საკითხის გარკვევისთვის, უმთავრესი ის გახლავთ, რომ ეს ბავშვები დღეს სამეტყველო ბავშვები არიან.

ესაა და ეს, რა არის აქ დაუჯერებელი და გადაუჭრელი. თუ ბავშვი დღეს სხვა როლშია, უგვევლია, ეს როლი შეიძლება იყოს მხოლოდ შენაძენი. ამ კუთხით, ფრიად საყურადღებოა ერთი გარემოება: ადამიანებში წოვა-ყლაპვა და ყლაპვა-ყლაპვა როგორც უნებლო ანუ არაცნობიერი, ასევე ნებელობითი ანუ ცნობიერი პროცესი. ესე იგი, ადამიანებისაგან განსხვავებით, რაკი ცხოველებში ეს პროცესები არაცნობიერია, უდასა: ერთ დროს, ადამიანებში მოხდა მათი გაცნობიერება. ანუ უაზრო პროცესი გახდა საზოგადოებრივი. იგივე უაღრესად დასაჯანსაღებელი არაცნობიერი წარმოქმნის, ერთ დროს, გახდა ცნობიერი. რაც იმას ნიშნავს, რომ (ორივე შემთხვევაში) ქმედებამ მოგვცა აზრი (იხ. აქვე ქვემოთ და გვ. 70).

გთხოვთ მიპასუხოთ: რომელი მუხლია თქვენს მიერ მიუღებელი მეტყველების ჩასახვის ამ ალგორითში?

თუმცა ამ ალგორითის სისწორის დასტურია მთლიანად წინასმდებარე ნაშრომი.

ავილოთ თუნდაც დამატების მე-7 გვერდიდან ფაქტების კორიანტელი:

1. წ ბავშვის წარმოქმნისას პირის ღრუ იხშობა, წინა ენა ებჯინება ნუნებს და მათ შორის პირის ნაკადი გამოიდევენება;
2. აქ ღირსგაცნობი და ფრიად საყურადღებო ის გარემოებაა, რომ ეს პროცესი განწყოვითი მოძრაობებია;
3. წოვის ფიზიკის შესრულებისას ძუძუს კერტები წინა ენასა და ნუნებს შორის თავსდება, შეწოვითი მოძრაობები ხორციელდება წ ფონების მსგავსი წოვითი ხშიანობა წარმოქმნება;
4. მსგავსება წოვის ხშიანობასა და წ ფონების შორის დიდია, რომელსაც პირველად ა. შანიძე მიუძღვნა ყურადღება (იხ. ა. შანიძე, **„რჩეული თხზულებანი“** ტ. III – გვ. 622)
5. პოინინდი წყურვილს წყალთან ტუნების პირდაპირი (უშუალო კონტაქტით) იკლავდა. ამ შემთხვევაში სამეტყველო წ ბავშვის მსგავსი შეწოვითი ხშიანობები წარმოქმნება;
6. საშემსრულებლო ანატომიური ორგანოები შეწოვა-განწოვისა ერთი და იგივეა და ხორციელდება ერთი და იგივე ალგორითი;
7. ენის წვერი ორივე შემთხვევაში აკეთებს ჩვეულ, თითქმის იგივე მოძრაობებს;
8. შეწოვა გამოსცემს იგივე ხმას რასაც განწოვა;
9. განწოვის ხშიანობა სამეტყველო ბავშვა-ფონებაა.

ნუთუ ეს ფაქტები არაფერს გვეუბნებიან? არა, ბატონებო. აქ სარკესავით ჩანს თუ როგორ იქცა კვებითი პირობითი ავტორი წ ფონება წ-დ. (იხ. ნაწილი მეორე (დამატება) გვ. 10, 20-21, 62, 73; იხ. **„გ. თ.“** წ ბავშვი).

სხვა ფაქტები? თუნდაც პოინინდის მოსაზრებებში წ ბავშვის, ალბათობის თეორიის კანონებით დამტკიცებული, ჭარბი ხდომილობები და ა. შ.

მიჭრის ამის თქმა, მაგრამ ფაქტია: დიდადატივცემულნი, თქვენი **„ლიტერატურული მეცნიერული სიმტკიცე“** და, საერთოდ, **„ლიტერატურული“** ამ პიპოთეზების შეფასებისას აშკარად ჩავარდა.

მტკიცედ ვაცხადებ: საბუთი ერთობაშერყეული პიპოთეზა არც ერთი გამაჩნია. ყველა კი არა ერთი კონკრეტული დამისახველი და პასუხიც ჩემზე იყო. შენიშვნა მეორე: გაუგებარია სიტყვა **„ავტორიული“**. თუ ავტორს სურს ხაზი გაუსვას რომ ადამიანის ამეტყველება საქართველოში დაიწყო და აქედან გაგრძელდა მსოფლიოში (რაც უაღრესად საეჭვოა), ხომ არ აჯობებდა სიტყვა **„ქართველურის“** ხმარება, რაც მიღებულია ენათმეცნიერებაში.

– ამ შენიშვნაში მოცემული იდეისთვის, რომელიც, ნაშრომის სრულფასოვანი დამუშავების შემთხვევაში, შეუძლებელია იყოს საეჭვო, ტერმინ ქართველურ-თან შედარებით, სწორედ რომ, გეორგიული-ს აშკარა უპირატესობაა. თითქმის მთელი მსოფლიო საქართველოს გეორგიას ეძახის. მისი ფონეტიკური ვარიანტები არის: ფრ. კორჟია, ინგ. ჯორჯია, თურქ. გურჯი, გურჯისტანი, სლ. გურჯია და ა. შ. ესენი მე-8 საუკუნის იტალია, ხოლო ქართუ და მისი დერივანტები – ქართ-ული, საქართველო-ს პირიქით, აქვთა ისტორიის მქონე ტერმინები არიან (შ. ძიძიგური, **„ბასკები და ქართველები“**).

განსაცვიფრებელია, დიაქრონიის (ისტორიული ენათმეცნიერების) ფუძემდებლობის, ჩემი ნაშრომისას, ასე თავგამოდებულ კრიტიკოსებს ეს როგორ გამოგონათ.

მიუხედავად ამისა, თქვენი ხატობით, თქვენს შენიშვნას მინც ვაფიქსირებ, ქართველი ხალხის უსაყვარლესი წმინდანის – წმინდა გიორგის სიყვარულით, რომ არ მქონდეს ეს სათაური გამოტანილი.

აჰა, სათაურს, როგორც იქნა მოვრჩით. მ. ქურდიანძაც სათაურს და ანოტაციას სარეცენზიო გვერდების ნახევარი შეადია. ცხადია: რეცენზენტები სათქმელს ეძებენ...

შენიშვნა მესამე: მთავარი ამ შენიშვნაში შემდეგია: **„როგორც ჩანს, ავტორი ფიქსირებს ქართულ, მეგრულ, აფხაზურ და, საგარაუდოდ, რუსულ და ინგლისურ ენებს... ეს საკმაოდ მწირი საფუძველია ლინგვისტიკური (იქნებ ლინგვისტური?) წიაღსვლებისთვის...“**

მათი აზრით, ჩემს მიერ ხუთი ენის ცოდნა თუ **„მწირი საფუძველია“** ენობრივი წიაღსვლებისთვის, ფიზიოლოგების, კრიტიკოსების, იქნებ უფრო ნაკლები ჰქონდეთ ეს საფუძველი, რადგან, დასაშვებია, მათ ამდენი ენებიც არ იცოდნენ. მ. ე. ეს შენიშვნა (თუ სუყველა არა) მათი და ენათმეცნიერების კოლექტიური ქმნილებაა, რაც, სწორედ რომ, ჩემი სურვილიც გახლდათ.

ენათმეცნიერებაში უამრავი პოლიგლოტია ცნობილი, მაგრამ მათ მეტყველების წარმოქმნა ვერ ახსენს. რატომ? ჯერ-ერთი, პავლოვამდე მათ არ გააჩნდათ მეცნიერული საფუძველი მეტყველების როგორც პირობითრეფლექსური მოვლენის ახსნისთვის, ხოლო, შემდგომ, როგორც აშკარად ჩანს, ამ კუთხით, ნაკლები ყურადღება იქნა გამახვილებული. ყოველ შემთხვევაში, (ეს თუ მნიშვნელოვანია), არ შემხვედრია ენათმეცნიერული თხზულება, სადაც მეტყველების ჩასახვის პირობით რეფლექსური ბუნების ახსნა კი არა, თვით ეს ბუნება მოხსენიებულიც კი ყოფილიყო (იქნებ თქვენ დამისახველოთ). მეორეც, ისინი რჩებოდნენ იმ მიგნებების მიღმა, რომელთაც, რეფლექსოგენურ და ხმაბაძვით ბავშვთა და ბავშვთა კომლექსთა სახით, ქართველურ ენებში რომ მივაკვლით, დაახლოებით, ეს იმას ჰგავს, ათასობით ხელსაწყო-აპარატურით აღჭურვილი, მეცნიერი განძს ეძებდეს, მიაგნოს კი პატრონმა სახლ-კარისა – სადაც, ეს პირველი იყო დამალული. ამ შემთხვევაში, ჩემი სახლკარი ჩემი ქართველური ენებია, ხოლო განძი – მათში დამალული უთვალავი და პირველადი სამეტყველო ელემენტები. კეთილო ხალხო, განძს მივაგნო, მზეზე გამოვფინე. დავტკებთ მისი ბრწყინვალეობით და დაე, ნუ გვადარდებდეს მხოვნილი. მეორე დედააზრი წინამდებარე შენიშვნისა, რომელიც არსებითად მე-4 და მე-5-შიც მქონდება შემდეგია: **„...დღეს მსოფლიოში... ხშირობენ ოფიციალურად და შინაურულადც რამდენიმე ათას ენას. მათი ერთი ფესვიდან (რა ერთი ფესვი, რას გულისხმობთ, რომელ გვერდზე წაიკითხეთ ეგა?! ე. ი.) ამოსვლა აბსოლუტურად შეუძლებელია. ამას მეტყველებს არამარტო ჩამოყალიბებული ენების მკვეთრად განსხვავებული ფონეტიკა და სემანტიკა, არამედ აგრეთვე, ერთი ყოფითი, სოციალურ-კულტურული, რელიგიური თავისებურებები და საზოგადოებაში არსებული პრიორიტეტები...“**



სამეგრელოს ღირსეული შვილები



ძლივსძლივობით დამსწრემ მოაშორა ძაღლები, როცა შორიდან გამონდნა სიმღერით მომავალი გამარჯვებული უიარაღო სოფელ დედაკაცებზე, დავლით დატვირთული, რადგან სადაც კი მიუსწრო, ჯარმა თითოეულ ოჯახს, ასიდან ორას მანეთის მაინც წაართვა ფული თუ სხვა ნივთიეულობა. ასე გასინჯეთ, სარტყელი შემოადერეს ბევრ სოფელს და ფეხსაცმელი გახადეს, თორემ დანარჩენს რაფერ აუტყვევდნენ გვერდს მადალდრული რუსის ყაზახები. მე რაც მიყვას, ამას არ ვამბობ, თითონ მთელ ზუგდიდის მაზრამ უწყის თუკი ისე დაუსჯიათ ვინმე, ვინც მონაწილეობას იღებდა ერთობის საქმეში. ჩვენბური მენშევიკების მეთაურის სახლი დღესაც ამაყად გადმოსცქერის ზუგდიდის შარა-მიდამოს, მაშინ როდესაც ფედერალისტ სპირიდონ კედიას სახლი ცეცხლმა შთანთქა. მართალია, დასწევს ცნობილი ავითატორი, დემაგოგი ალანია, მაგრამ დანვა არის და გადაწვაც – მას დაუტყვის სხვა სახლები მაინც, გარდა ერთი ოდისა, მაშინ როცა მე უბრალო მოკვდავს, რომელმაც თანაგრძობა გამოეუცხადე ხალხს და მეტი არაფერი დამიმთავებია, მე დამიტივს ალარასფერი. ის სახლიც, სადაც როგორც მეგრელები იტყვიან „მაფა კუჩხით მენურსინი“ (მეფე რომ ფეხით მიდის). არ დაუტოვებიათ არც სახლის გადასახურავი ახალი ყავარი. დაუჯერებელია, ვიტყვი, ეს თქვენთვის, თუკი გარდა თანაგრძობისა არასფერი დამიმთავებია, მაშ რისთვის გადაგწევს, გაგანადგურებსო. მკითხველო, თითონ მაზრის უფროსის მოადგილე კაპიტანმა სოლოხოვმა უწყის, რომ მე არ მიმიღია მონაწილეობა სტრაჟნიკების იარაღის აყრაში, არც სამაზრო ციხისა და სადგურის გატეხაში, ათასჯერ არა და არა. ვინც ამაში ერია, ზოგი თავისუფლად დასეირნობს მაზრის ბოქაულებსტრაჟნიკებთან და ზოგი რამოდენჯერმე შეიპყრეს, მაგრამ ისევე გამოუშვეს და ზოგი ეხლაც დაპატიმრებულია. რაზმების მეთაურები კი, როგორც ფედერალისტებისა, ასევე დემოკრატიების, თავისუფლად დასეირნობენ. მათი დასახელება, ჩემის მხრით, უნამუსობა იქნება და ამ მოვალეობის აღმსრულებელნი უხვად მოეპოვება ჩვენს დალოცვილ მაზრას, მხოლოდ მინდა იმ ოდესმე თავისუფლების მოტრფივად ამახანაგებს, დღეს რეაქციის მსახურებს, რომელნიც მეთაურობდნენ რაზმებს, ამოზიდეს იარაღი, ზედ იარაღით დატვირთულ ურმებზე ისხდნენ და ისე შემობრძანდნენ ზუგდიდს, რატომ ისინი დღეს თავისუფლად დათარეშობენ და მე კი მართო ამ საქმის თანაგრძობისათვის ნივთიერადაც დავისაჯე და როგორც „დამნაშავე“ დღემდის იძულებული ვარ, ტყე-ღრეში დავიმალო?

საქმე, რაფერ გამოძვრენ ადმინისტრაციის კლანჭებიდან? რაფერ გადარჩა მათი სახლკარი, ან რაფერ არის, რომ იარაღის ტარების ნებაც კი იშოვოს გუბერნატორისაგან? სწორედ მიკვირს და ლამის ჭკუაზე შევიშალო. რა გასაკვირია, მე ტყის კაცი ვარ. დღეს შეიძლება ეს მომეჩვენა, მაგრამ ბოროტენები ხომ ბევრია. დაბა ზუგდიდში ამბობენ, რაც მოხდა ყოველივე უნესობა – მაგ სტრაჟნიკების იარაღის აყრა, პოლიცია – ციხის გატეხვა, იარაღის მოზიდვაც ზღვიდან თურმე მე დამაბრალეს და ჩემთან ერთად ორს საზღვარგარეთ ამხანაგ ფედერალისტებს, თითონ კი თავი გაიმართლეს. ერიპა, ბიჭოს, აფსუს, მეტოქელონო, ფუტყვენს ძმობას, თქვენს სიტყვა-საქმეს! ამბობენ გემოზე და ვა არ შეიძლებაო, მაგრამ გემოც არის და გემოც. ნუთუ ეს კაცობაა, რომ მე შემომივლეთ თავზედ, ჩვენ, სამი კაცი – ნეტარხსენებული, დაუვინყარი ჩვენი ბელადი ვასო და თქვენ დღეს უსირცხვილოდ შეპყურებთ საქართველოს მშვენიერს ბუნებას და დაბა ზუგდიდის მცხოვრებთ, რომლებსათვის გარდა ლაქიობისა და ჯაშუშობისა არასფერი არ სუფევს. მართალია, იქაც ურევია რამოდენიმე პატოსანი პირი, მაგრამ ეს სათვალავში რამისალება ზუგდიდის ხულიგნების რიცხვთან? თქვენ თვითონ იცით, ვისაც გეხებათ ჩე-

მუშნი დადიანი – სამეგრელოს შვირული რაინდი

მი სიტყვები, რასაკვირველია, ძნელია თქვენთვის ამის აღიარება, მაგრამ ეგების სინდისმა, თუ მისი ნატამალი დარჩენილა თქვენში, ამ მიუდგომელმა მსაჯულმა გამხილონ თქვენი მოქმედება და ქევნა დაგინყონ. ვინ იცის, ეგების შორს არ იყოს ის დღე, რომ თქვენს მოქმედებას თავისუფლად მსჯავრი დასდოს ხალხმა, გაგებინოს მთელ მეტოქელო ამხანაგებს თქვენი ნაამაგევი. მაგრამ თუ ვერ მოვეცნარ ამ დღეს და თუ აღსრულდეს ჩემზედ რაც მოსავალია, ვაღადა ვუდებ ჯერ კიდევ ჭირში და ლხინში მართლა უმტყუნარ ამხანაგებს, გამისხნონ მეც იმ ბედნიერ დღეს და გამოკითხონ ამ ვაჟბატონებს მათი გაიძვერობა და სიმუხთლე. მე, ანი რაღა დამჩენია, ნივთიერად დავილუპე, დავგლახაკი ქონებით, მათხოვარი ვარ, მათხოვარი დღიურ სარჩოსი, მაგრამ სულთი არ დავცემულვარ, რა საქმესაც შეეუერთი, გამოეუცხადე თანაგრძობა, კუბოს კარამდე ვეცდები ვიქნე მისი ერთგული. ბევრი ტანჯვა გამოვიარე, სიცხე, შიმშილი, უტანუფეხობა, ტყე-ღრეში ხეტილი და ნოლა, როგორც მხეცმა, მაგრამ ჯერჯერობით ნამუსზე ხელი არ ამიღია, არავისთვის არაფერი ნამირთმევი, შემწეობითაც არავინ შემიღია, გარდა ორის-სამი ადამიანისა. ნივთიერად – ასე მიღის ჩემი ყოფა-ცხოვრება, ყოველდღე ველოდები განსაცდელს, მაგრამ ჯერ მაინც არ მიმიმართავს „ძლიერთა ამა ქვეყნისადმი“ ვედრებით, რომ საქმე გამომინყონ. ანკი ვის რა უნდა ვთხოვო?

1907 წელი, 19 აპრილი მუშნი დადიანი (უსამართლობით აღშფოთებული მუშნი დადიანი, ვისაც ალიხანოვ-აგარიელის მოთარეუე ყაზახ-რუსებმა სახლ-კარი გადაუწვეს და თავად ტყეს შეაფარა თავი, რომელიღაც რედაქციას ამ ბარბაროსობის ამსახველ წერილს აწვდის. არ ვიცით, სადმე გამოქვეყნდა თუ არა ეს საჩივარი (ე.კ.).

სპირიდონ კედიას წერილი მუშნი დადიანისადმი 22 მარტი პარიზი ძვირფასო მუშნი! უკანასკნელი იმედი შინ ჩაბრუნებისა გამიქრა. ამინსტიაც ჯამქარი ოქკომუ! მძიმე დიღებმა მაქვს გადასაჭრელი. ან სამუდამოთ უნდა გამოვეთხოვო იმედს სამშობლოში ცხოვრებისას და შედეგად ამისა მივილო ქვეშევრდომობა თუნდ საფრანგეთისა, რათა ჩემი საგნის გამოყენებით შეეძლო თავის რჩენა, ან და ვცადო რაიმე კერძო საქმის გა-

მოსანყობად. ამ ორ სამოქმედოდან ჯერ მეორეს ვკიდებ ხელს; ვსინჯავ ერთი-რაღა, იქნება მუდამ მოლუშულმა ჩემმა ბედმა ერთჯერ მაინც, მარცხად, შეცდომით გამიცინოს! რაღა იქნება ჩემი სიცოცხლე უჩემქვეყნოდ!!.. შემთხვევამ მომცა მივასლოვებოდი ერთ საკმაოდ ძალმოსილ მთავრობის კაცს, რომელმაც დახმარება შემიპირდა. მივინდ, გარეშე ამისა საჭიროა დაშოვოს ვინმე მივუგზავნო. საამისოდ გამოსადეგი კაცის ძებნაში ვარ. ერთს კიდევაც მივმართე და პასუხს ვუცდი. ერთი ეს შემატყობინე, შენი საქმე როგორ გაარჩევ. დაშოვმა ნაგეხმარა რამეში, შეუძლია მას თავის ძალა-უფლობით ჩემი საქმისებური რამ გააბათილოს და მე თავისუფალმყოს? თუ პასუხი, რომელსაც ველი, უარყოფითი იქნება, ისეთი ვინმე ხომ არ გეგულება, რომელსაც შეეძლება თავი აიტვიგოს ჩემი საქმის შესახებ მაღალ მთავრობის წინაშე, დაშოვი იქნება ეს თუ სხვა? ვყვლა ამის შესახებ, ჩემო მუშნი, დაუხანებლივ მომეცი პასუხი. ეს მთავარია ჩემთვის.

სხვა, იქნებ შეიძლო ხელი მომიმართო. იმედი გქონდეს, რომ არ დაგკარგება. დაგვიანებით კი იქნებ დიდატ დაგიგვიანო დაბრუნება, იქნებ შედარებით მალეც. ძალიან მესაჭიროება 400 ფრანკი – 150 მანეთი. აირაშია საქმე. შარშან ვავთავე საბუნებისმეტყნიერო ნაწილი და მაშინათვე ჩავენერე ცნობილი დოქტორის (პროფესორია ფიზიო-

სახლ-კარი გადაუნევეს, მოსაკლავად დასადევენენ), მოძრაობის რამდენიმე აქტიურმა წევრმა სვანეთს შეაფარა თავი (ენგურის ხეობას აუყვენენ). მუშნი დადიანი და სპირიდონ კედი, თანამოაზრეებთან ერთად, დიდი წვალებით ავიდნენ სვანეთში. მათ ნახვლაზე მინიშნებული აქვს გვანჯი ჩიქოვანს, ხოლო მუშნი დადიანი ამ უძნელეს მგზავრობას დაწვრილებით აღწერს. სვანეთთან იგი ყარაჩაში უნდა გადასულიყო, დედუღეთში, მაგრამ სპირიდონ კედი, ვინც მეგობართან ერთად მრავალი ხიფათი გადაიტანა, ბოლომდე ვერ გაჰყვა (ისინი 1906 წლის 19 აპრილს სამუდამოდ დაშორდნენ ერთმანეთს, მხოლოდ მინერ-მონერაქონდათ), გაენდო მუშნის, რომ ქუთაისსა ან თბილისში დაბრუნება უნდოდა და იქედან, სწავლის გასაგრძელებლად, საზღვარგარეთ აპირებდა წასვლას. განაზრახი მან კიდევაც განახორციელა, მარამ მისი წერილიდან ჩანს, პარიზში ჩასული, ხელმოკლეობას განიცდიდა, სწავლის საფასურის გადახდა აღარ შეეძლო. მუშნი დადიანზე ახლობელი საქართველოში არავინ ეგულეობდა (ეტყობა, ამ დროისათვის, მუშნი დევნილობას თავი დააღწია) და მას სთხოვა, როგორმე დახმარებოდა, საჭირო თანხა გავგზავნა. ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ მუშნი დადიანი ქვას ვახეთქავდა და მეგობარს გაჭირვებიდან დაიხსნიდა.

სპირიდონ კედიას წერილის პირველსავე წინადადებაში, მეგრული ფრთიანი გამოთქმით („ამინსტიაც ჯამქარი ოქკომუ“), ირონიულად არის მოხსენიებული მეფის მთავრობის ამინსტია, როგორც არაფრის მომცემი ფარატინა ქალაღი. ბარათში ნახსენები დაშოვი უნდა იყოს მეფის ნაცვალი, ვისაც შეეძლო სპირიდონ კედიას დახმარება, მისი ხვედრის შემსუბუქება.

სპირიდონი, როგორც ახლობელი, გულთბილად მოიკითხავს მეგობრის შეუღლეს, ეკატერინე (კატია) ჯიჯიხიას. იმხანად არ იცის, იგი ჯერ დედა გახდა თუ არა. მუშნის დღეგრძელობას უსურვებს. ოჯახს მოახლოებული აღდგომის დღესასწაულს ულოცავს.

ძვირფასმა პაატა ქურდოვანიძემ მეორე, უფრო ადრინდელი ბარათიც გადმომცა — მუშნის მას 1900 წლის 23 მარტს უგზავნის მამამისი, კონია გიორგის ძე დადიანი — მკაცრი, სამართლიანი და ფიცხი პიროვნება (თვით მუშნი აღნიშნავს ავტობიოგრაფიულ წაწახერში, რომ საქართველოს აუვად ხსენებისთვის მას რამდენიმე რუსი დიდმოხელე მაგრად უცემია და, საერთოდაც არავისგან არ ითმენდა შეურაცხყოფას). მამის კილოში თავდაჭერილი წაწყენობა იგრძნობა. წერილი ასე იწყება: „ცოტათი კი მიკვირს, რომ შენს წერილებში ურევია რაღაც უმაღლობის თუ მუქარის მგზავნი. იტყვი, ჩემის ფიქრით არ მხედება ეს მე შენგან, მარა ამისთვის არ გემღური, მხოლოდ გინყრობი...“ ეტყობა, იმხანად მუშნი ავადმყოფობდა და მამა წერს — „შორჩენილი უნდა და მხედლეო...“ წუხს, რომ დროის უქონლობის გამო შვილს ვერ ჩააკითხა და თუ არ მოკვდა, იხანულეს. უცნაურად უღერს, ფიცხით გაისმის მის მიერვე ხაზგასმული ფრაზა: „...გაძლევ თავდებად დედის შენის პატოსნებას“.

შეუძლებელია, ამაყი თავადიშვილი, დიდი შთამომავლობისა და კულტურის კაცი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე არ განაწყენებულიყო იმაზე, რომ შვილი სწავლას გულს ვერ უდებდა, მეოთხე კლასიდან გიმნაზიაშია გადატრია, კადეტთა კორპუსში ჩასარიცხავად არ მოემზადა, ოჯახი მოატყუა და სასონარკვეთილი თავს იკლავდა (შემთხვევით გადარჩა). მანამდე, გაბრაზებულმა, მასწავლებელი კინლაძე მოკლა.

ამ წერილში ისიც ჩანს, რომ მუშნი მამას ფულს თხოვს და მშობელი შეახსენებს „ფულები რა ძნელი სამოფარია“. ორას მანეთს უგზავნის, თან აფრთხილებს: „ეს ფულები ჭკუიანათ დახარჯე, თორემ შენ გიფიცავ, მოთმინებიდან გამომიყვან და მითი შენც იწინებ, ჩემს მოხუცებულობასაც გააძღლებ“.

უცნაურად მთავრდება ეს წერილი. შვილის მოფერებას სხვანაირი, თავშეკავებული იცოდა პირქუშმა თავადმა, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შთამომავალმა და აქ ნაშეირად იკვეთება მისი მონოლითური ხასიათი — იგი ასე მიმართავს ჯერ კიდევ დაუღუღარ, ძნელად მოსაბოკავ ქაბუჯს: „რაა შენი კოცნა, მარა მაინც გაკოცებ — მამაშენი კონია გ. დადიანი“. იმზარ კპიტაიშვილი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ინტერვიუ ჯეორჯი სილვერმანთან: „ხურჩის ინციდენტის“ დღეს ზუბილი მობილიზებული იყვნენ ამერიკის საელჩოს მაღალი რანგის თანამშრომლები, მათ შორის მეორე მდივანიც“

„მეგის ქარდავას თურქეთის დაზვერვა მფარველობს, საინტერესოა, რატომ ასევე საინტერესოა, გააკეთებდა თუ არა ამას თურქეთის დაზვერვა ამერიკისგან დამოუკიდებლად?“

- თქვენ იყავით ერთ-ერთი პირველი, ვინც გაიგო, თუ რა მოხდა ხურჩაში. ეს როგორ მოახერხეთ?

- მაშინ უნა ნანუაშვილთან და „საქართველოს ადამიანის უფლებათა ცენტრთან“ ერთად ვმუშაობდი. ეს იყო საპარლამენტო არჩევნების დღეს, 2008 წლის 21 მაისს. ზუბილი ვიყავი და საარჩევნო მონიტორინგში ვმონიტორინგობდი. გავაცნობიერე, თუ რა ხდებოდა ინციდენტამდე რამდენიმე წუთით ადრე და შემდეგ ნორვეგიულ გამოძიებებს დასკვნების დაწერასა და გავრცელებას დავეხმარე. რის გამოც ჩემი სახელი იმ დღეს მოხდა რამდენიმე სახელი იმ დღეს მოხდა ბევრ ანგარიშსა და სტატიაში ფიგურირებს. მე ჩავედი სოფელში და ვესაუბრე მოსახლეობას, პირდაპირ მითხრეს, რომ ეს იყო ქართული მხარის მიერ დადგენილი თავდასხმა.

2008 წელს ყველა დეტალი გავაზანე TOL Online-ში - აღმოსავლეთ ევროპულ მედიასაშუალებებში. მაგრამ მათ მიერ დადგენილი ბლოგი მალე ამოიღეს, მას შემდეგ რაც გაეროს გენერალური მდივანი გამოვიდა ინციდენტზე „ოფიციალური“ ანგარიშით. მე ასევე შევადგინე ანგარიში ხურჩის ინციდენტზე „ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის“. საიტებიდან ჩემ მიერ დადგენილი ანგარიშის ამოღებამ ბევრი რამ გამოქვამდა, რადგან ასეთი მედიორგანიზაციების უმეტესობა დაფინანსებულია აშშ-ის მთავრობის მიერ, არის მჭიდროდ დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციებთან და, როგორც ჩანს, აქვს მკაცრი ცენზურა.

ჩავედი სოფელ ხურჩაში და რამდენიმე დღე ვესაუბრებოდი ადგილობრივ მოსახლეობას, შემდეგ კი გადავკვივე აფხაზური მხარის დე-ფაქტო საზღვარი და მათი მხრიდანც ყველაფერი მოვისმინე. ვმუშაობდი საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიასთან და „საქართველოს ადამიანის უფლებათა ცენტრთან“ ერთად, რომლებიც თითქმის ინტერესთა კონფლიქტში არიან. ყველა ადგილობრივმა თვითმხილველმა მითხრა, რომ, მათი აზრით, ეს ინციდენტი იყო დადგენილი ქართული მხარის მიერ (ეს არის მათი მოსაზრება), კერძოდ, ის ფაქტი, რომ მესაუბრები გადავიყენე არა ქალაქის ცენტრში განთავსებულ საარჩევნო უბანზე, არამედ საფეხბურთო მოედანზე, სადაც უკვე წინასწარ კყავდათ მოყვანილი უამრავი ჭურჭელიც. გაურკვეველი იყო, თუ ვინ მოაწყო ეს და ვერაფერს ახსნა, საქართველოს არმია ისე სწრაფად როგორ ჩამოვიდა ადგილზე ან ვუმბარები როგორ გაისროლეს ქართული მხარეს კონფლიქტის ხაზითა, ალიანი მოკლე მანძილზე საფეხბურთო მოედნიდან.

ჩვენ ვიცით, თუ როგორ იყო ეს გავრცელებული დასავლურ მედიაში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა აზრები და „დამოუკიდებელია და პასუხისმგებელია მედიაში“ ეს ამბავი ვერ გადაამოწმა. მათ იწმინდეს ის, რაც გაავრცელა საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში „რუსთავი 2“-მა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ, რომლებმაც განაცხადეს, რომ აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მართებელმა ძალებმა რუსეთის მხარდაჭერით ცეცხლი გაუხსნეს ორ აგნობუსს, რომლებთანაც გადაჰყავდათ ქართველი ამომრჩევლები, რომელთაც საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების სურვილი აქონდათ. მათ უკეთესად უნდა სცოდნოდათ, რომ „ხურჩის ინციდენტის“ დღეს ზუბილი მობილიზებული იყვნენ ამერიკის საელჩოს მაღალი რანგის თანამშრომლები, მათ შორის - მეორე მდივანიც. მე მას პირადად ვესაუბრე ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე.

- რას იტყვით ხურჩის შესახებ სამეგრელოში ბოლო ვიზიტის შემდეგ?

- ბოლოს და ბოლოს ჰუმანიტარულად გაცხადდა. პოლიციის მაღალრანგის ალექსანდრე დანელიას მკვლელობა თუ თვითმკვლელობაც ამას ადასტურებს. დანელია გახლდათ მოწმედ, რომელიც მხად იყო, გამოძიებისთვის მამხილებელი მტკიცებულებები მიეცა და დღეს ის მკვდარია. ის მოკლეს ან თავი მოიკლა საეჭვო გარემოებებში. ეს ვგეგმავთ, თუ როგორ სერიოზული რეალობის დაფარვის სურვილი და რაზე არიან წამსვლელი ამ დანაშაულის ორგანიზატორები. პოლიციის

მაღალრანგის დანელია ზუბილი, ნაქირავე ბინაში, გარდაცვლილი იპოვეს, გულ-მეგრდის არეში ჭრილობით. ეს საეჭვოდ უნდა, ზურაბ ჟვანიას ამბის მსგავსად. თანაც დამეთანხმებოდით, რომ გული მოუსერებელი, არაკომფორტული და, ამდენად, უცნაური სამიზნე თვითმკვლელობისთვის.

მე ისევ მაქვს ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელსაც არ სურს ტელეფონით საუბარი, რადგან ეშინია. მე მათ ვერ დავადანაშაულებ, რადგან ეს მოვლენა დაკავშირებულია მართლმსაჯულებისგან გაქცეულ მეგობარ ქარდავასთან, რომელმაც შეასრულა სააკაშვილის ბინძური სამუშაო სამეგრელოში და აქვს ბრალდებების გრძელი სია.

ზაფხულის განმავლობაში ვიძიებდი წინა ხელისუფლების მიერ განხორციელებული ფარული წამებისა და იარაღის უკანონო მარაგების ფაქტებს, რომლებიც დაკავშირებულია ზოგიერთ აუსხველ მკვლელთან. შემიძლია გითხრაო, სამეგრელოში დღესაც ბევრი არაფერი ხდება ძველი ხელისუფლების უნებართვოდ, რადგან ეს იყო საქართველოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საყრდენი, ერთ-ერთი უკანონო - ზედმეტი კითხვის გარეშე ასრულებდა ბრძანებას. წლების განმავლობაში მომხდარი ყველაზე მეტი მკვლელობა და დადგენილი სცენა დაკავშირებულია ქარდავასა და სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკურ საწყისებთან.

ზაფხულში კიდევ ერთხელ გავემზავრე ხურჩაში. კიდევ ერთხელ დადასტურდა ის ფაქტი, რომ ამ რეგიონში არის დესტაბილიზაციის და აფხაზეთის სამეგრელოსგან იზოლირების მცდელობა, რაც ემსახურება იმ მიზანს, რომ რუსეთმა და საქართველომ ვერ შეძლონ მოკლე ვადაში ურთიერთობების ნორმალიზება.

შევეცადე, მიმეღო „ადამიანის უფლებათა ცენტრისა“ და შემთხვევითი სტატიებისგან განსხვავებული ინფორმაცია ხურჩის ინციდენტზე. ყოველთვის შემირბენდი ტონით მეუბნებოდნენ, მაგრობდნენ - „ჯერ არ ვიცით, დაველოდოთ კიდევ ერთი ან ორი კვირა; თქვენ იცით, თუ როგორ იცავენ ჩვენს ჟურნალისტებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაავრცელეთ ალტერნატიული ვერსიის რომელიმე მედიასაშუალებაში“. გასულ კვირას კი ერთმა ჟურნალისტმა მითხრა, „ალბათ, ფრთხილად უნდა იყოთ, თორემ აღმოჩნდებით კონსპირალოგთა სიაში“.

არ ვიცი, დამთხვევაა თუ არა, მაგრამ ამ „კარგი რჩევის“ მიღებიდან რამდენიმე დღეში, 23 ნოემბერს, თავს დაემსხინე თავლამსხმელმა მითხრა: „აბრაწეო, შეჩერდეთ, რადგან, სავარაუდოდ, არ ხართ „შეზღილი“ და, სავარაუდოდ, ნამდვილად გაგანჩინათ რაღაც ინფორმაციული ბომბი, რომელიც ააფეთქებს ხელმძღვანელებს“.

- დააკონკრეტეთ, ვინ არის ჩართული ამაში და როგორ?

- გარდა ხურჩისა, მე ვიძიებდი სხვა შემთხვევებსაც და ამ მოვლენებთან დაკავშირებული პირების საქმეებს; მათ შორის გამოუძიებელ და დიაგნოზიკურად მკვლელებს. ბევრი ადამიანი აწამეს და დააპატიმრეს, სასჯელი დაადეს სავარაუდო ტერორისტული აქტების გამო. ზოგი იძულებული გახდა, ელიარებისა ზოგჯერ არარსებულ ტერორისტული აქტებზეც კი, როგორც პოლიტიკური ხრიკების დიდი თამაშის ნაწილი, რომელიც მოიცავს რამდენიმე „თავლითურ ელემენტს“ ამერიკის მთავრობაში, როგორცაა პორტმაკის ინსტიტუტი, რომელიც ხურჩაში მომხდარი ინციდენტის ოფიციალური ვერსიის PR-ს მხარს უჭერს სტატიებით Turkish Daily Mail 24-ში და ქართულ „24 საათში“, გამოძიებამდე. აფხაზეთის უშიშროების ყოფილი უფლებამოსილი პირი არის ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის სამეგრელოს რეგიონული კორესპონდენტის - ემანუელის მეუღლე. ახლა ის აცხადებს, რომ ხელისუფლება ზეწოლას ახდენდა მასზე ჩვენების მიცემისას, რომ ეს იყო ქართული მხარე, რომელიც თავდასხმაზე იყო პასუხისმგებელი. ივლისში, მეორე გამობრუნებისას, მასთან ყველაზე მეტი დრო გაატარე მიწისქვეშა წამების ადგილების ძებნა-დათვალიერებაში. შემდეგ ვუთხარი, რომ ადრე თუ გვიან უნდა ეთქვა სიმართლე, თუნდაც ამას პრობლემები შეექმნა მისი ქმრისთვის.

ვაშინტონში დაფუძნებული პორტმაკის ინსტიტუტი ამ დროს სამინისტროების ხელმძღვანელობის PR-სა და პოლიტიკურ მხარდაჭერას უწევდა, მათ შორის, PR შემთხვევით ნატოში გაწვევიანების პროპაგანდისთვის და ცეცხლზე ნავთის

დასახმელად რუსეთთან მიმართებაში. ეს კავშირები სცილდება საქართველოს, მეგობარ ქარდავასა და როლანდ, დათა და ბანო ახალიების კლანის პირდაპირ ქმედებებს, რომელთაგანაც ერთი დაჭრილია, მეორე კი გაიქცა უამრავი დანაშაულის გამო. საინტერესოა და აღსანიშნავია, რომ ჩემი კონფიდენციალური წყაროების ინფორმაციით, მეგობარ ქარდავას თურქეთის დაზვერვა მფარველობს. საინტერესოა, რატომ ასევე საინტერესოა, გააკეთებდა თუ არა ამას თურქეთის დაზვერვა ამერიკისგან დამოუკიდებლად.

ბევრი გამომჩნეილი ადამიანი იყო ჩართული ამ ბინძურ საქმეებში, მაგალითად, გოგა ზაქარაია - დათა ქვარაიას ბიძა (პოლიციელი, რომელსაც გადაჰყავდა მოძალადეები ერთი ადგილიდან მეორეზე, წამების პალატებზე, ასრულებდა დათა ახალიასა და მეგობარ ქარდავას ბრძანებებს), ზაქარაია, ერთ-ერთი ძველი გენდარტი, რომელიც მაინც მუშაობს საგამოძიებო ორგანოებში და ამჟამად რეგიონში რამდენიმე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დაბლოკვას ცდილობს.

ასევე ვიძიებდი გოგა კვარაცხელიასა და კობა მატკავას საქმეებს, რომლებიც საქართველოს მთავრობამ 2003 წლის 3 აპრილს დააკავა ტერორისტული აქტის დაგეგმვის და მსჯავრდებულ ელდარ ქობალიას მკვლელობის გამო. როგორც ჩანს, საქართველოს ციხეებში არსებობს ბევრი უდანაშაულო ადამიანი: მაშუკა შონია, მუხომბა ცხადია, დავით კეპუტია, გონა ხურციელავა და ა. შ.

მე განსაკუთრებით მაინტერესებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ანაკლიაში გამართული შეხვედრები, დასავლეთ საქართველოში დაგეგმილი კრიმინალური საქმიანობისთვის სხვადასხვა კლანის შეხვედრები და ის, თუ რამდენად იყო ეს ყველაფერი დაკავშირებული ნარკოტიკებისა და იარაღის ბიზნესთან. არსებობს კავშირები პოლიტიკურ ისტებლიშმენტსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის, მათ შორის ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩადენილია აფხაზეთში - რომ აღარაფერი ვთქვათ რეგიონში საერთო დესტაბილიზაციის პოტენციურ გეოპოლიტიკურ შედეგებზე.

- გვითხარით, რა მოხდა ახლახან - ბოლოს როდის და ვინ გცემთ?

- 23 მაისს ვიყავი ბარში ამერიკელ ქალთან ერთად, რომელიმე ანაკლიის სკოლა რამდენიმე წლის წინ ამერიკის შეერთებული შტატებში. მანამდე იტალიის საელჩოს პერსონალს და სააკაშვილ მიმოსვლის რამდენიმე კონტროლერი (ვინც მუშაობდა აეროპორტში) ვესაუბრე. ძირითადად, შესაძლო ბიოლოგიური აგენტების ტრანსპორტირებასა და რინარდ ლუგარის ბიოლოგიური ლაბორატორიის შესახებ, ჩემი გამოძიების თემაზე ბოლო თვეების განმავლობაში, რის შესახებაც მე მქონდა მიცემული ინტერვიუ ქართულ ტელევიზიაში და გაავრცელე ინფორმაცია სხვა მედიასაშუალებებში. ვაცხადებდი, რომ ლუგარის ლაბორატორია მართლაც შექმნილია ფარული ბიოკვლევებისთვის და უშვებს აკრძალულ ბიოლოგიურ აგენტებს. მას აქვს ბიოლოგიური იარაღის შექმნის საშუალება. ჩემ მიერ ამ ამბის გავრცელების შემდეგ, იტალიური სპეცკონტინგენტი Air Force-ით გაფრინდა, გაიწმინდა ალტურვილომა და მოიწვიეს პრეზა, თუმცა რუსეთის ტელევიზიაში დადასტურდა, რომ ისინი არ იყვნენ კმაყოფილი. ვადასტურებ, რომ საქართველოში არსებობს ლაბორატორია, რომელიც მუშაობს ბიოლოგიურ იარაღზე დღმის საფუძველზე.

ამ ყველაფრის შემდეგ, ერთ დღეს ამერიკელი მესაუბრა, ეჭვი მაქვს, იყო კუნთმავარი კონტრაქტორი DoD-იდან (თავდაცვის დეპარტამენტი) ან Bechtel National-დან. მან მითხრა ჩემ მიერ ჩატარებული სამუშაოსა და ჩემი სტატიის შესახებ და ლაბორატორიის ზოგიერთი ასპექტის განხილვის შემდეგ, მომიწვალა ჩამართვეს თავში, როგორც ჩანს, დიდი ქვა, აგრეთვე, მომხვდა უკინიდან, სავარაუდოდ, მეორე პირისგან ან დაზიანება (სისხლჩაქცევები და დაზიანებები) მივიღე მიწაზე დავარდნის გამო.

ბუნებრივია, არ არსებობს მოწმე და არც მიმიღეს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში. ვფიქრობ, ეს იყო გაფრთხილება. დავეკარვე ბევრი სისხლი. ეს ყველაფერი პოლიციისთვის ცნობილი იყო და ჩამოხარდა სამედიცინო შემოწმება. ასე რომ, ვნახთ, თუ როგორ გავრცელდება გამოძიება, მაგრამ არც მოწმეები არსებობენ და ვეჭვობ, არც ამ ამერიკელს იპოვიან. მე ის აღწერე და ვფიქრობ, შემიძლია მისი

იდენტიფიკაცია, თუ მან უკვე არ დატოვა ქვეყანა. ახლა უკეთ ვარ და ვგრძობე სტატიების წერას; ვგეგმავ, როგორ უნდა მოვგვარო ამ პიროვნებასთან საქმე, რადგან დარწმუნებული ვარ, მას რეალურად არასოდეს დასჯიან. ასეთი სიტუაციისა და DoD (თავდაცვის დეპარტამენტი) იმუნეტის მქონე ადამიანებთან (რომლებიც მუშაობენ Bechtel National-ში, Cubic-ში და Archangel-ში) ურთიერთობის გამოცდილება მაქვს.

იმედი მაქვს, რომ ახალი ხელისუფლება ადრე თუ გვიან მიხვდება, თუ რამდენად სერიოზულია პრობლემა სამეგრელოს რეგიონში და მიიღებს ზომებს, ანუ შექმნის განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღჭურვილ სპეციალურ საგამოძიებო ჯგუფს. დარწმუნებული ვარ, რამდენიმე ადამიანი კარგად აცნობიერებს, თუ რა ხდება რეგიონში და, აგრეთვე, მომხდარის სერიოზულობასაც.

დასავლეთ საქართველოში გამოკითხე ბევრი ადამიანი, მათ შორის იმათი მშობლები და ცოლები, ვისი შვილები და ქმრები ან უგზოუკვლად გაიტაცეს, ან მოკლეს. მე ასევე ვესაუბრე მოძალადე თემურ უბორის დედას, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების დავალებით ატერორებდა ადგილობრივ მოსახლეობას.

ნათელია, რომ გამოძიებები ბევრ საქმეში ნახვედრად იღო ბზარს, რადგან ადამიანები ცხოვრობენ მუდმივი შიშის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ მოჩვენება წავიდა, მიხილ სააკაშვილისა და მისი „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შექმნილი სისტემა ავტოპილოტზე მუშაობს და ამ სისტემის წარმომადგენლები კვლავ იყავებენ თანამდებობებს დასავლეთ საქართველოს უმეტეს ნაწილში. მე კარგად ვიცი, რომ ხალხს ეშინია ადგილობრივი სამართალდამცავების, რომლებსაც ხელფასს უხდის უცხოური ფინანსური წყაროებიდან. რეგიონის სტაბილურობას ემუქრებიან, რომ არაფერი ვთქვათ საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე. ყოფილი მმართველი ძალის - „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს და მათ ადგილობრივ მომხრეებს ძალიან ბევრი, მათ შორის თავისუფლება და ფული, აქვთ დასაკარგი.

საკაშვილის მოღვაწეობა უნდა დასრულდეს უფრო არა თავისუფლებით, არამედ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში წარდგენით, მაგრამ ფული ყოველთვის ღაბღაბებს უფრო ხმამაღლა, ვიდრე რიტორიკა და პოლიტიკური დაპირებები სამეგრელოში.

მე ასევე კონტაქტი მაქვს გამოძიებლებთან, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომლებთან და მათგან მაქვს ინფორმაცია ადამიანთა ჯგუფზე, რომელიც გალის რაიონში სოციალური აფხაზეთისა და რუსეთის მოქალაქეებს, აგრეთვე, საქართველოს მოქალაქეებს.

ეჭვი მაქვს, რომ ერთი და იგივე პირები არიან ჩართული გოგია ახუბაძის საქმეში, აგრეთვე, გოგო აგვარაცხელიას მკვლელობაში, რომელიც აწამეს და მოკლეს; მას თვალები ამოჭრეს და ცხედარი მდინარეში გადააგდეს 2012 წლის აპრილში. ცვლილება, დაგეგმარო მის ოჯახს. მისი და, რიტა, უშუალოდ მეკონტაქტებოდა და საკუთარი სიცოცხლისა და ოჯახის წევრების სიცოცხლის რისკის ფასად მიაშობდა, რა ხდებოდა დასავლეთ საქართველოში და როგორი დაუცველი არიან განსაკუთრებით დევნილები. მე უკვე შემიძლია მივიღო ინფორმაცია საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფთაგან. დაახლოებით ხუთი წლის წინ ერთი ზაფხული გავატარე ზუბიდის რაიონის ერთ-ერთ სოფელში და ბევრი რამ ვიცი მენტალიტეტის შესახებ.

არსებობს ასევე შემთხვევები (რომელიც არ გამოვიძიე, როცა ადამიანები საავადმყოფოებში იღუპებოდნენ, რადგან ექიმებს ემუქრებოდნენ, რომ, თუ პაციენტი იცოცხლებოდა, მათ მოკვლავდა, როგორც ჯიმი მეგრელიძის შემთხვევაში, რომელიც კვლავ პირდაპირ კავშირშია ქარდავასა და ახალაისთან, რომლებმაც მისი მკვლელობის ბრძანება გასცეს. ჯიმი მეგრელიძის რამდენიმეჯერ ესროლეს და მერე საავადმყოფოში მოკლეს. დიას, როდესაც გაირკვა, რომ საავადმყოფოში მიყვანილი მეგრელი იყო გადარჩენილი, იგი იქ მოაკვლევინა და მის სხეული შემდგომში დასაინფორმე, რათა გამოეხიდიყო დამატებითი სასიკვდილო ჭრილობები, რამაც თითქოს მისი სიკვდილი გამოიწვია, ოჯახს კი სამართალდამცავი ორგანოები მასინვე დაემუქრნენ, რათა ეს ამბავი დაემალო.

საპ.0658.



# ერთი უღირსი და სამარცხვინო კუბლიკაციის კვალდაკვალ

„როცა ქალი სინდისიგან სულ მილიანად გაშიშვლდება, ის ვერ შეძლებს სიმწრისაგან წამითაც კი გაწითლებას“

ეს ხდებოდა ომის დაწყებამდე ორიოდ კვირით ადრე. ამ შემთხვევებელ კომისიაზე იდგა სწორედ მთავრობის თავმჯდომარის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და ქალაქ სოსხეობის და გავრის გამგებლის საკითხები. აფხაზური მხარე ითხოვდა ამ საკითხების ცალ-ცალკე განხილვას, მთავრობის თავმჯდომარის საკითხის ცალკე საკითხად გამოყოფას. კონსტანტინ ოზანი თაყვანს არ იშლიდა: **«Давайте, договоримся по вопросу председателя Правительств, а потом они с председателем Верховного Совета рассмотрят эти вопросы, а мы на своих комиссиях, будем решать, поддержим или не поддержим их».** კონსტანტინ ოზანის პოზიციას არ ევთანხმებოდა, ვიხივდით სხვაზე ამ საკითხების ერთად, ერთ პაკეტში განხილვას. მეორე დღეს ჩვენი მხარის შემადგენლობა შეიცვალა, დეპუტატების ნ. მაგალიძის, ვილიის და ჯ. გამახარიახ ნაცვალად. ნ. ნადარეიშვილიც ე.წ. არაფორმალური გამოავლანა, რომელიც მხად იყვნენ გაეზარებინათ აფხაზური მხარის პოზიცია. ეს მათ (განსაკუთრებით, ბატონ თამაზს), შკითხვებისთვისაც გასაგები მიზეზთა გამო, ხელს აძლევდა. მე კი არ ვთხოვდი ჩემს პოზიციას. ასეთ დროს დილოგი ერთეულია აწ. განსვენებული ზურაბ ანბა, რაც იშვიათად ხდებოდა აფხაზების პრაქტიკაში.

ის ამბობს: **«Давайте, в самом деле, обсудим вопрос Совета Министров. Назначение Зарандия было нашей ошибкой! Мы сами исправим свою ошибку, и без вас попросим его уйти. Встречаемся уже второй день и ни к чему не приходим, давайте, обсудим вашу кандидатуру на пост председателя Совета Министров, а по вопросу Министра внутренних дел, Гагры и Сухуми тогда договоримся легче. Что же касается Председателя, я бы рассмотрел кандидатуру господина Месхия. Вначале я был категорически против этой кандидатуры – где нейрохирург и где председатель Правительства, но, видать ошибался! Теперь же я двумя руками буду голосовать за кандидатуру Напо Месхия!»**

ჩვენი მხარის, კერძოდ, შემოგზავნილი ზ. პაპასკირის უტაქტობის გამო ჩაიშალა ეს შეხვედრა. ასე რომ, არცერთ საკითხში არ იქნა მიღწეული შეთანხმება.

ახე დამთავრდა აღნიშნული შეხვედრა. იმ საღამოსვე ჩემთან, ნეოროქიურგიულ ცენტრში მოვიდნენ ბატონები სერგეი ბაღაუმი და დავით ფილია და მიითხრეს: **«გელაპარაკეთ ბატონ ვლადერ შევარდნაძეს ეს ის თანახმაა და მხარს უჭერს თქვენს კანდიდატურას, საჭიროა მხოლოდ ქართული დეპუტატების პარლამენტში დაბრუნება».** მე აუხსენი მათ, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აფხაზური მხარე დათანხმდება ბატონი თამაზის კანდიდატურაზე და ვთხოვე, რომ კიდევ ერთხელ განხილვა მისი კანდიდატურა – შეექმნათ ჩემთვის დერეფანი ვ. არძინბასთან კონფიდენციალური შეხვედრისთვის, აგრეთვე **„აიდგილარას“** თავკაცებთან მისახვედრად, რათა დამერწმუნებინათ ისინი, ომის პრევენციის მიზნით, ამის აუცილებლობაში. მათ მოსმენაც არ ისურვეს, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს: **«Уважили твою просьбу один раз и избрали его первым заместителем председателя Верховного Совета Абхазии. Ну и что?! Больше этого не будет. И не старайся, с этим покончено!»** – ასეთი იყო მათი პერდიქტი!

მეორე დღესვე მოვიპატივე ჩემი თანამოაზრე კოლეგები ნეოროქიურგიულ ცენტრში და ჩავაყენე ისინი საქმის კურსში, თუ რა მოხდა შემთხვევებელ კომისიის სხდომაზე და იმაზე, რაც შევიტყვე გასულ საღამოს ს. ბაღაუმი და დ. ფილიასგან. ევთხარის მათ, რომ თბილისიც თანახმაა ჩემს კანდიდატურაზე, მაგრამ ისინი უარით გავისტუმრეს და ახლა გეუხებოთ თქვენ: **„ომი თუ არ გვიჩნდა აფხაზეთში, უნდა მოვისხნა საბოლოოდ საკუთარი კანდიდატურა და აფხაზურ მხარესთან უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რათა თამაზ ნადარეიშვილი გავიდეს მთავრობის თავმჯდომარედ“.** ამას ჩემი კოლეგები – ბატონები აკაკი გასვიანი, ჯემალ გამახარია და აწ. გახვინებული კიმი ჯაჭველიანი შეხვდნენ ადფორთოვანებით და ამიდლებული ეპიტეთებით შემამკეს – ერისკაცად გამო-მაცხადეს.

სამწუხაროდ ჩვენს შემდგომ ძალისხმევას შედეგი არ მოჰყოლია და ორიოდ კვირის შემდეგ ტანკები გამოჩნდნენ სოსხეში!

ახე რომ, მშვიდობის საკითხი მაშინ ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ ვის ავირჩევდით მთავრობის თავმჯდომარედ. დარწმუნებული ვარ აფხაზურ მხარეს რომ დაეჯერებინა ჩემთვის, დაეთმო და თავმჯდომარედ დანიშნულიყო თამაზ ნადარეიშვილი ან გვიცი ლომინაძე, მათი ამბიციები დაკმაყოფილებოდა, ამით ბევრი პრობლემა მოისხნებოდა. არც ტანკები გახდებოდნენ საჭირო და ომიც ავაცილებოდა აფხაზეთში!

ომის შემდგომაც იყო სერიოზული შე-მოთავაზება **„აღორძინება“**-ის მხრიდანაც, მაგრამ აქც ურყევი ვიყავი და არ დავე-თანხმე ძალზე მომხიბვლელ შემთავაზე-ბაზე.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, რამდენიმე თვით ადრე, სიტყვის სრული მნიშვნელობით, ამიყვანეს ზუგდიდიდან და კანცელარიაში დამსვეს, თითქოსდა პრეზიდენტის მრჩეველად აფხაზეთის საკითხებში. სინამდვილეში კი ხელისუფლებას უნდოდა, რომ არ წავსულიყავი აჭარაში – **„აღორძინება“**-ში და არჩევნების დროს თან არ გამყოლოდა აფხაზეთიდან დე-ენილი ელექტორატი.

მანამდე, ცნობილი ბიზნესმენის კობა ნაყოფიას შემადგომლობით, ორჯერ შევხვ-და **„აღორძინება“**-ის ერთ-ერთ ლიდერს, აწ. განსვენებულ ჯემალ გოგიტიძეს და ჩვენს შორის ხანგძლივი საუბარი გაიმართა. შეხვედრა ბატონ კობას ოფისში მიმ-დინარეობდა, მას, ბატონ კობას გარდა, ყოფილი პარლამენტარი თენგიზ ჯგუშია და რაღედენ ქარდავ ესწრებოდნენ. მეტად მიმზიდველი იყო შემთავაზებები: ადგილი **„აღორძინება“**-ის საპარლამენტო საარჩევნო სისტემის პირველ ათეულში და, თუ დავთანხმდებოდი, უფლები შევქმნი რეკომენდაცია გაიქონა კიდევ ერთი კან-დიდატისთვის (ვისაც ამოვირჩევდი), ის ამ სიაში მესამე ათეულში მოხვდებოდა. იყო მინიშნება, რომ აჭარაში, თუ ვისურვებდი – თვით ბათუმში მივიღებდი ინიას ამ მის გაორებაში სახლ-კარს რაც ჩემთვის ნაკლებად სარწმუნო იყო. ეს შორეულ პე-ქსპექტივას უფრო განეკუთვნებოდა! ჩემთვის უფრო მიმზიდველი აჭარაში ნეიროქიურგიული სამსახურის ჩამოყალიბების პერსპექტივა გახლდათ. ამ საკითხებზე ბატონი ჯემალ გოგიტიძე სარწმუნო გარანტიებს იძლეოდა.

ეს საუბარი სოჭში აფხაზების უხუცესთა დელეგაციასთან შესახვედრად გამგზა-ვრების წინ შესდგა. სოჭიდან დაბრუნების-თანავე შედეგა ჩვენი მეორე შეხვედრა ჯე-მალ გოგიტიძესთან, მაგრამ მასაც შედეგი არ მოჰყოლია.

ჯერ ერთი, მე ბოლომდე კიდევ არ ვიყავი განთავისუფლებული იმ განცდილი უმბიძის შთაბეჭდილებებიდან და დამირ-გუნველი ფაქტებისგან, რაც აფხაზეთში გადამხდა. ასეთ დროს, როდესაც მოწვევით ვიყავი ჩემს სასაფლაოს, სადაც ჩემი ვაჟიშვილები განისვენებდნენ და როდესაც ჩემი ხალხი გაუსაძლის პირობებში იმყოფებოდა, მე არ შემიძლო მეფიქრა საკუთარ თავზე. რაც მთავარია, კარგად მესმოდა, რომ საპარლამენტო ტრი-ბუნა და იქიდან პრობლემებზე საუბარი შედეგზე ნაკლებად იქნებოდა ორიენტირე-ბული და წლებში შემწინველად და უშედე-გოდ ჩაივლიდნენ, რამდენიც არ მეფრქვია (თუ შევეძლებდი) ბრძნული სიტყვები პარ-ლამენტის ტრიბუნიდან, არ მომეცემოდა პრობლემებთან მიახლოების საშუალება – აფხაზურ მხარესთან პირდაპირი, უშუალო შეხვედრებისა და დიალოგის შესაძლე-ბლობები. ეს არ იყო ის გზა, რომელსაც **„ტაძრამდის მიყავი“.** მეორეც, ამ მიმზიდ-ველი წინადადებების მიღმა იმალებაოდა პოლიტიკური თამაში, სადაც სანაცვლოდ მე უნდა გამეღო ერთგვარი ხარკი – უნდა გამხდარიყავი კიდევ ერთი პარლამენ-ტარი, რომელიც მხარს დაუჭერდა პარლა-მენტში სეპარატისტული რეგიონის ლიდ-ერის პოზიციას. ჩემი ფიქრი კი ამ დროს აფხაზეთს დასტრიალებდა და სხვა ბრ-ძოლებში ვერ გამოვდებოდი. ამიტომ არ დავთანხმდი **„მომხიბვლელ შემთავაზე-ბებს“.** ჩემი გადამწვეტილებების სისწორეში შემიტრეფოდა აწ. შემპარევა ეკვი. ამ გადამწვეტილების სისწორე დადასტურა აჭარაში შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა.

ამასთან, ვფიქრობდი იმაზეც, რომ, თუ ვიქნებოდი პრეზიდენტთან ახლოს, მის აპარატში, იქნებ რაიმე მაინც მოვახერხო-მეთქი ქართულ-აფხაზური პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით. მაგრამ, უნდა გითხრათ, არც არავის დასჭირვებია ჩემი რჩევა და ფაქტობრივად უფუნქციოდ ვიყავი. მხოლოდ ერთხელ, ჩემი დაქინებული მოთხოვნის შემდეგ, ჩავუდი სოსხეში, შევხე-დი ბატონ ანრი ჯერგენიას, რომელთანაც შევათანხმე დოკუმენტის ჩემი ვერსია, რომელიც ეხებოდა კონფლიქტის ზონაში სწრაფი რეაქციების ოთხმხრივი ჯგუფების შექმნას და მათ ამოქმედებას (რომელსაც უკვე მქონდა საუბარი). ეს იყო და ეს! ვხე-დავდი, რომ კანცელარიაში უსაქმოდ ჯდო-მას არ ქონდა აზრი, ამიტომ ჩავაბარე კაბინეტის გასაღები ბატონ პეტრე მაძრაძეს და დავბრუნე ზუგდიდში.

**„გარდების რეგულაციიდან“** რამდენიმე თვის შემდეგ, 2004 წლის მარტში დას-რულდა ბატონი თამაზ ნადარეიშვილის მრავალწლიანი უპირობო ლიდერობა და ახლა უმაღლეს საბჭოს ახალი ხელმძღ-ვანელობა უნდა აერჩია. იმ დროისთვის რეგიონალური საკითხებს, ე.წ. ზვიადის-ტებთან შერიგების შედეგად ხელისუფლე-ბაში ვიცე-პრემიერის რანგში მოსული გურამ აბსანძე კურირებდა. ამდენად, მის კომპეტენციაში შედიოდა აგრეთვე, აფხ-აზეთის საკითხებიც. არ ვიცი როგორ და რატომ, შეიძლება, ბატონი ზაური კვარაცხ-ელიას რეკომენდაციით, რომელიც მუშაობ-და მის აპარატში და კარგად მიცნობდა და იცოდა ჩემი მიდგომა და შესაძლე-ბლობები აფხაზეთთან მიმართებაში, მომი-წია ბატონ გ. აბსანძესთან შეხვედრამ მი-სვე ინიციატივით. მან შემომთავაზა უმაღ-ლეს საბჭოში დაბრუნება, რათა მიმეღო მონაწილეობა არჩევნებში, იგი მხარდაჭერას და ამოღობას მპირდებოდა, რაზეც პირველ შეხვედრაზე უარი განაცხადე, თუმცა რამ-დენიმე დღის შემდეგ თანხმობა მიეცე-იმის გათვალისწინებით, რომ კიდევ ერთხ-ელ შევხვებოდა შანსი წარმოემინა უმაღ-ლესი საბჭო, როგორც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ერთ-ერთი მხარე და მიველო მონაწილეობა მხარეებს შორის მიმდინარე-ბელი ომში. ამით ქართულ-აფხაზური დი-ალოგი შედარებით ნაყოფიერი, პოლიტიკური კონფლიქტის ხასიათს და ელფერს შეიტჩნ-და: კვლავ ჩნდებოდა შანსი პირდაპირი დიალოგის გამართვისა უშუალოდ აფხ-აზურ მხარესთან.

ამ მოსაზრებით დავთანხმდი ბატონ გ. აბსანძეს და მონაწილეობა მივიღე უმაღლესი საბჭოს 2004 წლის არჩევნებში. ჩემთან ერ-თად კენჭს იყრიდნენ ბატონები თემურ მჟავია, დავით გვამბაია და გია გვახავა. ამ ორმა უკანასკნელმა სესიაზე მოისხნეს თავიანთი კანდიდატურები. პირისპირ თემურ მჟავია და მე ავლმოხვნით.

ამ დროს, როდესაც გამოვეცა სამარჩევნო პროგრამით და სიტყვა არ მქონდა დამთავრებული, ქალბატონმა ე. ასტემიროვამ შემომანჩა ხელში ტელეფონი და მითხრა: **„იუსტიციის მინისტრს, ბატონ ზურაბ ადეიშვილს სურს თქვენთან საუბარო“.** მეც გამოვართვი მას ტელე-ფონი და აი, **„რა რჩევა“** მომიცა ბატონმა ადეიშვილმა: **„ბატონო ნაპო, ჩვენ ვიცით, ვინ ხართ, რა კაცი ბრძანდებით, მაგრამ ახლა გვჭირდება მჟავია, მოისხენით თქვენი კანდიდატურა და გზა დაუთმეთ ბატონ მჟავიას. ეს ასეა საჭირო“** – თქვა მან და გამართო ტელეფონი.

პატივმოყვარე კაცი იქვე მოისხნია თაყვის კანდიდატურას და გაცვლემორდა იქაურობას, მაგრამ მე მოვითოე ჩემი თავმოყვარეობა და ამბიციები და კენჭი ვიყარე თავმჯდომარის პირველი მოადგ-ილის თანამდებობაზე, იმის იმედით, რომ ბატონ მჟავიას ხელმძღვანელობა არ შემი-შლიდა ხელს დასახული მიზნების რეა-ლიზაციაში, მაგრამ, მიუხედავად ჩემი სუთი წლის განმტკიცებლობაში უწყვეტი აქტივი-რებისა და მუდმივი ინიციატივისა, ადგილიდან ვერ დავძარი ბატონი თემური, რათა მოგვე-პოეებინა ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერა და წარმოგვეჩინა ჩვენი თავი როგორც დევნილი მოსახლეობის ლეგიტი-მურ წარმომადგენლებს და გავსულვიყავე-ით აფხაზურ მხარესთან პირდაპირ დი-ალოგზე. ასე ჩაიარა უშედეგოდ ხუთმა წელიწადმა...

2008 წლის აგვისტოს თვის მოვლენების შემდეგ საბოლოოდ გაქრა ყოველგვარი პერსპექტივა და უკვე არავითარი აზრი არ ჰქონდა თანამდებობაზე ყოფნას. ჩავარ-

და ის მოსაზრებები და აღნიშნული პროე-ქტები (გაღის რაიონის ზღვის პირა და ენგურს გასწვრივ მდებარე სოფლების სკოლებისა და მათი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, სოფ. ოტობაიაში საკვანძო საავადმყოფოსა და გაღში თანამედროვე მოთხოვნათა დონის რეკონსტრუქციული სამე-დიცინო ცენტრის გაშენება, აგროსექტორში სასოფლო-სამეურნეო მიკროტექნიკური სადგურების დაფუძნება და სხვა), რომ-ლებიც ჩემს მიერ მომზადებული და უკე იყო შესული ევროკომისიის პროგრამაში.

ამით დაესვა წერტილი ჩემს მო-ღაწეობას უმაღლეს საბჭოში და დავეჯერდი იმას რაც მოვასწარი. ასეთია ჩემი ნაამ-გარი, როგორც დეპუტატის – დეპუტატისა, რომელიც გამოიყურებოდა ყოველთვის, როგორც **„თეთრი ყორანი“** – ებრძოდა დესტრუქციულ ძალებს და აკეთებდა ყვე-ლაფერს იმისათვის, რათა შეგვეჩინებინა მშვიდობა და შემდგომში ავღვედგინა ნორმალური ურთიერთობა ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის. მაგრამ, როგორც მოგახსენებთ, ეს ერთეულების შესაძლე-ბლობებს აღემატებოდა. ნათქვამია **„მარტო კაცი ჭამავს ბრალი“**!

ჩვენი საუბარი არ იქნება სრულფ-ოვანი, თუ ერთგვარ პარალელს არ გავაყვებთ აფხაზეთის დესტრუქციულ ძა-ლებსა და საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილის საქმიანობის შორის.

ამისთვის საჭიროა პატარა ექსკურსი, რათა გავისხვიეთ ომის წინა პერიოდ და ის, თუ რა პოლიტიკური ვითარება სუფევდა მაშინ აფხაზეთში – რა პოლიტიკურ თამაშებს ეწეოდნენ ადგილობრივი თუ მოვლენილი **„ლიდერები“** და როგორ ქმ-ნიდნენ ან უწყობდნენ ხელს ფიქტა-ლაში ვითარებას. სწორედ ამან, აფხაზთა სეპარატისტულ პოლიტიკასთან ერთად, განაპირობა მხარეებს შორის ურთიერთ-დაპირისპირება და ხელი შეუწყო საზო-გადოებრივ და პოლიტიკურ დესტაბილიზა-ციას.

თვალი უნდა გაგუსწოროთ სიმართლეს! განა ჩვენვე არ დავადექით თავიდანვე გათიშულობისა და განხეთქილების გზას?! გავისხვით თუნდაც ის, თუ როგორ გავყავით უნივერსიტეტი აფხაზეთში, შემდეგ მქერალთა კავშირი, საფეხბურთო გუნდი და ბოლოს... პარლამენტიც! ეს ყველაფერი ჩვენი ვაი-პოლიტიკოსების დაუღალავი დე-სტრუქციული საქმიანობით ხდებოდა და ამის სათავეში ედგა აფხაზეთის ის ფსევ-დო-ინტელიგენცია, რომელიც ჩამოყალიბდა შემდგომ ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბ-ჭოს სახით. ყველაფერი კეთდებოდა მათ მიერ ეროვნულ ლოზუნგებსა და ქართულ ინტერესებზე ამოყრებით. სინამდვილეში კი ყველაფერი მათი პირადი კარიერის-ტული ან კლანურ-მაფიოზური, კომერცი-ული ინტერესებით იყო განპირობებული.


საიდუსტრაციოდ საქამარისია გავ-ისხვიეთ სოსხეში უნივერსიტეტის გაყოფა. ამაზე საზოგადოებაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ე.წ. ეროვნული ერთიანობის წარმომადგენელთა აზრით, **„აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და მისი ქართული ნაწილის ბაზაზე ოსუს სოსხეში ფილიალის შექმნა სულაც არ იყო ქართველ ექსტრემისტთა დესტრუქციული ქმედება, მით უფრო კარი-ერას და ფულს დახარბებულ ქართველ პროფესორ-მასწავლებელთა ჯიუტი აზირე-ბა, რამედ ეს იყო აფხაზეთის ქართველო-ბის საერთო-სახალხო საპროტესტო აქცია აფხაზი სეპარატისტების წინააღმდეგ“.** ეს ძალზე მიაბიტურად და უსუსურად გამოიყურება. შეიძლება დაეთანხმო მათ, რომ არ იცოდნენ უნივერსიტეტის გაყოფის ნამდვილი მიზეზი და მიზანი. მათ გულ-წრფელობაში ექვს ვერაინ შეიტანდა, საზოგადოებამ რომ არ იცოდეს, თუ როგორ გაიზარდა ერთიორად ე.წ. **„სტაგეები“ ოსუს სოსხეში ფილიალში** იმ საბუნიწერო 1989 წელს აფხაზეთში პირველი შეიარაღებული შეტაკებისას დაღვრილი სისხლის ფონზე.

ამაზე შეიძლება არც ღირდა აძლენ საუბარი რომ არა ის, თუ რა მოჰყვა მათ საქმიანობას აფხაზეთში. ასეთი დამი-ანების ძალისხმევით ეროვნული ნიშნით გაიყო, როგორც ითქვა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები, რასაც მოჰყვა სწორედ ის სისხლიანი დღეები აფხაზეთში.

ნაპო მხსნია,  
პროფესორი  
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალაღანიას ლევან კობიაშვილი: კალიან, კალიან გამიჭირდება...



ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი ლევან კობიაშვილი კარიერის დასრულებამდე დღეებს ითვლის. 10 მაისს მას ფეხბურთიდან გერმანიის მთავარ სარბიელზე "ოლიმპიაშტადიონს" სახსე ტრიბუნები და თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი "დორტმუნდი" გააცილებენ.

გერმანული პრესა წერს, რომ 10 მაისს "ჰერტა"-დორტმუნდის მატჩზე უკვე ყველა ბილეთი გაყიდულია.

"ჩემთვის ახლა ძალიან ძნელია კარიერის ბოლო მატჩზე ლაპარაკი. არ ვიცი, 10 მაისს რა იქნება, რა განცდები მექნება, ემოციურად როგორ ავითან იმ ვითარებას, რაც "ოლიმპიაშტადიონზე" დამხვდება. ისე კი, ერთი რამ ნამდვილად ვიცი, 10 მაისს ძალიან, ძალიან გამიჭირდება", - გვითხრა "ჰერტას" ქართველმა მცველმა ლევან კობიაშვილმა, რომელსაც ბერლინში დაეუკავშირდით.

არც გვიფიქრია, მისთვის კარიერის ბოლო მატჩზე გვეკითხა, თუმცა ლაპარაკმა ეს თემაც მოიტანა... - 10 მაისამდე კიდევ თვენახევარია, ამ პერიოდში კი, მსურს, ფეხბურთისგან მაქსიმალური სიამოვნება მივიღო - ვარჯიშებზე, როგორც ყოველთვის, ბოლომდე დავიტვირთო, გუნდისთვის სასარგებლოდ ვითამაშო და მოედანზე

ყოფნისას ის ყველაფერი განვიცადო, რასაც მთელი კარიერის განმავლობაში განვიცდიდი.

- კარიერას რომ სწორედ 10 მაისს დაასრულებდით, აქამდე არ გითქვამთ...

- დღეს უკვე დარწმუნებით შემიძლია გითხრა, რომ 10 მაისს "ჰერტას" შემაღვლნობაში ბოლო მატჩს ჩავატარებ და 95 პროცენტით, კარიერასაც სწორედ "დორტმუნდთან" მატჩით დავასრულებ.

- აქამდე ამბობდით, რომ შესაძლო იყო, ბერლინურ კლუბთან კონტრაქტი გაგეგრძელებინათ. არ გამოვიდა?

- არა, არსად მითქვამს, რომ "ჰერტასთან" კონტრაქტის გაგრძელებაზე ვუფიქრობდი. ამის თაობაზე გერმანელმა ჟურნალისტებმა მეტოხეს და ვუპასუხე - "ჰერტას" თუ სურვილი ექნებოდა, რომ კლუბში კიდევ დავრჩე, შესაძლოა დაეფიქრებინათ. აი, სულ ეს იყო, თორემ "ჰერტასთან" კონტრაქტის გაგრძელებაზე არაფერი მითქვამს.

- ისე კი, ცნობილია, რომ "ჰერტასთან" მოქმედი კონტრაქტით, ამავე კლუბში დასაქმების უფლება გაქვთ...

- ასეა, შემიძლია დავრჩე "ჰერტაში" და მუშაობა კლუბში გავაგრძელო, მაგრამ ისეც არ არის, რომ ეს აუცილებლად შესასრულებელი პირობა იყოს. ბერლინში, უფრო სწორად, კლუბში დარჩენის სურვილი თუ მექნა, "ჰერტა" თავის სტრუქტურაში დამასაქმებს. კლუბს ინტერესიც აქვს, რომ დავრჩე, მაგრამ, მოდით, ამ საკითხზე უფრო დავწვრილებით სეზონის დასრულების შემდეგ ვისაუბროთ.

- "აინტრახტთან" ბუნდესლიგის წინა ტურში წაგების შემდეგ გერმანელებმა თქვენს, კობიაშვილს სისწრაფე დაუკარგავსო...

- განსაკუთრებული არაფერი, "ჰერტაში" შინ წაავი და ამ მარცხის ერთ-ერთი მიზეზი, აქაური ჟურნალისტების აზრით, ალბათ, კობიაშვილი იყო, თორემ ერთი კვირის წინ კარგი სისწრაფე მქონდა და ახლა დაგვიკარგა?! ბოლო რამდენიმე მატჩი ცენტრალურ მცველად ვითამაშე, მაგრამ მაშინ არავინ ამბობდა, თითქოს სისწრაფე მაკლდა.

- თითქმის 20-წლიან კარიერაში ლამის ყველა პოზიციაზე ვითამაშე, მაგრამ ვერ ვიხსენებ, რომ რომელიმე მწვრთნელს ცენტრალურ მცველად გაემწესებინეთ...

- კარიერის ბოლოს, ეტყობა, ესეც უნდა გამოემეცადა. "ჰერტას" მწვრთნელის, იოს ლუჭუკაის გადაწყვეტილება - დაცვის ცენტრში დავეყენებინე, თავიდან ძალიან კი გამიკვირდა, მაგრამ სხვა რა გზა იყო? მწვრთნელმა ასე ჩათვალა საჭიროდ და მისი გადაწყვეტა უნდა შეემსრულებინა.

- ამას წინათ ვლადიმერ გუცაევმა განაცხადა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებს მონაწილეობას. ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატად საფეხბურთო კულუარებში თქვენც გასახელებენ. აპირებთ კანდიდატურის წამოყენებას?

- მოდით, ამ კითხვაზეც მაშინ გიპასუხებთ, როცა თბილისში ჩამოვალ. ახსოვთუკრად ყველა საინტერესო კითხვას ამომწურავ პასუხს გავცემ. დღეს კი ამ თემაზე საუბარი არ მსურს, თუმცა ვიმეორებ - ძალიან მაღე საზოგადოების ინტერესს დავაკმაყოფილებ და ყველაფერს წერტილს დავუსვამ.

- თბილისში რა სტატუსით ჩამოხვალთ?

- ყოფილი ფეხბურთელი! კარგი, ვიტყვი, რომ ბორუსიის "დორტმუნდთან" 10 მაისის მატჩი ჩემთვის, როგორც ფეხბურთელისთვის, კარიერაში ბოლო იქნება...

- ...და ფეხბურთიდან "დორტმუნდი" გაგაცილებთ...

- წმინდა სკორტული თვალსაზრისით, "დორტმუნდთან" თამაში, რა თქმა უნდა, ძალიან რთულია, თუმცა, მეორე მხრივ, მართლაც საინტერესო და საამაყო იქნება, რომ ფეხბურთელის კარიერას მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის წინააღმდეგ მატჩით დავამთავრებ.

ძალიან გამიჭირდება, მაგრამ ეს დღე რომ დადგებოდეს, კარიერის დასაწყისშიც ვიციდი. ცხოვრების ახალი ეტაპისთვის ვემზადები. იმედი მაქვს, მოედნის მიღმა ყველაფერი კარგად წავა და საქმიანობაშიც წარმატებები მექნება.

შუმასერი ცოლს სახლში მიჰყავს?

კორინა შუმასერი 12 მილიონ ევროს დახარჯავს იმისათვის, რომ მიხაელის მკურნალობა სახლში, ჟენევის ტბის პირას მდებარე ვილაში გაგრძელდეს.

მიხაელ შუმასერის კომიდან გამოსვლის ალბათობა დღითიდღე მცირდება - როგორც იცით, უკვე სამი თვეა, რაც ფორმულა 1-ის მსოფლიოს შეიდეგის ჩემპიონი კომპოია. თუმცა ლეგენდარული მრბოლელის ოჯახის წევრები იმედს არ კარგავენ: ბრიტანული გამოცემა "დელი მთის" ცნობით, შუმის მეუღლეს, კორინა შუმასერს ჟენევის ტბის პირას მდებარე ვილის გადაკეთება უნდა, რათა შუმის მკურნალობა მის საკუთარ სახლში გაგრძელდეს.

ვილაში გაკეთდება სპეციალური ოთახი ყველა საჭირო სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობით. ჩვენი ბრიტანელი კოლეგების ცნობით, კორინა შუმასერს ასეთი ოთახის მოწყობა 12 მილიონი ევრო დაუჯდება. შუმის ცოლს ეს ინფორმაცია ჯერ არ დაუდასტურებია. უცნობია თარიღიც, თუ როდის გეგმავს კორინა მიხაელის სახლში გადაყვანას.

ზოგიერთი ექსპერტი ეჭვობს, რომ მიხაელი კომიდან აღარასოდეს გამოვა. შესაბამისად, ვრცელდება სპეკულაციები იმის შესახებ, რომ კორინამ ვილაში სპეციალური ოთახის მოწყობა სწორედ მას მერე გადაწყვიტა, რაც ექიმებმა უთხრეს, რომ მიხაელის კომიდან გამოსვლის შანსი მინიმუმამდე დავიდა. ცნობილია, რომ 29 დეკემბრის შემდეგ შუმასერმა წონის 25 პროცენტი დაკარგა.

შ. ბუაჩიძე



გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "პერია - XXI საუკუნის საუკეთესო მინერალი".

გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დღის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ - 599.573.322



გაზეთ "ილორი"-ს რედაქციას

დრამა პატივცემულ რედაქციას! ამ წერილს გწერთ პენსიონერი, საკმოდ ჯანმრთელობა მერყეული ადამიანი. როგორც მოგესხენებათ, ადამიანის ჯანმრთელობას ენებს არა მხოლოდ წლების განმავლობაში თავაუღებელი შრომა, არამედ წლების სიმრავლეც. ამიტომ, საქართველოში, სხვებზე მეტად, სწორედაც რომ ასაკოვანი ადამიანები საჭიროებენ ინტენსიურ სამედიცინო მომსახურებას.

უბრალოდ, იცით ისიც, რომ ყოფილი ხელისუფალნი საერთოდ არ აქცევდნენ ყურადღებას ადამიანების სოციალური მომსახურების სფეროს, ცეცხლის ფასი ედო დიაგნოსტიკებს, ავთიაქები თავიანთ ჭკუაზე იყვნენ მიშვებული (სამწუხაროდ, ეს სფერო ჯერ კიდევ არ არის დაგამამოღებული და დიაგნოსტიკაც კვლავინდებულად ძალზე ძვირი ჯდება) და კაპიტად ღირებულ პრეპარატებს მამასისხლად ჰყიდდნენ სწორედ იმ პენსიონერებზე, რომელთაც უკანასკნელ კაპიტებამდე ჰქონდათ გამოთვლილი საარსებო სახსრები. საავადმყოფოში დაწოლასა და გადაუდებელი ოპერაციის გაკეთებაზე კი მხოლოდ ოცნება თუ შეიძლება ბოდა და ამით "სიამოვნების" უფლებას საკუთარ თავს მხოლოდ ჩვენს ხარჯზე გამდიდრებულ-გაქსუვებული ერთეულები აძლევენ. ჩვენდა საბედნიეროდ, უკანასკნელ ვაჟს მდგომარეობა რადიკალურად გამოსწორდა და ახლა ჯანდაცვა ხელმისაწვდომი გახდა თითქმის ყველა ჩვენთაგანისათვის. თვალშისაცემია ისიც, რომ თუ ადრე მედპერსონალი და საავთიაქო ქსელის მუშაკები უხეშად,

აგდებულად გვეყვრობოდნენ და დაუფარავ აგრესიას გამოხატავდნენ განსაკუთრებით პენსიონერების მიმართ (როგორც ჩანს, მათ არ იცოდნენ, თუ რაოდენ გამამხინვეებელი დაავადებულისათვის თუნდაც ერთი თბილი სიტყვა), დღეს მდგომარეობა აქაც შეიცვალა და იმდენად ადამიანურად გვეყვრობიან, რომ ავთიაქში და საავადმყოფოში შესვლა გიხარია ადამიანს.

სწორედ ამიტომ მოგმართათ თქვენ, რათა მადლიერების განცდით გავაზიაროთ იმ ადამიანების ვინაობა, რომლებიც დღეს რეალურად დგანან ჩვენი ჯანმრთელობის სადარაჯოზე. ესენი არიან თბილისის, საბურთალოს ქუჩის №17-ში მდებარე ავთიაქ JPS-ის №16 ფილიალის თანამშრომლები ნინო მარაშვილი, ნინო ხუციშვილი, ნინო ივლიანი, სოფო ჯალაღანი, თიკო ოშხერაძე, თიკო ბარბაქაძე, თათა შალამაშვილი, ნათია შუბითიძე, თათა შალამაშვილი, შორენა ბიორბაძე და დიასახლისი ნაირა ბაბოშვილი.

გულითადი მადლობა მინდა გადავუხადო მათ გულისხმიერებისა და თბილი დამოკიდებულებისათვის და ვუსურვო, რომ მუდამ სხვებს გაუწიონ დახმარება და არასოდეს დასჭირვებოდეთ საკუთარი ავთიაქის მომსახურება. ასევე დიდ მადლიერებას გამოხატავს მათ მიმართ ჩემი შვილი გიორგი ჯალაღანი, რომელიც სისტემატურ მედიკამენტოზურ ხელშეწყობას საჭიროებს.

დრმა პატივისცემით, დოქტორი ცემკაშვილი, პენსიონერი, თბილისი

იუმორი

- რა ღირს თქვენი პაღლი? - ეკითხებიან გურულს ზოობაზარში. - სამასი ლარი! - ერთგულია? - ძალიან. უკვე მუშუთედ ყვიდი...

არაფუნქციონალური მენტალ-იტები: - მაღალ თანამდებობაზე მყოფი ულამაზო ქალი ნიშნავს, რომ იგი ჭკვიანი და ნაკითხია, მაღალ თანამდებობაზე მყოფი ლამაზი უჭკუო ქალი სულ სხვა რამეს ნიშნავს... \* \* \*

- პიჯაკი რატომ არ გამოუთოვე! - ტუქსავს მეგრული ცოლს. - გაგითოვე! - პასუხობს ცოლი. - ნუ ტყუი. ჯიბეში ოცლარიანი მქონდა და ისევ აქ არის!

სვანს ჰკითხეს: - რა გქვია? - ემზარი, მაგრამ ცხვირს რომ ვაცემინებ, "სიცოცხლეს" მეძახიან.

- ცირკის აკრობატი მოკვდა. - რამ მოკვდა? - კოლომ უბინა. - კოლომ ნაბენით რომ არ კვებოდა?

- მაგ დროს 30 მეტრის სიმაღლეზე ეკიდა თავდაყირა...

ინგლისის ერთ-ერთ ლუდის ბარში: - ოფიციალტ, თქვენ რომ ლუდ-მომიტანეთ, შიგ ტარაკანა ცურავს! - ნუ დაწვრილმანდებით, სერ, რამდენი ლუდი უნდა დაგილიოთ მაგ ერთმა ტარაკანამ?

ISSN 1987-8966 ilori. რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6, სარ.პ. №01018002930, 234-32-95. მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანი. მიმღებელი რედაქტორი: ბაზილ ჩოლოყიშვილი. საარქივო მისამართი: ზურაბ ძოგალაძე 599-34-37-27. გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge